ყველა ფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Beijing 2008
დარჩა 76 დღე

№ 121 (12 496) 24 მაისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**ხიზანეიშვილი აუგსბურგში ჩაირიცხა**

ინტერვიუ »»» 3

**სკანდალი: ბერნი შეტევაზე გადადის**

ფორმულა 1 »»» 15



## ენერჯიული დასასრული

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



## ტიტული რუსთავში რჩება

ფინალური სერიის მეოთხე მატჩი »»» 11

## სალუქვაძე გამოგვაკლდა



სეგრტმა 23 დაასახელა »»» 2

## დავბრუნდებით!



გრიგოლ ცაავა და თემურ ქეცბაია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## აფხაზეთის ფეხბურთი 100 წლისაა

საიუბილეო მატჩი »»» 2

სპეციალური ჩანართი »»» 8-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეგრტმა 23 შეარჩია

## ნაკრებს სალუქვაძე გამოაკლდა

დღეს, 17 საათზე საქართველოს ეროვნული ნაკრები ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეიკრიბება. **პეტარ სეგრტი** გუნდს ტაქტიკურ მეცადინეობას ჩაუტარებს. საღამოს 10 საათზე კი ეროვნული გუნდი ჩარტერული ავიარეისით ტალინში გაემგზავრება. წუხელ ხორვატმა გაფართოებული შემადგენლობიდან საბოლოო კონტინგენტი დაასახელა. სამწუხაროდ, გუშინ, აფხაზეთის ნაკრებთან გამართული ამხანაგური მატჩი „რუბინის" მცველ **ლაშა სალუქვაძისთვის** უიღბლო გამოდგა. ლაშამ მხარი დაიზიანა და უახლოეს ორ მატჩში ნაკრებს ველარ დაეხმარება. ტალინში შემდეგი 23 ფეხბურთელი გაემგზავრება:

მეკარეები: **გიორგი ლომაია (ოლიმპი, რუსთ ვი), გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე (ორივე დინამო).**

მცველები: **მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), გიორგი ნავალოვსკი (ანჟი, რუსეთი), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი), უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი), ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია).**

ნახევარმცველები: **დავით მუჯირი (ლოკომოტივი, რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), დავით კვირკველია (რუბინი, რუსეთი), ლევან ყენია (შალკე, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (ლოკომოტივი), დავით ოდიკაძე, გიორგი მერებაშვილი (ორივე დინამო), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), დავით დევდარიანი (ოლიმპი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია).**

თავდამსხმელები: **ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), რევაზ ბარაბაძე (ანჟი, რუსეთი), რატი ალექსიძე (ლოკომოტივი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი).**

ამ კონტინგენტს ესტონეთის დედაქალაქში „შალკეს" ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი შეუერთდება.

ნაკრები ხვალ ტალინში ერთ ვარჯიშს გამართავს.

**დავით ცაბაძე**



პეტარ სეგრტი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ლეგიონერი

# კობიაშვილი ბეშიქთაშში?

გახდება თუ არა **ლევან კობიაშვილი** კარა კარტალი (შავი არწივი, „ბეშიქთაშის" თიკუნი) უახლოეს ხანებში გავიგებთ. ამგვარი ვარაუდი თურქულმა მედიამ „ბეშიქთაშის" ხელმძღვანელობაზე დაყრდნობით გამოთქვა. გუშინ სტამბოლურმა კლუბმა გამოაქვეყნა სატრანსფერო სია იმ ფეხბურთელებისა, რომლებთანაც კლუბმა მოლაპარაკება დაიწყო: „კლუბმა სტამბოლის საფონდო ბირჟას გაუგზავნა იმ ფეხბურთელთა სია, რომელთა კლუბებთანაც მოლაპარაკებებს აწარმოებს „ბეშიქთაში". ესენია: „უდინეზელები" **ანდრეა კოდა და ტომას სივოკი; გულიერმო სტენარდო („ლაციო"); ადამა კულიბალი („ლანსი"); ჩემ ათანი („მატერსბურგი"); მარსელო ბორდონი და ლევან კობიაშვილი („შალკე") და ანტონი სერიჩი („პანათინაიკოსი")**". ახლა, რაშია საქმე – „ბეშიქთაში" სააქციო საზოგადოებაა და კლუბი ვალდებულია, ოფიციალურად მიმართოს საფონდო ბირჟას,. როდესაც ფინანსურ მოლაპარაკებებს იწყებს.

„ბეშიქთაში" თურქეთის ერთ-ერთი გრანდია. წლევანდელი სეზონი გუნდმა მესამე ადგილზე დაასრულა და უეფას თასის საგზური მოიპოვა. 105 წლის კლუბი „ინონუს" სტადიონზე თამაშობს (32 ათასი მაყურებელი) კლუბის პრეზიდენტი **ილდირიმ დემირორერია**, მწვრთნელი კი **ერთუღრულ სალლამი**. „ბეშიქთაში" ქვეყნის 12-გზის ჩემპიონი და თასის 7-გზის მფლობელია. დღეისათვის კლუბში ირიცხებიან გოლკიპერი **რუშთუ**, მცველი **სერდარი**, არგენტინელი ნახევარმცველი **მათიას დელგადო**, ბრაზილიელი ფორვარდი **ბობო**. „ბეშიქთაშის" სლოვაკი ფორვარდი **ფილიპ ჰოლოშკი** კი 15 გოლით ლიგის ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე გავიდა.

ლევან კობიაშვილი 2003 წელს გადავიდა „შალკეში", მას გერმანულ კლუბთან 2010 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი. წლევანდელ სეზონში მან 13 მატჩში ერთი გოლი გაიტანა. სულ ბუნდესლიგაში კი ლევანს 256 მატჩში 28 გოლი აქვს გატანილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საქართველო და აფხაზეთი დაზავდნენ



თემურ ქეცბაია კვლავაც მშვენიერ ფორმაშია

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

**საქართველო-აფხაზეთი**

**1:1**

23.05. თბილისი. ეროვნული
5000 მაყურებელი

0:1 ქეცბაია (15), 1:1 მუჯირი (30. კვახაძის პასით)

გამოუყენებელი პენალტი: ქეცბაია (59)

საქართველო: ლორია (46. მამალაძე), სალუქვაძე (62. ბ. გოცირიძე), ხიდეშელი (33. კლიმიაშვილი), ა. კვახაძე, სანაია, ხუციშვილი (46. დევდარიანი), მერებაშვილი, ბჟალავა, ტატანაშვილი (46. ბარაბაძე), მუჯირი (46. ფანცხავა), ოდიკაძე

*სათადარიგო: ლობჟანიძე*

აფხაზეთი: ქვაჩახია, გვაძაბია (50. კაკუბავა), ზ. ჯელაძე, დობროვოლსკი, ქუცურუა (80. ძალამიძე), ქეცბაია (65. გულორდავა), დარასელია (90. ნ. შონია), სახოკია, მუშკუდიანი (78. ცაავა), უგრეხელიძე (89. შარანგია), გველესიანი.

*სათადარიგო: ძაგანია.*

გაფრთხილება: ბარაბაძე (48), მერებაშვილი (72), მუშკუდიანი (78), ქვაჩახია (81), კლიმიაშვილი (82)

გაძევება: მუშკუდიანი (78)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

**5.** კარში პირველმა თემურ ქეცბაიამ დაარტყა. ჯელაძის დიაგონალური პასით ქეცბაია მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში, ორი მეურვე ჩამოიცილა და კარშიც ოსტატურად დაარტყა, მაგრამ მეკარე ლორიამ იმარჯვა.

**7.** მერებაშვილის ძლიერად დარტყმული ქვაჩახიამ აილო.

**15.** 0:1 - დარასელიას წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო ქეცბაიამ ოსტატურად შეასრულა. ლორია უძლური აღმოჩნდა და ანგარიშიც გაიხსნა.

**21.** ფლანგიდან სახოკიას მიერ ჩანოდებული ბურთი მუშკუდიანმა შეუჩერებლივ კარში გადაგზავნა, მაგრამ ოდნავ ააცილა.

**30.** 1:1 - კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კვახაძემ მუჯირს დაუგორა. ნაკრების კაპიტანმა ზუსტად დაარტყა და წონასწორობა აღადგინა.

**34.** მუჯირის დარტყმულს ამჯერად მეკარე ქვაჩახია გადაეფარა.

**41.** ქვაჩახიამ ორჯერ იმარჯვა - ორივეჯერ ბურთი მერებაშვილისგან მოიგერია.

**57.** დევდარიანის დარტყმული ძელმა აისხლიტა.

**58.** დარასელიას პასით ქუცურუა საჯარიმოში შეიჭრა. ერთ მეურვეს გასცდა, მეორემ კი თამაშის წესების დარღვევით შეაჩერა. პენალტის შესრულება ქეცბაიამ ითავა. დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ ააცილა.

**70.** დარასელიას მამალაძემ არ გაატანინა.

**78.** ფლანგიდან სახოკიას ჩანოდებული მუშკუდიანმა კარში გადაგზავნა. გოლი კი გაიტანა, მაგრამ არბიტრმა მუშკუდიანის მხრიდან ხელით თამაში დააფიქსირა და არ ჩათვალა.

**84.** ფანცხავამ ძლიერად დაარტყა, მაგრამ მცირედით ააცილა.

**90.** გოცირიძემ გაიტანა, არბიტრმა არც ეს გოლი ჩათვალა - თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

აფხაზეთის ფეხბურთის საუკუნოვანი იუბილისადმი მიძღვნილ შეხვედრაში **პეტარ სეგრტმა** და **გიორგი ჩიხრაძემ** გაიყვანეს გუნდები. ხორვატი, რომელსაც **გელა შეყილაძე** ასისტენტობდა, კლუბების ნაკრებს ხელმძღვანელობდა, „ამერის" თავკაცი კი **ნუგზარ ბოჯგუასთან** ერთად აფხაზეთის კრებულს. ხასიათიდან და კონტინგენტებიდან გამომდინარე თამაში ამხანაგურის ჩარჩოს ნამდვილად სცილდებოდა. მატჩი საინტერესოდ წარიმართა და მეტოქეთა შორის მორიგება (ფრეზე გაყრა) რომ იყო გამორიცხული, ამაზე გაფრთხილებების სიმრავლე და გაძევებაც მეტყველებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **თემურ ქეცბაიას** თამაში. გულშემატკივრებმა მისი მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურეს. ქომაგები განსაკუთრებით აღაფრთოვანა მის მიერ გატანილმა ეფექტურმა გოლმა. დუბლის მითვლაც შეეძლო, მაგრამ პენალტი გააფუჭა. გოლზე დაგეშილი იყო **ვიტალი დარასელია**, მაგრამ მას გუშინ არ გაუმართლა.

რაც შეეხება საქართველოს კლუბების ნაკრებს, ამ გუნდს სეგრტმა გუშინ რამდენიმე ლეგიონერი დაამატა. კრებულს მონდომება არ აკლდა, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეთაგან, **გიორგი მერებაშვილი, დავით დევდარიანი** და **ირაკლი კლიმიაშვილი** განსაკუთრებით აქტიურობდნენ. სამწუხარო ის იყო, რომ გუშინდელ შეხვედრაში **ლაშა სალუქვაძე** დაშავდა.

**დავით ცაბაძე**



დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ ოთარ ხიზანეიშვილთან

# სამი წელიწადი აუგსბურგში უნდა დავამტკიცო




**ოთარ ხიზანეიშვილი** ახალ გუნდში გადავიდა. ხისტი, აგრესიული და საიმედო მცველი, ვისაც საქართველოს ეროვნულ გუნდში 19 მატჩი ჩაუტარებია, ისევ მეორე ბუნდესლიგაში აგრძელებს კარიერას.

ხიზანეიშვილს „ქაისერისფორში" შეეძლო გადასვლა, მაგრამ თურქეთს გერმანია ამჯობინა.

ხიზანეიშვილი 17 წლის იყო, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში იოჰან ბოსკამპმა რომ ათამაშა და მასზე ვერავინ იტყვის, ნაკრებში თავი დაუზოგავსო.

ხიზანეიშვილს „ფრაიბურგთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა...

ოთარს კონტრაქტის გაფორმებიდან რამდენიმე წუთში დავურეკეთ...

- „აუგსბურგთან" ორწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. კმაყოფილი ვარ, იმედია, ფეხბურთს ვითამაშებ. „აუგსბურგის" მთავარი მწვრთნელი ჰოლგერ ფახი მელაპარაკა და მითხრა, გენდობიო. ძალიან მინდა, საკუთარი თავი კარგად წარმოვაჩინო და ფეხბურთი ვითამაშო.

**- კიდევ რა გითხრა ფახმა?**

- მწვრთნელს უნდა, რომ მისი რეკომენდაციით აყვანილმა ფეხბურთელმა ძირითადში ითამაშოს, რომ არა ეს, ტრანსფერი რატომ შედგებოდა?

**- ბოლო ფრაიბურგულ სეზონში თამაში ფაქტობრივად, არ გიწევდა. ახალ კონტრაქტში თუ არის პუნქტი, რომ პირველი ათი ან სხვა რაოდენობის თამაშში სასტარტოში ითამაშებ?**

- არა, ასეთი პუნქტი კონტრაქტში არ არის.

**- როდის დაინტერესდა შენით „აუგსბურგი"? ალბათ, ეს გუნდი ადრეც იყო შენით დაინტერესებული...**

- მასეა, „აუგსბურგი" ჩემით პირველად საშუასეზონო პერიოდში დაინტერესდა.

**- ფახმა ის თუ გითხრა, კონკრეტულად რა პოზიციაზე გიპირებს თამაშს?**

- კი, „აუგსბურგს" მხოლოდ ცენტრალურ მცველად ვუნდივარ.

**- „აუგსბურგი" წკიპზე გადაურჩა მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნას. რა მიზანი გექნებათ დამდეგ სეზონში?**

- მეორე ბუნდესლიგის შვიდ საუკეთესო გუნდში მოხვედრა. მითხრეს, გუნდს დიდი ყურადღება დაეთმობაო. „აუგსბურგისთვის" ახალ სტადიონს აშენებენ.

**- რატომ ამჯობინე „აუგსბურგი" „ქაისერისფორს"?**

- ჯობდა, გერმანიაში დავრჩენილიყავი, თუ აქ ერთ კარგ სეზონს ითამაშებ, სერიოზულ გუნდში გადახვალ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოჯახი მყავს და ძალიან ძნელი იქნებოდა თურქეთში გადაბარგება. რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზულად მივუდგები საქმეს. ბოლო სამი წლის განმავლობაში ტრავმების თუ სხვა მიზეზთა გამო მხოლოდ ოცდახუთი მატჩი თუ ვითამაშე. დროა, სულ სხვანაირად წარიმართოს ჩემი საქმეები.

**- ახალ გუნდს როდის შეუერთდები?**

- 23 ივნისს.

**- ნომერი უკვე მოგცეს?**

- „აუგსბურგში" 3 ნომერი ვიქნები.

**- ამ ცოტა ხნის წინათ გვითხარი, რამდენიმე ვარიანტი მაქვსო. კიდევ რომელ გუნდში გქონდა გადასვლის შანსი?**

- „არმინიაში" და „ნიურნბერგში" გადასვლაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ მათ „აუგსბურგი" ვამჯობინე, რადგან უკეთესი პირობები შემომთავაზა და „აუგსბურგს" სხვებზე მეტად უნდოდა ჩემი აყვანა.

**დავით თავართქილაძე**

# პირველი ქართველი ბავარიაში

აუგსბურგი ბავარიაშია, სამხრეთ გერმანიის ალპურ მხარეში. ის ტრირის შემდეგ გერმანიის უძველესი ქალაქია. „აუგსბურგი" 1907 წელს დაარსდა და ბუნდესლიგაში არასდროს უთამაშია ასეთ ალაგსა და გუნდში მივიდა **ოთარ ხიზანეიშვილი.**

აუგსბურგში 260 000 კაცი ცხოვრობს და იქაურ ბავარიელებსაც ფეხბურთი ძალიან უყვართ. როცა „აუგსბურგი" „მიუნხენ 1860"-ს ხვდება, ეს უკვე ბავარიული დერბია. მოკლედ, ქალაქს შეუძლია ფეხბურთით სუნთქვა.

1983 წლის შემდეგ „აუგსბურგი" მეორე ბუნდესლიგას წინა სეზონში დაუბრუნდა და თვრამეტგუნდა მეორე ბუნდესლიგაში მე-14 ადგილი დაიკავა, ერთი საფეხურით ქვემოთ რომ ყოფილიყო, ქვედა ლიგაში აღმოჩნდებოდა.

**ჰოლგერ ფახი** აუგსბურგელთა მთავარი მწვრთნელი აპრილიდან გახდა. მანამდე ფახი „პადერბორნის" თავკაცი იყო და **დავით სირაძეს** მეტწილად სათადარიგოებში ამყოფებდა.

ამ დროისთვის ფახი ყველაზე სახელიანი აუგსბურგელია. გუნდის ფეხბურთელებიდან ვინმეს გამორჩევა ძალიან ძნელია. განვლილ სეზონში მათგან ყველაზე მეტი, ხუთი გოლი **მიხაელ თურკმა** გაიტანა.

რაც შეეხება ფახს, ფეხბურთელობამდე ტანმოვარჯიშე იყო, ბუნდესლიგაში კი საუკეთესო წლები მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გაატარა, 1995 წელს ამ გუნდში გერმანიის თასიც კი მოიგო. იყო „გლადბახის" და „ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელი.

**ჰელმუტ ჰალერი, ბერნდ შუსტერი და კარლ-ჰაინც რიდლე** - სანამ ამ ფეხბურთელებს სამყარო გაიცნობდა, „აუგსბურგში" დგამდნენ პირველ ნაბიჯებს. ჰალერმა 1966 წელს გამართულ მუნდიალზე ითამაშა და ფინალში გოლიც გაიტანა, რიდლე 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო შუსტერი ვინ არის, ახლა ალბათ უხერხულია ამაზე წერა და ლაპარაკი.

აუგსბურგის სტადიონზე 30 000 ქომაგი ეტევა, რომელთაც მათთვის უხერხული გვარის წარმოსათქმელად დიდი დრო ალბათ არ დასჭირდებათ - ხიზანეიშვილს ფეხბურთი შია და ბავარიის ამ კუნჭულში უნდა დაპურდეს.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ გიორგი ფოფხაძესთან

# ფოფხაძეს ბრონდბიუ და ოდენსე იწვევენ

## 20 ათასი კაცი ტაშს მიკრავდა, უზომოდ ბედნიერი ვიყავი

**გიორგი ფოფხაძე** დანიის უმაღლესი დივიზიონის "ვიბორგის" საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მართალია, წლეულს გუნდი უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა, მაგრამ თავად გიორგის დიდი აღიარება და პერსპექტივები გამოუჩნდა.

**- გიორგი, უპირველესად "ვიბორგის" საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებას გილოცავ.**

- დიდი მადლობა, ასე მგონია, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ არსებობს. თქვენ არ იცით, ეს დასახელება რამხელა ბედნიერებაა. გამოკითხვის შემდეგ თამაშს ჩვენ სტადიონზე ვატარებდით და 20 ათასი ადამიანი ჩემ სახელს რომ სკანდირებდა, ძნელია იმის გადმოცემა, რასაც მაშინ ვგრძნობდი.

სხვათა შორის, საქართველოს დროშა შემოვიხვიე, ფანებისკენ გავეშურე და ვესროლე. 21 წლის ბიჭისთვის დანიაში თუნდაც გავარდნილ გუნდში საუკეთესოდ დასახელება ძალიან ბევრს ნიშნავს. ეს არის პერსპექტივაც, უკეთეს გუნდში გადასვლის იმედიც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც აღიარებაა. როდესაც დანიაში გუნდის საუკეთესო ფეხბურთელად გასახელებენ, პერსპექტივა თავისთავად გიჩნდება.

**- საუკეთესო ფეხბურთელი ძვირადაც ფასობს და კლუბი გაგიშვებს?**

- სხვათა შორის, დანიაში თამაში აღმოსავლეთ ევროპაში თამაშს ამის გამოც სჯობს - ტრანსფერში ნაკლებ ფულს იხდიან და ნაკლებსვე ითხოვენ. ყველაფერი ოფიციალურად კეთდება და საქმეში კლუბი და მენეჯერია ჩართული. ზედმეტი ხელები გარიგების დროს გამორიცხულია. ეს ბევრს უშლის ხელს, ვინც აღმოსავლეთ ევროპაში თამაშობს. ამიტომაც მგონია, რომ თუ რომელიმე კლუბი მიმიწვევს, ყოველგვარი პრობლემის გარეშე გადავალ.

**- როგორც შევიტყვეთ, დანიურ გაზეთ „დითში" გამოქვეყნდა სტატია, სადაც ამტკიცებენ, რომ შენ „ოდენსე" და „ბრონდბიუ" გიწვევენ.**

- დიახ, იყო ასეთი ინფორმაცია, მაგრამ ჯერ ამაზე საუბარი არ მინდა და ნაადრევიცაა. როგორც ვიცი, ყველა დაინტერესებული კლუბი „ვიბორგის" ხელმძღვანელობას ესაუბრება, პირადად ჩემთან ჯერ არც ერთი არ მოსულა.

**- პირადად შენთვის „ოდენსე" უფრო მისაღები ვარიანტია თუ „ბრონდბიუ"?**

- საერთოდ, დიდ გუნდში თამაში მირჩევნია. ასე რომ ავილოთ, ცუდი სახელი „ვიბორგსაც" არ აქვს. უბრალოდ, მინდა, კიდევ ორი წელიწადი დანიის დონეზე ვითამაშო, ვისწავლო, რაც მთავარია, სათამაშო პრაქტიკა მქონდეს და მერე ძლიერ გუნდსა და ლიგაში გადავიდე. მაგალითად, გერმანიის რომელიმე კლუბში. ახლაც თუ ასე კონკრეტულად დადგება საკითხი, ისეთ კლუბში ვამჯობინებ წასვლას, სადაც თამაშის საშუალება მექნება.

**- იმედია, "ვიბორგში" დარჩენას და პირველ ლიგაში თამაშს, არ აპირებ.**

- "ვიბორგმა" კონტრაქტის გახანგრძლივება და გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზა და უარი ვუთხარი. წინადადებები არის, მაგრამ ჯერ თავს ვიკავებ. ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონო და როგორც ჩემი კარიერისთვის აჯობებს, ისე მოვიქცევი.

**- ეროვნული ნაკრების გაფართოებული სიის გამოქვეყნებას ყველა ფეხბურთელი ელოდებოდა. გულახდილად გვითხარი, ნაკრებში გამოძახების იმედი გქონდა?**

- ცხოვრებაში გარანტირებული არასდროს არაფერია, მათ შორის არც ნაკრებში გამოძახება. თუმცა სიმართლე გითხრათ, „ვიბორგის" საუკეთესო ფეხბურთელად რომ დამასახელეს, ვიფიქრე, ამას ფედერაციაშიც შეიტყობდნენ და მიმიწვევდნენ. არ ვტრაბახობ, მაგრამ 21 წლის ლლაპს ასეთი აღიარება ბევრგან არ ეღირსება. გამოდის, რომ გარკვეული წინსვლა მაქვს. არც ის მგონია, დანიის ჩემპიონატი დაბალი დონისა იყოს და იქიდან ფეხბურთელის მიწვევა არ ღირს.

სამწუხაროდ, ახლა სიაში არ აღმოვჩნდი და რა დასამალია, გული დამწყდა. პრეტენზიებს კი არავის ვუყენებ, ვიცი, რომ სეგრტს მოვწონვარ და სიმართლე გითხრათ, მისგან გამიკვირდა. თუმცა ეს არაფერია. უიმედოდ არასდროს ვყოფილვარ და მჯერა, ადრე თუ გვიან ნაკრებში მაინც ვითამაშებ. ათვალწუნებული რომ ვყოფილიყავი, ახალგაზრდულშიც არ მათამაშებდნენ. ცხოვრება ამ ორი თამაშით არ მთავრდება და შანსს როგორ არ მომცემენ?




**- სეზონი მთავრდება და ბუნებრივია, გვაინტერესებს, რჩები „ვიბორგში" თუ ახალ გუნდში გადადიხარ? შენი საუბრიდან გამომდინარე, ამაზე უკვე უნდა ფიქრობდე.**

- ჯერ ზუსტი პასუხის გაცემა არ შემიძლია. მაქვს კლუბის ხელმძღვანელობასთან ყოველდღიური ურთიერთობა და მალე ყველაფერი გაირკვევა.

**- კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- ჯერ კიდევ ერთი წელი მაქვს დარჩენილი, თუმცა წასვლაში ხელს არ შემიშლიან თუ რეალური ვარიანტი იქნება. 21 წლის ბიჭი, რომელიც გუნდის საუკეთესო ფეხბურთელია, დანიაში ძლიერ კლუბს, ვფიქრობ, იოლად მოძებნის. სხვათა შორის, მითხრეს, რომ ჩემი გაყიდვით თავად არიან დაინტერესებული. პირველ ლიგაში გავარდნენ და, ალბათ, ჩემი თამაში გაუმართლებელი იქნებოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რეზო ნაჭყეპიასთან

# მეოცე სეზონის ჩატარებასაც ვაპირებ

## ამერის მოთამაშე-მწვრთნელმა რეკორდი დაამყარა



**სტენლი მეტიუზის** რეკორდს ვერავინ გააუმჯობესებს – ინგლისელმა კარიერა 50 წლის ასაკში დაასრულა.

**კახა კალაძემ** რუსულ „სპორტ-ექსპრესთან“ ინტერვიუში საინტერესო პასუხი გასცა კითხვაზე - როგორ მოახერხა **პაოლო მალდინიმ** 41 წლამდე თამაში. „მილანში“ ისეთი სამედიცინო და აღდგენითი ცენტრია, თავისუფლად შეიძლება, ფეხბურთელმა 40 წლამდე ითამაშოსო.

საფეხბურთო ისტორიაში კარიერული „მათუსალობით“, ბევრი ფეხბურთელი ჩაეწერა. საქართველოშიც გვყავს საოცარი ადამიანები, მაგალითად, **მერაბ მეგრელაძე**, რომელმაც 43 წლის ასაკში დაასრულა თამაში და იმდენი კი მოასწრო, შვილთან, **გია მეგრელაძესთან** ერთ გუნდში ითამაშა.

არაფერს ვამბობთ მალდინიზე – „მილანში“ საუკეთესო სამედიცინო და აღდგენითი ცენტრია. იგივე მერაბ მეგრელაძესაც გაუმართლა, რადგან ქუთაისის "ტორპედოსა" და ლანჩხუთის "გურიას", თავის დროზე, მთელი რაიონი თავს ევლებოდა და მკურნალობა პრობლემა არ იყო.

აი, რამ გააძლებინა 38 წლამდე ფეხბურთში მეკარე **რევაზ ნაჭყეპიას**, ეს უკვე გამოცანაა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ყველა სეზონი უთამაშია. თან რა დროს? არეულ ქვეყანაში, როდესაც სამედიცინო მომსახურება, მით უფრო მაღალი დონის, საფეხბურთო კლუბების უმრავლესობისთვის მიუღწეველი ფუფუნება გახლდათ.

რეზო ნაჭყეპია წლეულს კარიერის დასრულებას აპირებს, თუმცა არაა გამორიცხული, საიუბილეო მეოცე სეზონი სიმბოლურად ჩაატაროს და ისე წავიდეს:

- ერთადერთი ფეხბურთელი ვარ, რომელმაც პირველიდან მოყოლებული, ყველა ჩემპიონატი ჩაატარა. 19 წელიწადი შეუსვენებლივ ვითამაშე და ეს ძალიან მეამაყება. 19 წელიწადია თამაშობენ ჩემი გუნდელი მეკარე ზურაბ ქვაჩახია და „ზესტაფონის“ თავდამსხმელი ზურაბ იონანიძე, მაგრამ ისინი წასულები იყვნენ და უცხოეთში ითამაშეს. დევაძემ და ხვადაგიანმა კი კარიერა დაასრულეს. ასე რომ, პირველი ჩემპიონატიდან მხოლოდ მე დავრჩი.

**- კარიერას როდის ასრულებ?**

- ახლა "ამერი 2"-ის მოთამაშე მწვრთნელი ვარ. კარიერის დასრულება მსურს, მაგრამ ამასთან, სიმართლე გითხრათ, კარიერის ოც სეზონამდე დამრგვალება და სიმბოლურად, ახალ სეზონში თუნდაც ერთი თამაშის გამართვა მსურდა. ვნახოთ, ჯერ ზუსტად არ ვიცი, ეს შესაძლებელია თუ არა.

**- შენი აზრით, 1990 წლის შემდეგ რა შეიცვალა?**

- ძალიან ბევრი რამ. ადრე უკეთესი ფეხბურთი იყო, მაგრამ სანახაობრივად, ახლა უკეთესია. ვგულისხმობ, ჩემპიონატის გაფორმებას, უფრო მეტად ცდილობენ საზეიმო გარემოს შექმნას, ადრე ასე არ იყო. თუმცა პირველი სამიოთხი ჩემპიონატი მაღალი დონის იყო. მერე, ცხადაძე-არველაძეების თაობა რომ ერთიანად წავიდა, ჩემპიონატიც უკან-უკან წავიდა. თუმცა ახლა არის ისეთი ფაქტორები, შეიძლება, თავი უფრო იგრძნო ფეხბურთელად, ვიდრე ადრე.

**- წლები გავიდა. ქართული ფეხბურთის მდგომარეობა შეაფასე და რა დასკვნა გამოგაქვს – ჩვენი ამბიციები გადაჭარბებულია?**

- პოტენციალს ვხედავ. შესაძლოა, ბანალურს ვამბობდე, მაგრამ მართლა ძალიან ნიჭიერი ბავშვები მოდიან, თუმცა ბევრი უფულობის გამო, ფეხბურთიდან მიდის. ჩვენ დროს ხან სად გვქონდა შეკრებები და ტურნირები და ხან სად. მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარე და გარკვეული გამოცდილება მივიღე. საერთაშორისო თამაშები იყო, ათასგვარ სტილს, სკოლას, ვეცნობოდით და ვიგებდით ჩვენს პლუს-მინუსებს. ვსწავლობდით, სხვისგან რაღაცის გადმოღებას ვცდილობდით, მოკლედ, ასე გუნდის და ცალკეული ფეხბურთელიების გაზრდის მეტი საშუალება იყო.

ახლა ბავშვებს 10-დღიან შეკრებაში იმხელა ფულს ართმევენ, რომ შეუძლებელია, თანაც, ჩვენ ჩვენში ვიხარშებით, სკოლები კი არა, უცხოურ შეკრებაზე უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდი ვერ მიდის, საერთაშორისო გამოცდილებას ვერ იღებენ და წინსვლის ნაკლები საშუალება აქვთ. არადა, რომ იცოდეთ, რა ნიჭიერი თაობები მოდის. მათ ხელშეწყობა სჭირდებათ და რატომაც არ გვეყოლება ძლიერი ჩემპიონატი და ნაკრებები?

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ

# ფაქტები, ფაქტები

ყველაზე მეტმა, 58-მა ფეხბურთელმა "მერანის" შემადგენლობაში ითამაშა.

ყველაზე ცოტამ, 24-მა ფეხბურთელმა ჩემპიონი "დინამოს" ღირსება დაიცვა.

ყველა მატჩი შეუცვლელად არავის ჩაუტარებია.

26-ივე ტურში ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს: **დავით დიღმელაშვილმა** (დინამო) და **დაჩი ფოფხაძემ** (ლოკომოტივი)

26-ივე ტურში ითამაშეს: **სევასტი თოდუამ** (ზესტაფონი), **პაატა გვირჯიშვილმა** (მესხეთი) და **დავით ინასარიძემ** (მესხეთი).

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი დინამოელი **მიხეილ ხუციშვილი** გახდა 16 გოლით.

ყველაზე მეტი გაფრთხილება **ზვიად ჩხეტიანმა** (მესხეთი/ლოკომოტივი) მიიღო – 15.

2-2-ჯერ გააძევეს: **ლევან ვართაგავა** (მგლები), **ლევან კაკუბავა** (ბორჯომი), **ირაკლი სამხარაძე** (ლოკომოტივი).

დისკვალიფიკაციის გამო ჩემპიონატის ყველაზე მეტი, 6 მატჩი გამოტოვა "დილას" წევრმა **ალბერტ საყვარელიძემ**, 5 - "ვიტ ჯორჯიას" სათადარიგო მეკარე **არდალიონ მიქაბერიძემ**. 4-4 თამაშით დაისაჯნენ **გიორგი ქუცურუა** (სიონი), **ირაკლი სამხარაძე** (ლოკომოტივი) და **ნიკოლოზ გუშარაშვილი** (ლოკომოტივი).

სეზონი ერთი მწვრთნელით ჩაატარეს: "დინამომ" (**დუშან უჰრინი**), "ვიტ ჯორჯიამ" (**ნესტორ მუმლაძე**), "ზესტაფონმა" (**თემურ მახარაძე**), "ამერმა" (**გიორგი ჩიხრაძე**), "მესხეთმა" (**კობა თედიაშვილი**), "მგლებმა" (**ბესიკ შეროზია**), "ბორჯომმა" (**ვლადიმერ ხაჩიძე**), "ლოკომოტივმა" (**გიორგი კიკნაძე**) და "სპარტაკმა" (**კობა ჟორჟიკაშვილი**).

"ოლიმპმა" სეზონის მსვლელობისას სამი მწვრთნელი შეიცვალა - **ვარლამ კილასონია** პირველივე ტურის შემდეგ ჩამოაქვეითეს, **ანატოლი პისკოვეცი** კი მეორე წრეში **ხვიჩა ქასრაშვილმა** შეცვალა.

კილასონია პირველი ტურის შემდეგ მოხსნეს, "სიონის" თავკაცი **ნოდარ აკობია** კი მეორე ტურის შემდეგ.

"სიონი" ერთადერთი უმაღლესლიგელია, რომელმაც თასის ჯგუფურ ეტაპამდე ვერ მიაღწია.

ქასრაშვილის ხელმძღვანელობით "ოლიმპმა" 7 მატჩი ჩაატარა და შვიდივე მოიგო.

**შოთა გრიგალაშვილმა** პირველი წრე "ბორჯომში" ჩაატარა, მეორე წრის სტარტზე "დინამოში" ერთი მატჩი გამართა, რის შემდეგაც ისევ "ბორჯომს" დაუბრუნდა.

შეცვლაზე ყველაზე მეტჯერ, 20-ჯერ **ზურაბ იონანიძე** (ზესტაფონი) შევიდა. თამაშის მსვლელობისას მოედანზე 14-ჯერ შევიდა **ილია სპასოევიჩი** (დინამო), 12-12-ჯერ **ვასილ ლუქაშვილი** (ვიჯ ჯორჯია) და **დიმიტრი ტატანაშვილი** (ამერი).

შეცვლაზე შესულმა ტატანაშვილმა 8 გოლი გაიტანა.

გასულ სეზონში ორი მატჩი ჩაიშალა: პირველ წრეში "ამერი"-"ვიტ ჯორჯია" მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელთა ინიციატივით შეწყდა, მეორე წრეში კი "ცხინვალი"-"დილა" "დილას" ფეხბურთელებმა შესვენებისას ჩაშალეს.

"ვიტ ჯორჯიას" მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი** ერთადერთია, რომელმაც თამაშში საშუალოდ ნახევარ გოლზე ნაკლები გაუშვა.

ყველაზე მეტმა, 5-მა მეკარემ "ბორჯომის" შემადგენლობაში ითამაშა, 4-მა გოლკიპერმა კი "ოლიმპის" რიგებში.

"დინამომ" ჩემპიონობა სამწლიანი პაუზის შემდეგ მოიპოვა.

"ვიტ ჯორჯია" უეფას თასზე მესამედ, "ზესტაფონი" კი პირველად ითამაშებს. ვეტერინარებს უეფას თასის პირველი ეტაპი არასოდეს გადაულახავთ.

მესამეადგილოსანი "ზესტაფონი" პირველად შესწვდა საქართველოს ჩემპიონატის მედლებს.

ინტერტოტოზე გამსვლელი კლუბი საბოლოოდ ჯერ არ გარკვეულა. "ამერი" და "ოლიმპი" უარს ამბობენ, რიგში "სიონი" და "ბორჯომი" არიან...



დუშან უჰრინმა კარიერა საქართველოში დაასრულა



შეცვლაზე ყველაზე მეტჯერ ზესტაფონელი ზურაბ იონანიძე შევიდა



ვიტჯორჯიელმა გრიგოლ ბედიაშვილმა თამაშში საშუალოდ ყველაზე ნაკლები გაუშვა

"ბათუმი" უმაღლესი ლიგიდან პირველად გავარდა.

"დილამ" ჩემპიონატში ერთადერთი მატჩი მოიგო და ისიც პირველივე ტურში – შინ "ბათუმთან" 1:0.

ამ სეზონში კარიერა დაასრულეს: **აკაკი დევაძემ** (მგლები), **ვახტანგ ხვადაგიანმა** (ამერი), **დავით გვარამაძემ** (ლოკომოტივი) და **თენგიზ კობიაშვილმა** (მერანი).

ლეგიონერთა შორის საუკეთესო ბომბარდირი "ზესტაფონის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ვიეირაა** 12 გოლით.

ერთადერთი ლეგიონერი, რომელმაც სეზონის მსვლელობისას ერთი ქართული კლუბიდან მეორეს მიაშურა, **ერნესტ აკუასაგაა**. იგი "ოლიმპიდან" „ზესტაფონში“ გადავიდა.

"ზესტაფონს" **ედსონ სანტოსი** დაახლოებით 9-თვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. შეგახსენებთ, იგი ბრაზილიაში მეუღლის გაუპატიურების გამო იყო მიბრუნებული.

თასის მფლობელი "ზესტაფონი" დაშლის საფრთხის წინაშე იდგა და კლუბის მესვეურებმა მეორე წრის განახლებამდე ორიოდე დღით ადრე გადაიფიქრეს ჩემპიონატიდან გასვლა.

"ლოკომოტივის" უმაღლეს ლიგაში დარჩენა მეტწილად **ალექსიძე-ცქიტიშვილი-დარასელიას** ტრიომ განაპირობა. მათ მისვლამდე რკინიგზელები გასავარდნ ზონაში იყვნენ.

უმაღლესი ლიგის დებიუტანტებმა ღირსეულად იასპარეზეს. "მესხეთმა" და "მგლებმა" შესამისად, მე-6 და მე-7 ადგილი დაიკავეს.

ჰეთ-თრიქი შეასრულეს: **მიხეილ ხუციშვილმა** (დინამო), **ჯორჯ აკირემიმ** (დინამო), **ზურაბ იონანიძემ** (ზესტაფონი) და **ვიეირამ** (ზესტაფონი).

ლოკომოტიველმა **რატი ალექსიძემ** ჩემპიონატის ბოლო სამ მატჩში ზედიზედ შეასრულა დუბლი.

**დუშან უჰრინმა** თავისი ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერა თბილისის "დინამოში" დაასრულა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ფიორენტინამ ოდოს დაუძახა

## ფლორენციელთა სპორტული დირექტორი ჯილარდინოს აგენტსაც შეხვდა

დიდია შანსი, რომ **მასიმო ოდო** "მილანიდან" წავიდეს. "ტუტოსპორტის" მტკიცებით, მარჯვენა მცველს "ფიორენტინა" ეპატიჟება. ამ მომენტისთვის, კლუბები **ალბერტო ჯილარდინოს** ტრანსფერს განიხილავენ. იმავე გამოცემის მტკიცებით, ოდომ "როსონერის" უფროსობა უკვე საქმის კურსში ჩააყენა. ფეხბურთელს უკმაყოფილების მიზეზი აქვს. ჩემპიონატის მეორე ნახევარში **კარლო ანჩელოტი** მას იშვიათად ენდობოდა. მართალია, ეს ტრავმების გამოც ხდებოდა, მაგრამ ოდო სხვაგვარად ფიქრობს. **რობერტო დონადონისთან** ერთად, ის ანჩელოტისაც ადანაშაულებს იმაში, რომ ნაკრების საევროპო სიაში ვერ მოხვდა...

"მილანისა" და "ფიორენტინას" წარმომადგენლებს შორის დისკუსია გუშინაც გაიმართა. მხარეებმა, ძირითადად, ჯილარდინოს მომავალზე ისაუბრეს. ამ საუბრისას ფლორენციელებმა ოდოსადმი ინტერესიც გაამჟღავნეს. თუ "ტუტოსპორტს" დავუჯერებთ, "მილანის" მესვეურნი 32 წლის მცველს კალთებს არ დაახევენ. გუშინვე, "ვიოლას" სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო** ჯილარდინოსა და ოდოს აგენტებს შეხვდა და როგორც თავად განაცხადა, მთელი დღე მათთან დისკუსიებში გაატარა. ჯერჯერობით, ტრანსფერი ჩანასახის სტადიაშია. ოდოსთან დაკავშირებით, მხარეებს ფინანსური დეტალები არ განუხილავთ. ჯილარდინოს კი, როგორც პრესა ამტკიცებს, "როსონერი" 12 მილიონ ევროდ შეელევა.


მასიმო ოდო

პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს "ფიორენტინა" "ემპოლის" 23 წლის მცველ **ანდრეა რაჯისაც** ეპატიჟება. ის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა, ამ სეზონში კი 33 მატჩი ჩაატარა. რაჯი მარჯვენა მცველია და, შესაძლოა, ოდოს ალტერნატივადაც მოიაზრებოდეს. მოგეხსენებათ, "ემპოლი" სერია B-ში გავარდა. ნიჭიერი მცველი ამბიციის ნაკლებობას არ უჩივის და აცხადებს, რომ ქვედა დივიზიონში თამაში არ სურს. ის სიხარულით ხვდება ფლორენციაში გადაბარგების იდეას, რაშიც მთავარ როლს ჩემპიონთა ლიგის ფაქტორი თამაშობს.

ცნობილია, რომ ტოსკანური კლუბი მას 5 მილიონ ევროდ გაყიდის. თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ მის აგენტს "ემპოლის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებული აქვს. იქვე, რაჯი "პალერმოს" დაინტერესებაზეც საუბრობს, მაგრამ ცხადია, არჩევანზე თუ მიდგა საქმე, უთუოდ "ფიორენტინას" მიაშურებს.

# ინტერი სუპერმარიოს ყიდის?

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, "ინტერმა", შესაძლოა, **მარიო ბალოტელი** გაყიდოს. "სუპერმარიოდ" წოდებული 18 წლის ფორვარდი ამ სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენაა. მან რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და, შეიძლება ითქვას, პირადად გააგდო "იუვენტუსი" იტალიის თასიდან. საგულისხმოა, რომ ვიდრე **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ტრავმა ჰქონდა, **რობერტო მანჩინი** თავდასხმაში სწორედ ბალოტელიზე აკეთებდა აქცენტს, და არა გამოცდილ **ერნან კრესპოზე**.

ისმის კითხვა: მაინც რატომ უნდა გაყიდოს "ნერაძურიმ" პერსპექტიული ფორვარდი? საქმე კონტრაქტშია. კლუბი და ფეხბურთელი ახალ ხელშეკრულებაზე ვერ თანხმდებიან. მიმდინარე კონტრაქტი მას 2010 წლის ივნისში ეწურება. ბალოტელი სეზონში სასაცილოდ ცოტას ("ინტერის" საზომებით), 60 ათას ევროს იღებს. ფეხბურთელი ჯამაგირის მკვეთრ მომატებას ითხოვს. "ინტერი" თანახმაა, "სუპერმარიოს" გაუმჯობესებული კონტრაქტი შესთავაზოს, მაგრამ არა იმდენი, რამდენსაც "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი" ჰპირდებიან. საუბარია მილიონებზე.


მარიო ბალოტელი

"გაძეტას" ინფორმაციით, ბალოტელის ძმები, **კორადო** და **ჯონი**, რომლებიც ამავდროულად მისივე აგენტები არიან, უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს "ინტერის" ხელმძღვანელობასთან, თუმცა შედეგი, ჯერჯერობით, არ ჩანს. მორიგი რაუნდი ორშაბათს შედგება და თუ მხარეები ამ შეხვედრის დროსაც ვერ მივლენ კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე, ბალოტელის აბარგების საკითხი რეალურად დადგება დღის წესრიგში. მერე კი ყველაფერი "მანჩესტერისა" და "ჩელსის" მარიფათზე იქნება დამოკიდებული.

# ხოაკინს ატლეტიკოში ასაღებენ

## როხიბლანკოს ტიაგო არ დავიწყებია, იუვეს კი ტოტენჰემის ვარიანტი მოსწონს

გუშინდელ წერილში გაუწყეთ, რომ "ვალენსია", შესაძლოა, რომელიმე ვარსკვლავს შეელიოს. წარუმატებელი სეზონის გამო, კლუბს ფინანსური სირთულეები აქვს და გამოსავალს წამყვანი ფიგურების გაყიდვაში ხედავს. "ლამურების" ხელმძღვანელობამ ახალ მწვრთნელ **უნაი ემერის** უკვე განუცხადა, რომ ერთი-ორი საკვანძო ფიგურის გასხვისებას უნდა შეეგუოს. მეტი რა გზა აქვს 36 წლის სპეციალისტს, რომელსაც წინ დიდი გამოწვევა ელოდება. მეორე მხრივ, "ვალენსიის" მესვეურებს სჭირდებათ ფული იმისთვის, რათა ახალი გუნდის შენება დაიწყონ. თავისთავად, ემერისთვის არც ეს პერსპექტივაა მიულებელი.

ერთი-ერთი, ვინც გასაყიდთა სიაში შეიძლება აღმოჩნდეს, **ხოაკინია**. ინფორმაციას პოპულარული გამოცემა "მარკა" ავრცელებს. მას "ატლეტიკოს" შესთავაზებენ. მადრიდული კლუბი ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა და გაძლიერების მიზნით, გარკვეულ ტრანსფორმაციას გეგმავს. ხოაკინი, რომელიც "მესტალიაზე" "ბეტისიდან" გადაბარგდა, სეზონში 1.8 მილიონ ევროს იღებს და კლუბთან კიდევ 4-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს. მარჯვენა გარემარბის გაყიდვა "ვალენსიას" სერიოზულ თანხას გამოუთავისუფლებს. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე მასში 27 მილიონი ევრო გადაიხადეს. ხოაკინის კონტრაქტში წერია, რომ მსურველმა კლუბმა მასში 40 მილიონი უნდა გადაიხადოს. იმედია, "ვალენსიის" ბოსები ხვდებიან, რომ ეს ზღაპარია. ამიტომ, მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ექს-ბეტისელში კლუბი 15 მილიონ ევროს უნდა დასჯერდეს. სხვათა შორის, იანვარში "რომას" "ვალენსიას" 18 მილიონსაც სთავაზობდა. ხოაკინი თანახმა იყო ტრანსფერზე, მაგრამ მაშინდელ პრეზიდენტ **ხუან ბაუტისტა სოლერს** რომაელთა შეთავაზება სასაცილოდ არ ეყო...


ხოაკინი

სხვა საქმეა, თავად "ატლეტიკოს" თუ უნდა ხოაკინი. "მარკას" მტკიცებით, "როხიბლანკომ" თვალი დაადგა **პაბლო ერნანდესს** (ისიც მარჯვენა ნახევარმცველია), რომელსაც "ხეტაფეში" არენდის ვადა ამოეწურა და "ვალენსიაში" დაბრუნდა.

"ატლეტიკოს" მზერა მიპყრობილია **ტიაგო მენდეშისკენაც**. გახსოვთ, ალბათ, "როხიბლანკო" და "იუვენტუსი" პორტუგალიელი ნახევარმცველის ტრანსფერზე მოლაპარაკებებს იანვრის კამპანიის დროს აწარმოებდნენ. მაშინ, "სინიორამ" არარეალურად დიდი თანხა მოითხოვა და დიალოგიც უმალ შეწყდა. ტიაგო "ლიონისგან" 7 მილიონ ევროდ იყიდეს, ტურინელებმა კი 12 მილიონი დაადეს ფეხბურთელს, რომელმაც პირველ წრეში მხოლოდ რამდენიმე მატჩი ჩაატარა. მერე, "ატლეტიკომ" "ინტერში" გაუშვა **მანიშე**, რომლის შემცვლელადაც სწორედ ტიაგო ესახებათ. მაგრამ საქმე ისაა, რომ "იუვენტუსმა" "ტოტენჰემისგანაც" მიიღო წინადადება. როგორც ამბობენ, პრემიერლიგური კლუბი "ქალბატონს" გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობს.

ბენფიკა

# კიკე ფლორესი მოდისო...

როგორც პოპულარული პორტუგალიური გამოცემა "ა ბოლა" ამტკიცებს, "ბენფიკას" მწვრთნელად **კიკე სანჩეს ფლორესი** ინიშნება. ესპანელი ტაქტიკოსი "ვალენსიიდან" გათავისუფლების შემდეგ უმუშევარია. ლისაბონურ გრანდსა და 43 წლის ფლორესს შორის მოლაპარაკებები დასკვნით სტადიაშია. "ა ბოლას" მონაცემებით, კიკესთან 3-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდება. როგორც ამბობენ, ფლორესის კანდიდატურას ლობირებს "ბენფიკას" ახალი სპორტული დირექტორი, ლეგენდარული **რუი კოშტა**, რომელიც კანდიდატთან მოლაპარაკებას პირადად აწარმოებს. რუიმ ესპანელს კლუბის ახალი პროექტი გააცნო, თავად კი მწვრთნელისგან იმ ფეხბურთელების ვინაობა გაიგო, ვის მიწვევასაც ფლორესი ითხოვს...

კონტრაქტის გაფორმება დღეისთვისაა მოსალოდნელი. "ბენფიკას" პრეზიდენტი **ლუიშ ფელიპე ვიეირა** ბრაზილიიდან დაბრუნდება და მოლაპარაკების ბოლო რაუნდიც, თავისი ხელმოწერით, სწორედ ამის მერე შედგება. პრესის წინაშე კი ფლორესს ორშაბათს წარადგენენ. ცხადია, რომ მის მიმართ მთავარი მოთხოვნა "არწივებისთვის" ძველი დიდების დაბრუნებაა. შეგახსენებთ, რომ ფლორესამდე, "ბენფიკა" სერ **ალექს ფერგიუსონის** თანაშემწე **კარლუშ კეიროშს**, **სვენ გორან ერიქსონსა** და **მიკაელ ლაუდრუპს** იწვევდა.


კიკე სანჩეს ფლორესი

იტალიის თასი.
ინტერი-რომა.
ფინალის წინ

# ინტერი: არც იბრა, არც კრუსი

დღეს იტალიის თასის ფინალია. "რომა" და "ინტერი" ზედიზედ მეოთხედ ხვდებიან ერთმანეთს დასკვნით სათასო შეხვედრაში. წინა სამიდან "ნერაძურიმ" ორი მოიგო. "ჯალოროსი" დაბალანსებას შეეცდება. საამისოდ, **ლუჩანო სპალეტის** საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს. "ინტერს" კი წამყვანი მოთამაშეების მთელი წყება აკლია. "პარმასთან" მატჩის შემდეგ, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** მარცხენა მუხლის ტკივილს უჩიოდა. ბოლო დღეებში ის ცალკე ვარჯიშობდა. გუშინ გაირკვა, რომ სერია A-ს ბოლო უიქენდის გმირი გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს. ამას გარდა, **ხულიო კრუსი** და **მარკო მატერაცი**, "ლაციოსთან" საპასუხო ნახევარფინალის დროს მომხდარი შეხლა-შემოხლის გამო, დისკვალიფიცირებულნი არიან.

იბრაჰიმოვიჩის დარად, ტრავმები აწუხებთ **ლუიშ ფიგუსა** და **სანტიაგო სოლარის**, აღარაფერს ვამბობთ **ოლივიე დაკურზე**, **ვალტერ სამუელსა** და **ივან კორდობაზე**, რომლებიც დიდი ხანია მკურნალობენ. ბოლო მომენტამდე ღიად რჩებოდა **ესტებან კამბიასოს** საკითხი. ის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში დაშავდა და იმედი ჰქონდა, რომ თასის ფინალისთვის გამოჯანმრთელდებოდა, მაგრამ მაინც თამაშგარეთ რჩება. **რობერტო მანჩინისთვის** ერთადერთი კარგი ამბავი ისაა, რომ ტრავმისგან განიკურნა **კრისტიან კივუ**, რომელიც დღეს სასტარტო შემადგენლობაში იქნება.

ლაციო

# რჩება თუ არა როსი?

## ლაციალე აიმარს დაუკავშირდა



დელიო როსი

"ლაციოს" მწვრთნელ **დელიო როსის** საკითხი კარგა ხანს გაურკვეველი იყო. პრესა დაჟინებით ამტკიცებდა, რომ კლუბის პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** სხვა, უფრო ძლიერ სპეციალისტს ეძებდა. ერთი ხანობა, **მარჩელო ლიპიზეც** კი იყო საუბარი, ხოლო ყველაზე რეალურ ალტერნატივად "პალერმოს" დამრიგებელი **სტეფანო კოლანტუონო** სახელდებოდა...

ფაქტია, "ლაციალემ" კოშმარული სეზონი ჩაატარა და ლოტიტოს საკმარისი მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, რათა მწვრთნელისთვის კარისკენ მიეთითებინა. იყო მომენტი, როცა სახელოვან კლუბს სერია A-დან გავარდნაც კი ემუქრებოდა, მაგრამ ბოლო ორ ტურში მოპოვებულმა ექვსმა ქულამ გუნდი საშვილიშვილო სირცხვილისგან იხსნა. არადა, შარშან "ბიანკოჩელესტე" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა. წლევანდელ კამპანიას კი ადრეულ ეტაპზევე შეეწირნენ "ლაციოს" სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** და გენერალური მენეჯერი **ჯამპიერო პერსიკეტი**...

გარდა წმინდა სპორტული მხარისა, როსის იმიჯი ცნობილმა სკანდალმაც შელახა. საქმე წინა სეზონს ეხება. პრესაში გამოქვეყნდა გაშიფრული ჩანაწერი, რომელშიც მწვრთნელი სთხოვს პრეზიდენტ ლოტიტოს, "ემპოლის" ხელმძღვანელობისგან მომავალი მატჩისთვის გარკვეული გარანტიები მიიღოს. ამის გამო, ფეხბურთის ფედერაციამ როსი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, "ლაციოს" კი 15 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

მოკლედ, ლოტიტომ გუშინ ყველანაირ სპეკულაციას წერტილი დაუსვა. მან მედიას დაუდასტურა, რომ როსი მომავალ სეზონშიც "ოლიმპიკოზე" იმუშავებს: *"ჩვენ გვქონდა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო მხოლოდ დეტალების განხილვა, სხვა არაფერი. ახლა კი შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ დელიო როსი მომავალ სეზონშიც ჩვენი მწვრთნელი იქნება".*

დაბოლოს, ერთი სატრანსფერო ინფორმაცია. მოგეხსენებათ, "სარაგოსა" პრიმერა დივიზიონიდან გავარდა. მოსალოდნელია და ლოგიკურიც იქნება, რომ კლუბმა ფასეული მოთამაშეები გაყიდოს. ამათ შორისაა არგენტინელი **პაბლო აიმარიც**. 28 წლის ფლეიმეიქერზე პრეტენზიას, თურმე, "ლაციო" აცხადებს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, კლუბებს შორის მოლაპარაკებები ჯერ არ დაწყებულა. არაგონელები აიმარში 8-10 მილიონ ევროს მოითხოვენ, "ლაციალე" კი საიჯარო ხელშეკრულების წინადადებას ამზადებს.

ფრანგული ამბები

# დეშამი ლიონში, კანავარო მონაკოში...

მონტე კარლოდან საინტერესო ამბავი მოვიდა. "მონაკო", რომელსაც ბოლო ხანებში წარუმატებლობა დასჩემდა, არც მეტი, არც ნაკლები, **ფაბიო კანავაროს** შეძენას ცდილობს. "ფრანს ფუტბოლი" ირწმუნება, რომ პრინსიპატული კლუბის ხელმძღვანელობა "რეალს" უკვე დაუკავშირდა და პირობებიც შესთავაზა. გამოცემას არ აქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენს გადაიხდის "მონაკო" მსოფლიო ჩემპიონში, თუმც ცნობილი ყოფილა ის, რომ თავად ფეხბურთელს წლიურად 2 მილიონ ევროს დაუნიშნავს. მიზერულია იმის შანსი, რომ კანავარო ამხელა მსხვერპლზე წავიდეს, რადგან "სანტიაგო ბერნაბეუზე" 3-ჯერ მეტს იღებს. შესაბამისად, "მონაკოს" შეთავაზებას პოპულიზმის ელფერი დაჰკრავს, აქაოდა, იმედგაცრუებულ ქომაგებში ცოტათი რენომეს ავიმაღლებთო...

უფრო სარწმუნოა მეორე ინფორმაცია. მონეგასკებს წინადადება **ლილიან ტურამისთვისაც** გაუგზავნიათ. მოგეხსენებათ, "ბარსელონა" მასობრივი წმენდისთვის ემზადება და რეალურია, რომ "შავ სიაში" ფრანგი ვეტერანიც აღმოჩნდეს. ტურამი გადაწყვეტილებას ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მიიღებს...

მოცდას ამჯობინებს **სამირ ნასრიც**, რომელიც "არსენალის" სამიზნეშია. მისით დაინტერესებულთა რიცხვს უკვე "რეალი" და "ინტერიც" შეუერთდნენ. "ახალი ზიდანი" 28 მაისს დაელოდება. ამ დღეს, **რაიმონ დომენეკმა** საფრანგეთის ნაკრების 23-კაციანი საევროპო განაცხადი უნდა გამოამზეუროს. ამჟამად, "ლურჯების" გაფართოებულ სიაში 30 ფეხბურთელია. დომენეკმა 7 სახლში უნდა დატოვოს. შეიძლება, ნასრის ეჭვი აქვს, რომ უიღბლოთა შორის ისიც მოხვდება...



დიდიე დეშამი

**ალენ პერენმა** კი, შესაძლოა, დღეს ბოლოჯერ უხელმძღვანელოს "ლიონს", რომელიც საფრანგეთის თასის ფინალში "პარი სენ ჟერმენს" ხვდება. კლუბის პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა**, მიუხედავად ზედიზედ მეშვიდე საჩემპიონო ტიტულისა, პერენის მუშაობით უკმაყოფილო ბრძანებულა. მართლაც, მეორე წრე კლუბმა ულიმღამოდ ითამაშა და ზამთარში "განაღდებული" ჩემპიონობა კინაღამ "ბორდოს" დაუთმო.

პერენის შემცვლელად ჯერაც უმუშევარ **დიდიე დეშამს** მოიაზრებენ. "იუვენტუსის" ექსთავკაცმა სამწვრთნელო სკამზე დაბრუნების სურვილი გამოთქვა: *"ძალიან მინდა, ფეხბურთს დავუბრუნდე. ვფიქრობ, ერთწლიანი შესვენება სასარგებლო იყო. "ლიონი"? არსებობს კი მწვრთნელი, რომელიც ასეთ გუნდში მუშაობაზე უარს იტყოდა?"*

სხვათა შორის, "ლიონში" დანიშვნის კანდიდატია **ლორან ბლანიც**, რომელსაც "ბორდოში" ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. მისი კომენტარი ლაკონურია: *"არ შეიძლება, "ლიონზე" თქვა - არა".*

ჰამბურგი. ინტერვიუ მარტინ იოლთან

# ჰამბურგს ხუთ წუთში დავეთანხმე

## იოლი ჩრდილოგერმანული კლუბის ფანებს სანახაობრივ, თავბრუდამხვევ ფეხბურთს ჰპირდება

**და აი ისიც:** "ჰამბურგის" ახალი მთავარი მწვრთნელი მარტინ იოლი, რომელმაც ამ თანამდებობაზე ჰუუბ სტევენსი შეცვალა. ჩრდილოგერმანული კლუბის შეფები ახალ დამრიგებელს ძალიან დიდხანს ეძებდნენ და ბოლოს არჩევანი ისევ ჰოლანდიელზე შეაჩერეს. 52 წლის სპეციალისტი ამბობს, ჩემს ხელში "ჰამბურგმა" თავბრუდამხვევი, უაღრესად შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოსო. იოლს HSV-ს თავკაცის რანგში პირველი ინტერვიუ "კიკერმა" ჩამოართვა.

**- ჰერ იოლ, "ჰამბურგს" ზუსტად ექვსი თვე დასჭირდა იმისათვის, რომ ახალი მწვრთნელი ეპოვა. თქვენ რამდენ ხანს იფიქრეთ იმაზე, გეთქვათ თუ არა "ჰამბურგისთვის" თანხმობა?**

- გადაწყვეტილება ზუსტად 5 წუთში მივიღე.

**- დავიჯეროთ, 5 წუთზე მეტი არ გიფიქრიათ?**

- არა. დიტმარ ბაიერსდორფერმა პირველად შვიდი კვირის წინათ დამირეკა და როგორც გითხარით, მხოლოდ 5 წუთი ვიფიქრე. მადლიერი ვარ იმის გამო, რომ ისეთ დიდ გუნდში მუშაობის საშუალება მომეცა, როგორიც "ჰამბურგია". ეს ჩემთვის უდიდესი გამოწვევაა.

**- ბოლოს პრემიერლიგაში მუშაობდით, ახლა კი ბუნდესლიგაში გადმოინაცვლეთ. ბევრი მიიჩნევს, რომ ეს რეგრესია...**

- ინგლისში მეტი ფული ტრიალებს და ტელევიზიები კლუბებს გაცილებით მეტს უხდიან. სამაგიეროდ, გერმანიას სხვა პლუსები აქვს და კერძოდ ის, რომ სტადიონები ყოველთვის ივსება. ზოგადად, ბუნდესლიგას დასწრების მხრივ ევროპაში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. ესეც არ იყოს, ბოლო დროს აშკარად შეინიშნება ის ტენდენცია, რომ გერმანიაში უმაღლესი კლასის ოსტატები ნელ-ნელა ბრუნდებიან. მაგალითად, გერმანიაში უკვე თამაშობენ ფრანკ რიბერი, დიეგო, ლუკა ტონი და რაფაელ ვან დერ ვაარტი.

**- ვან დერ ვაარტი ახსენეთ და ბარემ გვითხარით, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ჰოლანდიელი? როგორც იცით, დიდი შანსია, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მან "ჰამბურგი" დატოვოს...**

- რაფაელი გუნდის თამაშის რიტმს არეგულირებს. ინგლისშიც ყველამ იცის, რომ ვან დერ ვაარტი დიეგოსთან ერთად, ბუნდესლიგის საუკეთესო გამთამაშებელია. და სხვათა შორის, ყველა ფიქრობს, რომ ორივე მათგანი ევროპის საუკეთესო ფლეიმეიქერთა ხუთეულში შედის. "ჰამბურგისთვის" ვან დერ ვაარტი ნატვრის თვალია.

**- როგორ ფიქრობთ, გაქვთ იმის შანსი, რომ ჰოლანდიელს წასვლა გადააფიქრებინოთ?**

- ფეხბურთი კარგად ვიცი და ისიც მესმის, რას გრძნობს ფეხბურთელი, როცა მას გუნდიდან წასვლა უნდა. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია, არის ის, რომ რაფაელს დაველაპარაკოთ და ვეცადოთ, წასვლა გადავაფიქრებინოთ. დანარჩენი მისი საქმეა. თუ წასვლა ძალიან უნდა, ზეწოლას აზრი არა აქვს, მაშინ უნდა წავიდეს.

**- რა არგუმენტით უნდა მოაწონოს თავი "ჰამბურგმა" ვან დერ ვაარტს, აქვს კი HSV-ს რაიმე არგუმენტები?**

- "ჰამბურგი" ჩემთვის არა მარტო ისტორიითა და ტრადიციებით არის დიდი გუნდი, არამედ დღესდღეობით გერმანიაში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ "ბაიერნის" ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ჩავიბარე. საერთოდ, ჩრდილოეთ გერმანიასთან შეხება ხშირად მქონია. მაგალითად, ჩემი ქალიშვილი აქ, ოლდენბურგში სწავლობდა და ახლა ნორდჰორნშია. ჩემს ძმას ცოლად გერმანელი ქალი ჰყავდა. ზოგადად, "ტოტენჰემიდან" წამოსვლის შემდეგ 5-6 შემოთავაზება მქონდა, მაგრამ როგორც კი "ჰამბურგიდან" დამირეკეს, როგორც გითხარით, ზუსტად ხუთ წუთში ვიცოდი, რომ თანახმა ვიყავი.



ჰამბურგის
ახალი დამრიგებელი
მარტინ იოლი

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად შეუძლია "ჰამბურგს" ზაფხულში ხმაურიანი ტრანსფერების განხორციელება?**

- ვნახოთ. HSV დიდი გუნდია და მე სულაც არ ვფიქრობ, რომ მაღალი კლასის მოთამაშეების გადმობირების შანსი არ გვაქვს. ხელმძღვანელებმა უკვე მაჩვენეს იმ ფეხბურთელების სია, რომელთა ყიდვაც სურთ. მეც მაქვს საკუთარი სია. ამ საკითხზე კიდევ არაერთხელ დავილაპარაკებთ და ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**- გუნდის შემადგენლობას როგორ შეაფასებდით?**

- "ჰამბურგს" კარგი, ძალიან კარგი გუნდი ჰყავს და მეც კმაყოფილი ვარ. მაგალითისთვის, ტროხოვსკი და ბოატენგიც გამოდგებიან - ორი უდიდესი ტალანტი. ჩემი ფილოსოფია იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელებისგან მსოფლიო დონის ვარსკვლავები გამოვძერწო.

**- ბოლო 4 წელიწადია, "ჰამბურგი" რეგულარულად ასპარეზობს ევროტურნირებზე. თქვენი მიზანი რა იქნება?**

- მინდა, რომ "ჰამბურგმა" ჩემს ხელში შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშოს. ჩემი მიზანიც ის არის, რომ გუნდმა მუდმივად იასპარეზოს ევროტურნირებზე. თუკი ორ-სამ მართლა კარგ ფეხბურთელს დავიმატებთ, შეიძლება, უფრო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაც შევძლოთ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# გრანტს 48 საათი დარჩა

## ანელკამ უკმაყოფილება ვერ დამალა, არისტოკრატები შემადგენლობას 25 ფეხბურთელამდე ამცირებენ...

**ავრამ გრანტის** ბედი უახლოეს 48 საათში გადაწყდება. ეს ინფორმაცია გუშინდელ "თაიმსში" ამოვიკითხეთ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "არისტოკრატები" ერთი სეზონის განმავლობაში მეორე მწვრთნელს დაითხოვენ. გადაწყვეტილებას კლუბის ხელისუფალნი საგანგებო თათბირისას მიიღებენ. შეკრება "სტემფორდ ბრიჯზე" გაიმართება. წინასწარი კონსულტაციები მოსკოვში, სასტუმრო "რიც კარლტონში" შედგა. ჩემპიონთა ლიგის ფინალის დღეებში ლონდონური გრანდი ამ სასტუმროში იყო გაჩერებული.

როგორც ჩანს, გრანტიც გრძნობს, რომ მისი დღეები დათვლილია. "თაიმსის" ცნობით, ებრაელ სპეციალისტს სპორტული დირექტორის პოსტს შესთავაზებენ. გრანტი "ჩელსიში" ამ თანამდებობაზე მივიდა. მთავარი მწვრთნელი კი მას შემდეგ გახდა, რაც **ჟოზე მოურინიოს** კარისაკენ მიუთითეს. "თაიმსის" ვარაუდით, გრანტი ძველ პოსტს არ დათანხმდება. ის მიიჩნევს, რომ "ჩელსიში" ნაყოფიერად იმუშავა, დაამტკიცა, რომ კვალიფიციური სპეციალისტია. ამიტომ უფრო საინტერესო შეთავაზებას დაელოდება.

გრანტის თემას "დეილი მეილიც" ეხმაურება. ტაბლოიდის მტკიცებით, "ჩელსის" სოლიდური კომპენსაციის გადახდა მოუწევს. მწვრთნელის კონტრაქტში კიდევ ორი წელიწადია დარჩენილი. გრანტს რამდენიმე მილიონი გირვანქა შეხვდება. "დეილი მეილი" მის დათხოვნას გარდაუვლად მიიჩნევს. "არისტოკრატებმა" ოთხიდან ერთი ტიტულიც კი ვერ მოიპოვეს. მათ ლიგის თასის ფინალში "ტოტენჰემთან" წააგეს, ასოციაციის თასის მეოთხედფინალში — "ბარნსლისთან", პრემიერლიგის ტიტული "მანჩესტერ იუნაიტედს" უკანასკნელ ტურში გადაულოცეს, ჩემპიონთა თასის მოგებამდე კი სულ ცოტა, ერთი ზუსტად შესრულებული პენალტი დააკლდათ. ასე იყო, თუ ისე, "ჩელსის" დონის კლუბში, უტიტულოდ დარჩენას გამართლება არა აქვს. ამიტომაც "დეილი მეილის" აზრით, გრანტის საკითხი გადაწყვეტილია. ახლა საკითხავი ისაა, თუ ვინ ჩაიბარებს ლონდონურ გრანდს.

დიდი ხნის განმავლობაში, "ჩელსიში" დანიშვნას რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გუუს ჰიდინკს** უწინასწარმეტყველებდნენ. გუშინდელ "ინდეპენდენტში" კიდევ ერთი ჰოლანდიელი სპეციალისტის, **დიკ ადვოკაატის** გვარმა გაიჟღერა. კვლავ დღის წესრიგშია **ფრანკ რაიკაარდის** კანდიდატურა. ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ ვრცელდება. "ჩელსის" ხელმძღვანელობა არ ჩქარობს. ის გრანტთან ურთიერთობის გარკვევას ელოდება.

გუშინ ინგლისურმა სააგენტოებმა **ნიკოლა ანელკას** სკანდალური კომენტარი გამოაქვეყნეს. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში პენალტის დარტყმა არ სურდა. მან "ჩელსის" სამწვრთნელო შტაბი გააკრიტიკა იმის გამო, რომ მოედანზე აბსოლუტურად მოუმზადებელი შეუშვეს: *"მეგონა, თამაში აღარ მომიწევდა. 110 წუთის განმავლობაში სკამზე ვიჯექი. მერე კი უცებ მითხრეს, რომ შეცვლაზე უნდა შევსულიყავი. გახურებაც კი ვერ მოვასწარი. მგონი, ჩემპიონთა ლიგის ფინალების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ მინდორზე მოუმზადებელი ფეხბურთელი გამოიყვანეს."*

ფრანგ ფორვარდს არც ის დაუმალავს, რომ პენალტის დარტყმის კატეგორიული წინააღმდეგი იყო: *"მწვრთნელებს სურდათ, პირველ ხუთეულში ვყოფილიყავი. მე მათ მივუგე: გამორიცხულია. თამაშში ფაქტობრივად მარჯვენა მცველის პოზიციაზე ჩავერთე. დასარტყმელად მზად არა ვარ-მეთქი. მაგრამ მეშვიდე 11-მეტრიანი შესრულება მაინც მე დამეკისრა. ვან დერ სარმა ბურთის მიმართულება ადვილად გამოიცნო. რა გაეწყობა. ეს თამაშია. იმ საღამოს მანჩესტერელთა მეკარეს გაუმართლა."*


ავრამ გრანტი

ანელკამ "ჩელსიში" გატარებული ხუთი თვე უარყოფითად შეაფასა. მას არ მოსწონს, რომ მარცხენა და მარჯვენა ფლანგზე ამწესებდნენ. ანელკა ცენტრალური თავდამსხმელია, ამ პოზიციაზე კი ერთხელაც არ მოუწია თამაში: *"აქამდე ხმა არ ამომიღია, რადგან ახალწვეული ვიყავი, თანაც "ბოლტონიდან" გადამიყვანეს. თუმცა გაისად ვითარება შეიცვლება. მე "ჩელსის" სრულფასოვანი წევრი გავხდები და მეორეხარისხოვანი მოთამაშესავით ვეღარ მომეპყრობიან."*

"არისტოკრატების" ხელმძღვანელობა ანელკას კომენტარს არ გამოხმაურებია. სამაგიეროდ, "დეილი მეილმა" კლუბის აღმასრულებელი დირექტორის **პიტერ კენიონის** განცხადება გამოაქვეყნა — მომავალი სეზონისათვის "ჩელსის" შემადგენლობა 25 კაცამდე შემცირდება. გუნდი სახელფასო ფონდის შემცირებას აპირებს. ახალი ტრანსფერებიც ძირითადად ფეხბურთელების გაყიდვის ხარჯზე დაფინანსდება. თანაც, ლონდონელები უპირატესობას ინგლისელ ფეხბურთელებს მიანიჭებენ. კენიონს გვარები არ დაუსახელებია. სხვა მოთამაშეებს შორის, "ჩელსიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ **დიდიე დროგბასა** და **ანდრეი შევჩენკოს**.

ტოტენჰემი

# ლიონმა კუპე დაადასტურა და... უარყო

## მამლები ფრანგ მეკარეს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, პოიეტი ეტოოს უარყოფს...

ინგლისური სააგენტოების ცნობით, "ტოტენჰემი" ლიონელი მეკარის, **გრეგორი კუპეს** შეძენას აპირებს. ლონდონელები მზად არიან, 35 წლის გოლკიპერში 2.5 მილიონი გირვანქა გადაიხადონ, გვაუწყებს "სანი". თავდაპირველად ეს ინფორმაცია "ლიონთან" დაახლოებულმა წყარომაც დაადასტურა: *"დიახ, "ტოტენჰემს" ნამდვილად სურს კუპეს შეძენა. ამ უქმეებზე მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაკეთდება."* გრეგორის ფრანგულ კონტრაქტში ორი წელიწადი აქვს დარჩენილი. მისი ფასი ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. "სანის" მტკიცებით, ლონდონში გადასვლის შემთხვევაში, კუპეს სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ და კვირაში 35 ათას გირვანქას გადაუხდიან. დღეს, "ლიონი" "პარი სენ ჟერმენთან" საფრანგეთის თასის ფინალს გამართავს. კლუბი კომენტარის გაკეთებას მხოლოდ ამ მატჩის დასრულების შემდეგ აპირებდა. პრეზიდენტმა **ჟან მიშელ ოლამ** ვერ მოითმინა და ინფორმაცის კუპეს მოსალოდნელი აბარგების თაობაზე, უსაფუძვლო და თითიდან გამოწოვილი უწოდა.

"ტოტენჰემში" ჩარიცხვის შემთხვევაში, მოსიე გრეგორი, შეიძლება, თადარიგში გაამწესონ. მას ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არავინ აძლევს. ჯერჯერობით არსად წასულა **პოლ რობინსონი**. მას "მიდლსბროსა" და "მანჩესტერ სიტიში" იწვევენ. მოლაპარაკებები გრძელდება. "ტოტენჰემი" **იუნეს კაბულის** გაშვებასაც აპირებს. ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ მთავარ მწვრთნელ **ხუანდე რამოსთან** უთანხმოება აქვს და თანამშრომლობის გაგრძელება შეუძლებლად მიაჩნია. კაბულის ძალიან მოსწონს პრემიერლიგა. ამიტომ იმედი აქვს, რომ "ტოტენჰემიდან" წასვლის შემთხვევაში, რომელიმე ინგლისურ კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს.

აქვე გეტყვით, რომ "მამლების" მეორე მწვრთნელმა, **გუსტავო პოიეტმა** უარყო ინგლისური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, **სამუელ ეტოოს** შესაძლო ტრანსფერის თაობაზე: *"ჩვენ ეტოო არ გვაინტერესებს. უახლეს დღეებში სამწვრთნელო შტაბი კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდება და საზაფხულო ტრანსფერებს განიხილავს. გულშემატკივარს შემიძლია, დავპირდე, რომ მომავალი სეზონისათვის რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელს ვიყიდით."*

ინგლისის ნაკრები

# ოუენი ვერ ითამაშებს

## მისი ტრავმა ახალგაზრდა თავდამსხმელების შანსია

**მაიკლ ოუენი** ინგლისის ნაკრებს ვერ დაეხმარება. "ნიუკასლის" თავდამსხმელს ვირუსი შეეყარა და პარასკევს ბიშემ ებიში ვერ გამოცხადდა. ის ოთხშაბათს, ამერიკელებთან ამხანაგურ მატჩშიც ვერ ითამაშებს და ვერც ტრინიდადსა და ტობაგოში გაემგზავრება. ინგლისელები ამ ეგზოტიკური ქვეყნის გუნდს მომავალ კვირას, 1 ივნისს ესტუმრებიან. **ფაბიო კაპელოს** კიდევ ერთი ფეხბურთელი გამოაკლდა. ტოტენჰემელმა ნახევარმცველმა **ჯერმეინ ჯენასმა** კოჭი იტკინა და შინ წასვლა მოუხდა.

"ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები შეკრებაზე ორშაბათს მივლენ. გასულ ოთხშაბათს მათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშეს. ამიტომ მწვრთნელმა დამატებით ორდღიანი შვებულება გამოუწერა. **დევიდ ბექჰემი** ინგლისში კვირას ჩავა. დღეს ის "ლოს ანჯელეს გალაქსის" "კანზას სიტისთან" მატჩში დაეხმარება და მაშინვე ლონდონისაკენ აიღებს გეზს.

ოუენის არყოფნა ახალგაზრდა თავდამსხმელებს უხსნის გზას. ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე პრეტენზიას აცხადებენ არსენალელი **თეო უოლკოტი**, ვესტჰემელი **დინ ეშტონი** და ასტონვილელი **გაბრიელ აგბონლაჰორი**. კაპელომ ეს უკანასკნელი შვეიცარიასთან სადებიუტო მატჩისთვისაც მიიწვია, მაგრამ ფეხბურთელი უდროოდ დაშავდა და ვერ ითამაშა. კაპელოს განკარგულებაშია სამი გამოცდილი თავდამსხმელიც — **ჯერმეინ დეფო**, **პიტერ კრაუჩი** და **უეინ რუნი**.


მაიკლ ოუენი

ინგლისელები ამ ორ თამაშს მუნდიალის შესარჩევი ტურნირისათვის მოსამზადებლად გამოიყენებენ. საკვალიფიკაციო მატჩები 6 სექტემბერს, ანდორასთან შეხვედრით დაიწყება. იქამდე, 20 აგვისტოს, ინგლისი კიდევ ერთ ამხანაგურს გამართავს — "უემბლიზე" ჩეხეთთან. იმ დროისათვის, კაპელოს უკვე გადაწყვეტილი ექნება, თუ ვის ჩააბარებს კაპიტნის სამკლაურს. შეგახსენებთ, შვეიცარიასთან შეხვედრაში (2:1) ინგლისს **სტივ ჯერარდი** გაუძღვა, საფრანგეთთან (0:1) — **რიო ფერდინანდი**. ამათ გარდა, კაპიტნობის კანდიდატია **ჯონ ტერი**, რომელიც ამ მოვალეობას კაპელოს წინამორბედის, **სტივ მაკლარენის** მწვრთნელობისას ასრულებდა.

ლივერპული

# რაფას ბერი უნდა, ვილას კარსონი

## კლუბები გარიგებისათვის ემზადებიან...

**სკოტ კარსონის** "ასტონ ვილაში" გაყიდვის შანსი დღითი-დღე მცირდება. **რაფა ბენიტესი** მიიჩნევს, რომ მეკარის სანაცვლოდ მოთხოვნილი თანხა, 10 მილიონი გირვანქა, ზუსტად შეესაბამება ფეხბურთელის კვალიფიკაციას. მერსისაიდელები ფასის დაკლებას არ აპირებენ. "ვილას" კი ერთ ტრანსფერში გადასახდელი 10 მილიონი გირვანქა არ გააჩნია. კარსონმა გასულ სეზონი იჯარით "ასტონ ვილაში" გაატარა. ბირმინგემელთა თავკაცმა **მარტინ ონილმა** მასთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა, მაგრამ ფასი აბრკოლებს. მიმომხილველთა ვარაუდით, "ლივერპული" მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუკლებს, თუ "ვილა" კაპიტან **გარეთ ბერის** იაფად გაყიდის. ბირმინგემელებმა ბერის სანაცვლოდ 16 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. მისი შეძენა "ლივერპულს" სურს, მაგრამ 16 მილიონი ეძვირება.


გარეთ ბერი

ბენიტესი საზაფხულო ტრანსფერებში ბევრ ფულს ვერ დახარჯავს. მის ყულაბაში ძირითადად ის თანხა ჩაირიცხება, რომელსაც ფეხბურთელების გაყიდვით მოიხვეჭს. ბერის შეძენა კარსონის სარფიანად გაყიდვაზეა დამოკიდებული. "ლივერპულს" ნახევარმცველის სანაცვლოდ მაქსიმუმ 12 მილიონის გადახდა შეუძლია. ბერიმ "ენფილდზე" **ჩაბი ალონსო** უნდა შეცვალოს. ამ უკანასკნელის შეძენა "იუვენტუსს" სურს. "ვილა" ყველა ღონეს ხმარობს კაპიტნის შესანარჩუნებლად. მან ფეხბურთელს ახალი კონტრაქტი და კვირაში 70 ათასი გირვანქა შესთავაზა. თანხმობის შემთხვევაში, გარეთ ბერი ბირმინგემული კლუბის ისტორიაში უმდიდრესი ფეხბურთელი გახდება.

ჩანართი მოამზადა დავით ცაგაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიული ექსკურსი და თანამედროვე ეპოპეა

### 1908 წლიდან დევნილობამდე

ფეხბურთი აფხაზეთში უკვე საუკუნეს ითვლის. პირველი საფეხბურთო კოლექტივი სოხუმის ცენტრში 1908 წელს ჩამოყალიბდა. როგორც მაშინდელი საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, კოინდრით მოფარდაგებულ ერთ-ერთ მოედანზე, სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში საგანგებოდ გამოწყობილი ახალგაზრდები ორად გაიყვნენ და ტყავის პატარა საგნის ფეხით გორება დაიწყეს. იმავე წელს სოხუმის მოსწავლე-ახალგაზრდობამ რამდენიმე გუნდი შექმნა. სწორედ მაშინ გაჩნდა გუნდები, „არწივი“, „იმედი“ და სხვა.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში, აფხაზეთში უკვე ფეხბურთის ათამდე გუნდი ჩამოყალიბდა. მათ შორის გამართულ თამაშებს კი ასობით მაყურებელი ჰყავდა.

1913 წელს სოხუმის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდმა შავიზღვისპირეთში პირველი გასვლითი ტურნე ჩაატარა. ეს გუნდი ბათუმსა და ფოთში დიდი პატივით მიიღეს. მართალია, სოხუმელებმა თამაში წააგეს, მაგრამ ხელი არ ჩაუქნევიათ. წვრთნა გააგრძელეს და ორი წლის შემდეგ ბათუმელებსა და ფოთელებზე დამაჯერებელი რევანში აიღეს.

1934 წლიდან აფხაზეთის ფეხბურთში მორიგი აღმავლობა დაიწყო. შავიზღვისპირეთის საზოგადოება „ვოდნიკის“ გამარჯვებული სოხუმის ფეხბურთელთა გუნდი „ვოდნიკი“ გახდა. ხოლო მომდევნო, 1935 წელს სოხუმელმა ფეხბურთელებმა საქართველოს პროფკავშირთა პირველობა მოიგეს. 1936 წელს კი საბჭოთა კავშირის მასშტაბით განხორციელებულმა ორგანიზაციულმა ცვლილებებმა სოხუმის გუნდებს საშუალება მისცა უფრო მაღალი დონის გათამაშებებში მიეღოთ მონაწილეობა. სწორედ აქედან მოყოლებული დაიწო აფხაზეთის ფეხბურთის პროგრესი. 1944 წელს სოხუმის „დინამომ“ საქართველოს თასის ფინალში ქუთაისის გუნდი 2:1 დაამარცხა და თასი მოიპოვა. 1948 წელს სოხუმელები ისევ გავიდნენ ფინალში, ამჯერად ბათუმელებს სძლიეს 5:3 და კიდევ ერთხელ მოიპოვეს თასი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში სოხუმის „რიწა“ 1961 წელს გამოჩნდა. მოგვიანებით ამ გუნდს ისევ „დინამო“ ენოდა. ეს ის გუნდი იყო, რომელმაც 1990 წელს საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში „ცხუმის“ სახელით იასპარეზა. ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ მოგითხრობთ, მანამდე კი ფეხბურთში ცნობილ იმათ ჩამოგითვლით, რომლებიც წარმოშობით აფხაზეთიდან იყვნენ და ქართული ფეხბურთის განვითარებაში ლომის წვლილი შეიტანეს. ესენია: **ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია, ნიკიტა სიმონიანი, ვალტერ სანაია, ნიაზ ძიაპშპა, ანატოლი (გიგა) ნორაკიძე, იური გრამატიკოპულო, გიორგი სიჭინავა, ვიტალი დარასელია** და სხვები.



1945 წელი. სოხუმის დინამო

1989 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მომდევნო 1990 წელს კი **ნოდარ ახალკაცის** ხელმძღვანელობით საქართველომ ფეხბურთის ფედერაცია შექმნა. სამწუხაროდ, სწორედ ამ პერიოდში, აფხაზეთში პოლიტიკური დაპირისპირება დაიწყო. ამ პროცესმა კი ყველა სფერო მოიცვა, მათ შორის ფეხბურთი. სოხუმის „დინამო“ ორად გაიყო. აფხაზმა პოლიტიკოსებმა, „აფხაზური „დინამო“, ჯერ კიდევ არსებულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მიავლინეს სათამაშოდ. სოხუმის „დინამოს“ ძირითადმა ნაწილმა, რომელიც ქართველი ფეხბურთელებისგან შედგებოდა, ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობა ამჯობინა და ამ გუნდს „ცხუმი“ დაერქვა. 1990-92 წლებში „ცხუმი“ ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი ფავორიტი იყო. გუნდი ისეთი მაღალი დონის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, როგორებიცაა: **გრიგოლ ცაავა, გიორგი ჩიხრაძე, მიხეილ ჯიშკარიანი, გელა ინალიშვილი, გოჩა გოგრიჭიანი, სოსო მალანია, იური გაბისკირია, დიმიტრი პაპავა, ზურაბ ფარულავა, თემურ გადელია, თენგიზ სიჭინავა, გოჩა ჟორჟოლიანი, მამუკა რუსია** და სხვები. ალბათ, ყველა დაგვეთანხმებით, ეს ის თაობაა, აფხაზეთის ტრაგედია რომ არა, ამ ულამაზესი კუთხის შვილები ნიჭსა და შესაძლებლობებს ევროპის სტადიონებზეც წარმოაჩენდნენ. სამწუხაროდ, ომმა ბევრ მათგანს, საფეხბურთო ფორმის ნაცვლად, მეომრის ფარაჯა ჩააცვა. ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, სამშობლოს სიყვარულს შეეწირნენ სოხუმის „ცხუმის“ პირველი პრეზიდენტი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ომის ქარცეცხლში გახვეული სოხუმის მერი, **გურამ გაბისკირია**. ამავე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ირაკლი ქოიავა** და გუნდის ექიმი **იური ხაბურზანია.**

### აფხაზეთის ფეხბურთი დევნილობაში

აფხაზეთის ომის შემდეგ, 1998 წლამდე აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას ბატონი **ვახტანგ დუმბაძე** ხელმძღვანელობდა. პარალელურად ის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი გახლდათ. 1998 წლიდან დღემდე კი, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი **მურად ანჯაფარიძეა.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და აფხაზეთის მთავრობის მხარდაჭერით, 1998 წლიდან შესაძლებელი გახდა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის გააქტიურება სხვადასხვა მიმართულებით. ამის დასტურია ის, რომ აღდგა და ხელახლა შეიქმნა აფხაზეთიდან დევნილებით დაკომპლექტებული გუნდები, რომლებმაც ეროვნულ ჩემპიონატში რეგიონალლიგაში დაიწყეს ასპარეზობა. ეს გუნდებია: სოხუმის „ცხუმი“ (პრეზიდენტი **გია გვაზავა**, ვიცე პრეზიდენტი **ენვერ თოლორდავა**, მწვრთნელები: **გენო ზარია** და **ნუგზარ ბოჯგუა**), ოჩამჩირის „ამირანი“ (საპატიო პრეზიდენტი **ხუტა გუგუჩია**, მწვრთნელები: **ბონდო კაკუბავა** და **მურმან ფენდრავა**), გალის „მზიური“ (პრეზიდენტი **გიგლა ძანძავა**, მწვრთნელები: **იური ბიბლაია** და **ვახტანგ ქობალავა**), გაგრის „დინამო“ (2000-02 წლ. დამფუძნებელი **სერგო აბაშიძე**, პრეზიდენტი **კოტე კუჭუხიძე**). 2005 წლიდან დღემდე მონაწილეობდა ეროვნულ ჩემპიონატში „გაგრა“, რომელიც ამჟამად პირველ ლიგაში ერთ-ერთი ლიდერია. კლუბის დამფუძნებელი და პრეზიდენტი **ბესო ჩიხრაძეა.** 2005-06 წლებში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სოხუმის „დინამო“ ასპარეზობდა, რომლის პრეზიდენტი **ზაზა ჟორჟოლიანი** გახლდათ, მთავარი მწვრთნელი კი **გოჩა ჟორჟოლიანი.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დელეგირებული უფლებით, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია 2002-07 წლებში წარმატებით ატარებდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, რეგიონალლიგის აღმოსავლეთ ზონაში. ამ გათამაშებაში ყოველთვის მონაწილეობდა აფხაზეთის 3-4 გუნდი.

2004-07 წლებში აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ მორიგი წარმატებული პროექტი განახორციელა - „იმედის“ თასის გათამაშება ასაკობრივ ჯგუფებში. ამ გათამაშებაში 50-60 გუნდი მონაწილეობდა.

2007 წელს დაიწყო და მიმდინარე წლის მაის-ივნისში დასრულდება აფხაზეთის ჩემპიონატი სამ ასაკობრივ ჯგუფში. გათამაშებაში სულ 42 გუნდი მონაწილეობს. მათ შორის 6 აფხაზეთიდან.

*უფროსი ასაკი:* **1. სოხუმის „სოხუმი“, 2. გალის „გალი“, 3. ოჩამჩირის „ამირანი“, 4. გულრიფშის „კოლხა“.**

*უმცროსი ასაკი:* **1. სოხუმის „სოხუმი-2“, 2. ოჩამჩირის „ამირანი-2“.**

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის კალენდარული გეგმით, 2000 წლიდან დღემდე, ყოველწლიურად ტარდება რამდენიმე ტურნირი მინი-ფეხბურთში. ესენია: **ჟიული შარტავას სახელობის, გურამ გაბისკირიას სახელობის, გიგა ნორაკიძის სახელობის, ვიტალი დარასელიას სახელობის, ირაკლი ქოიავას სახელობის, თამაზ კუჭუხიძის სახელობის.**

2004 წლიდან აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ატარებს ბავშვთა და მოზარდთა ტურნირებს, რომლებიც ქართული ფეხბურთის ცნობილ ფიგურებს ეძღვნება: **ნოდარ ახალკაცი-უფროსის ხსოვნის, ნოდარ მელუას ხსოვნის, ჟიული შარტავას ხსოვნის, ზურაბ დოლიძის ხსოვნის, ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას სახელობის.**

2007-08 წლის სეზონში ამ ტურნირებში მონაწილეობს 90 გუნდი. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს საქველმოქმედო მატჩებს აფხაზეთის ფეხბურთელთა ნაკრების მონაწილეობით. 2000 წლიდან დღემდე ასეთი მატჩები ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ზუგდიდში, ფოთში, ბოლნისში, გორში, გურჯაანში.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ, 2007 წლის ივლისში, ზემო აფხაზეთში ჩაატარა „აფხაზეთის თასის“ გათამაშება, რომელშიც 4 გუნდი მონაწილეობდა. ესენია: **„გენწვიში“, „აჟარა-1“, „ჩხალთა“, „აჟარა-2“.**

ამავე პერიოდში, ზემო-აფხაზეთში ჩატარდა საერთაშორისო პროგრამა „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების“ ტურნირი, რომელშიც 90 მოზარდი ჩაერთო.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ აღინიშნა მრავალი საიუბილეო ღონისძიება, რომელზეც ვეტერან ფეხბურთელებსა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებს გადაეცათ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

1996-97 წლებში აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ მთელი რიგი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებები განახორციელა, ჩაატარა ათზე მეტი სემინარი, 18 მსაჯი მოამზადა. ამ პერიოდში აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის სამი საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია ჩატარდა.

*აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია*

# ჩემპიონები და სტიპენდიანტები დააჯილდოვეს

გუშინ, აფხაზეთისა და საქართველოს კლუბების ნაკრებებს შორის გამართული მატჩის შესვენებისას დაჯილდოების ცერემონიალი შედგა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**, ვიცე-პრეზიდენტებმა **რევაზ არველაძემ, გრიგოლ ცაავამ** და **გოგი ქავთარაძემ, სარქის ოვივიანმა**, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მურად ანჯაფარიძემ**, ვეტერანმა ფეხბურთელებმა, **სერგო კოტრიკაძემ, მურთაზ ხურცილავამ, სიომა ბარქაიამ**... ასევე ლეგენდარულმა არბიტრმა **ანატოლი მილჩენკომ** ფეხბურთში აფხაზეთის ღია ჩემპიონატში, სამივე ასაკობრივ გათამაშებაში წლევანდელი ჩემპიონები დააჯილდოვეს. უფროს ასაკში ჩემპიონი **„ორბები“** გახდა, რომლის მთავარი მწვრთნელი **თემურ ჩხაიძეა.** 1991-92 წლებში დაბადებულთა შორის გამარჯვებული **„სოხუმი 2“** გახდა, რომელსაც **ირაკლი აბრამიშვილი** ხელმძღვანელობს. უმცროს ასაკში (1993-94 წლებში დაბადებულები) კი პირველობა **„ნორჩმა დინამოელმა“** მოიპოვა, რომელსაც **მიხეილ პირადაშვილი** წვრთნის.

გარდა ამისა, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ აფხაზეთში დაბადებულ 18 წლამდე ჭაბუკებს შორის 5 გამორჩეული ფეხბურთელი გამოავლინა და სპეციალური სტიპენდიებიც გადასცა. ეს ხუთეული ასე გამოიყურება: **დავით კაკულია, ნიკა ძალამიძე, არჩილ შონია, ლევან კაკუბავა და ნიკა შონია.**



## თემურ ქეცბაია:
# მომავალი იუბილეები სოხუმში უნდა აღვნიშნოთ



აფხაზური ფეხბურთის საუკუნოვან იუბილეში საპატიო სტუმრის სტატუსით **თემურ ქეცბაია** იყო მოწვეული. კვიპროსის ჩემპიონ ფამაგუსტას „ანორთოსისის" მთავარმა მწვრთნელმა გაიგო თუ არა ამ იუბილის შესახებ, ბევრი არც უფიქრია, თბილისში გამოემგზავრა. გუშინ, ეროვნულ სტადიონზე კიდევ ერთხელ ითამაშა ქეცბაიამ და გულშემატკივრისგან აპლოდისმენტიც დაიმსახურა. მეტიც, თემური გოლითაც გამოირჩა, ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმით მან ანგარიში გახსნა. მატჩის შემდეგ თემურ ქეცბაიამ შემდეგი განაცხადა:

- უზომოდ გავიხარე, როცა ამ თამაშისა და იუბილის შესახებ მაცნობეს. ჩამოვედი და ბევრი ძველი ნაცნობ-მეგობარი ვნახე. ეს მატჩი და, საერთოდ, ეს იუბილე ჩემში ძალზედ სასიამოვნო განცდებს იწვევს. მეტიც, ეს თარილი ჩემთვისაც ძალზედ მნიშვნელოვანია. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ვფიქრობ, გულშემატკივარმა სასიამოვნო სანახაობა იხილა. დიდი ხანია არ მივარჯიშია და მართალი გითხრათ, ვღელავდი კიდეც. ვღელავდი, რადგან კარგა ხანია ქართველი ქომაგის წინაშე ამ სტადიონზე აღარ მითამაშია და მინდოდა კარგად გავხსენებოდი გულშემატკივარს. ვფიქრობ, ეს გამომივიდა კიდეც... ბოლოს კიდევ ერთს ვიტყოდი, აფხაზეთის ფეხბურთის მომდევნო იუბილეები სოხუმში უნდა აღვნიშნოთ. იმედი მაქვს ეს დროც მალე დადგება.

# გვახსოვდეს ვიტალი დარასელია

თასების თასის ფინალში, 1981 წლის 13 მაისს, იენის „კარლ ცაისთან" გამარჯვების გოლი **ვიტალი დარასელიამ** (87-ე წუთზე) გაიტანა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ვიტალი დარასელიას სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი და ამ სიტყვებში გადაჭარბებული არაფერია. ვიტალი დარასელიას დაბადებიდან 50 წლის იუბილე შარშან დიდი ზარზეიმით აღინიშნა. სტაჟიან ქომაგებს ვიტალი დარასელია-უფროსი, მისი თამაში და მიღწევები კარგად ახსოვთ. თუმცა ახალმა თაობამ ბევრი არ იცის მის შესახებ. სწორედ ამიტომ მის ტიტულებსა და კარიერას ციფრებში კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი.



ვიტალი დარასელია 1957 წლის 9 ოქტომბერს ოჩამჩირეში დაიბადა. 1974 წელს ოჩამჩირის „ამირანში" თამაშობდა, 1975 წლიდან ტრაგიკულად დაღუპვამდე თბილისის „დინამოში" ასპარეზობდა. 1978 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, საბჭოთა კავშირის თასს კი ორჯერ, 1976 და 1979 წლებში ფლობდა. 1981 წელს თბილისის „დინამოსთან" ერთად თასების თასის ტრიუმფატორი გახდა. 1977 წელს ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონი იყო. 1982 წელს ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზა. 1982 წლის 13 დეკემბერს ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში 22 მატჩში 3 გოლი გაიტანა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში კი 192 თამაშში 26 გოლის ავტორია.

ვიტალი ვაჟი, ასევე ვიტალი დარასელია დღეს ქართულ ფეხბურთშია და ქართველ ქომაგებს გატანილი გოლებითა და კარგი თამაშით ახარებს. ტრაგიკულად დაღუპული ვიტალი დარასელიას მეუღლე, **მარინა დარასელია**, ვაჟთან ერთად იხსენებს, აფხაზეთს და ამაყია, რომ აფხაზეთში ფეხბურთს ასწლოვანი ისტორია გააჩნია.

მარინა დარასელია დღესაც სიხარულით იხსენებს აფხაზეთში გატარებულ წლებს და ეამაყება, რომ ფეხბურთი მის მშობლიურ კუთხეში საუკუნისაა.

„ოჩამჩირეში" სტადიონთან ახლოს ვცხოვრობდი, იქ ვიზრდებოდი და ფეხბურთისადმი, ჯერ კიდევ, ბავშვობიდან მქონდა განსაკუთრებული სიყვარული. უზომოდ ბედნიერი ვიყავი, რომ განგებამ ფეხბურთელის ცოლობა მარგუნა, თანაც უბრალო ფეხბურთელისა კი არა, დიდი ვიტალი დარასელიასი. სამწუხაროდ, იმ ავბედითმა ავტოავარიამ ვიტალი არა მარტო მე და ჩემს ოჯახს, მთელ საქართველოს, ქართულ ფეხბურთს გამოგვაცალა ხელიდან. ვიტალის აფხაზეთში დღესაც ძალიან აფასებენ. მჯერა, რომ ჩვენ აფხაზეთში დავბრუნდებით, ერთად ავაშენებთ და გავაძლიერებთ ქვეყანასაც და ქართულ ფეხბურთსაც", - აღნიშნა **მარინა დარასელიამ**.

„აფხაზეთი ძალიან კარგად მახსოვს. ამ ლამაზი კუთხის შვილები ფეხბურთში ყოველთვის გამორჩეულები იყვნენ და იქიდან ჩვენი ფეხბურთი ყოველთვის დიდ შევსებას იღებდა.

დღესაც მყავს აფხაზი მეგობრები, თუნდაც ფეხბურთელები. მაგალითად ძმები აჯინჯალები. ისინი „ლუჩ ენერგიაში" თამაშობენ და ტელეფონით ხშირად ვეხმიანებით ერთმანეთს. ვფიქრობ, ასეთი ნაბიჯები, სახალხო დიპლომატია, კიდევ უფრო დაგვაახლოებს ერთმანეთთან", - გვითხრა **ვიტალი დარასელია-უმცროსმა**.

## ნოდარ ახალკაცი:
# ქართველი და აფხაზი ერთად გაახარებენ ქომაგს



აფხაზეთში ფეხბურთის ასწლოვან იუბილეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** ვერ დაესწრო. ის სამსახურეობრივი მივლინებით, დასავლეთ ევროპაში იმყოფება. თუმცა კარგად იცის ამ იუბილისა და, საერთოდ, აფხაზეთის ფასი ქართულ ფეხბურთში.

- ბედნიერი ვარ, რომ აფხაზეთში ფეხბურთს ასწლოვანი ისტორია გააჩნია. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა. თუმცა ამავე დროს გულჩამწვარი გახლავართ, რადგან აფხაზეთი, ეს ძირძველი ქართული მიწა, დღეს მოწყვეტილია საქართველოს. ყველამ კარგად ვიცით თუ რაოდენ დიდ შევსებას იღებდა ქართული ფეხბურთი აფხაზეთიდან. კადრებს, ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს თავი რომ დავანებოთ, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი, სწორედ აფხაზეთში იყო განთავსებული. იმედი მაქვს მალე დადგება დრო, როცა ყველანი ერთად, ქართველები და აფხაზები ავაღორძინებთ ამ ლამაზ კუთხეს და ქართულ ფეხბურთში ერთად ვიზეიმებთ დიდ გამარჯვებებს. ქართველი და აფხაზი ფეხბურთელები ერთად გაახარებენ ჩვენი ფეხბურთის ქომაგებს.

## სარქის ოვივიანი
# საქართველოს ფეხბურთი გააერთიანებს



სარქის ოვივიანი

აფხაზეთის ფეხბურთის საუკუნოვან იუბილეზე საპატიო სტუმრად მოსკოვიდან **სარქის ოვივიანიც** იყო მოწვეული, რომელიც მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა. ის სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი გახლავთ. ოვივიანი გუშინ ჩატარებულ მატჩსა და საერთოდ, ამ იუბილეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების საქმეში ფეხბურთის გადამწყვეტ როლზე მიუთითებს. ის მომხრეა, რომ მსგავსი ზეიმი და ამხანაგური მატჩი სოხუმშიც ჩატარდეს.

- პირველ რიგში დიდი მადლობელი ვარ ამ იუბილის ორანიზატორებისა, თბილისში რომ მომიწვიეს. სოხუმელი ვარ, სოხუმის გარდა, ქუთაისსა და თბილისშიც ვთამაშობდი. ასე რომ, ქართული ფეხბურთის ნაწილი ვარ და ამ იუბილიზე თბილისიდან რომ დამპატიჟეს, არც კი დავფიქრებულვარ, უმალ გადავწვიტე ჩამოვსულიყავი.

გავიგე, რომ ამ 100 წლოვანი იუბილის აღნიშვნას სოხუმშიც აპირებენ. თუ არ ვცდები, შემოდგომისთვის. კარგი იქნება თუ იქაც მიიპატიჟებენ აფხაზეთის იმ ნაკრებს, რომელიც დღეს საქართველოს კლუბების ნაკრებს ეთამაშა. ფეხბურთი სახალხო დიპლომატიაა.. ფეხბურთი მშვიდობა, მეგობრობა და ძველი, ტკბილი ურთიერთობების აღდგენის საუკეთესო საშუალებაა.

თბილისში ჩამოვედი და ჩემი ძველი მეგობრები ვინახულე, **სიომა ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, სერგო კოტრიკაძე** და სხვები. ჩვენ არაერთი წლები გვაკავშირებს ერთმანეთთან და წარსულიდან ბევრი რამ გავიხსენეთ. ამხანაგური მატჩის შესვენებაზე კი ნორჩი ფეხბურთელები დავაჯილდოვეთ. ვფიქრობ, ამ თამაშითა და საერთოდ იუბილით, ყველა კმაყოფილი დარჩება.

## დავით ნამგალაური:
# მჯერა, აფხაზეთში მალე დავბრუნდებით

აფხაზეთის ფეხბურთის საუკუნოვან იუბილეში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმთა დეპარტამენტიც აქტიურად მონაწილეობს. დეპარტამენტის თავკაცი **დავით ნამგალაური** ამაყი და ბედნიერია.

„მართალი გითხრათ, ამაყი და ბედნიერი ვარ, აფხაზეთში ფეხბურთს ასწლოვანი ისტორია აქვს, ეს კი ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს. ჩვენ ამ იუბილის ორგანიზებაში საქარველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობთ. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციასა და მის თავკაც **მურად ანჯაფარიძეს** ყველანაირად მხარში ვუდგავართ. აფხაზეთიდან, ამ ლამაზი კუთხიდან ქართული ფეხბურთი ყოველთვის ღირსეულ შევსებას იღებდა. აფხაზეთის, ამ ისტორიული მიწა-წყლის მოწყვეტა კი სხვა სფეროებთან ერთად სპორტსა და ფეხბურთსაც დაეტყო. თუმცა იმედი მაქვს და მჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პრობლემა მალე მოგვარდება, ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და ჩვენ აფხაზებთან ერთად ავაღორძინებთ ამ ისტორიულად ქართულ კუთხეს, სპორტსა და ფეხბურთს ამ რეგიონში.

რაც შეეხება იუბილეს, კარგი იქნებოდა ეს იუბილე თბილისში კი არა, სოხუმში აღგვენიშნა, მაგრამ იმედი მაქვს მომდევნო იუბილეებს უკვე აფხაზეთში აღვნიშნავთ", - აღნიშნა სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა.

## კობა ნაყოფია
# ამ იუბილემ აფხაზეთი გამახსენა

სააქციო საზოგადოება „მადნეულის" თავკაცი **კობა ნაყოფია** გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბოლნისის „სიონს" მხარში ედგა და ამ გუნდის ჩემპიონობაში წვლილიც მიუძღვის. გარდა ამისა, „მადნეული" საქართველოს ეროვნული ნაკრების სპონორია 2010 წლის ბოლომდე. კობა ნაყოფია წარმოშობით აფხაზეთიდანაა და სულაც არაა გასაკვირი, რომ აფხაზეთში ფეხბურთის საუკუნოვანი იუბილის ორგანიზებაშიც თავისი წვლილი შეიტანა.

- ამ იუბილის აღნიშვნა ჩემი აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანი იყო და მადლობა მინდა ვუთხრა, იდეის ავტორებსა და ორგანიზატორებს. ამ იუბილემ აფხაზეთი გამახსენა. გალში დავიბადე და გავიზარდე. გალს კარგი გუნდი ჰყავდა - „მზიური". ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი მშობლიური ქალაქი და ბუნებით გამორჩეული აფხაზეთი. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მჯერა მალე მოვა დრო, ჩვენ ისევ გვერდიგვერდ ვიცხოვრებთ და ერთად დიდ წვლილს შევიტანთ როგორც ჩვენი ფეხბურთის, ასევე ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერლის ჩანაწერები

# ოტმარ ჰიტცფელდი: ჩემი ტიტულები, ჩემი ცრემლები

“ბაიერნთან” და ბუნდესლიგასთან გამომშვიდობების შემდეგ, მეორე დღეს, შუადღის პირველ საათზე გამეღვიძა. სხვა დროს ასე დიდხანს არასდროს მძინავს ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ისე ვიყავი დაღლილი და ემოციებისგან დაცლილი, რომ ლოგინიდან ადგომა აღარ მინდოდა.

როცა მწვრთნელად დავიწყე მუშაობა, მაშინვე მივაქციე ყურადღება იმას, რომ დროულად დამეძინა და კარგად დამესვენა. საერთოდ, მაქსიმუმ 22 საათზე ან 22 საათსა და 30 წუთზე ვიძინებ ხოლმე და ყოველთვის ძალიან ადრე ვდგები. მაგრამ ეს იყო დღე, როცა გამონაკლისი დავუშვი. ზეიმის შემდეგ დაძინების არანაირი სურვილი არ მქონდა. ერთი წამითაც არ მიფიქრია, რომ დრო იყო, სახლში წავსულიყავი.

მე, **ული ჰიონესი**, **კარლ-ჰაინც რუმენიგე**, **ფრანც ბეკენბაუერი** და **კარლ ჰოპფნერი** დილამდე ერთად ვისხედით. ცხადია, ჩემთან ერთად იყო ჩემი მეუღლე **ბეატრიქსიც**, ისევე, როგორც სხვების მეუღლეები. ჩემი მუდმივი ასისტენტი **მიხაელ ჰენკე** და მეკარეების მწვრთნელი **ვალტერ იუნგჰაუსი** კი მოგვიანებით შემოგვიერთდნენ. ვლაპარაკობდით, ვხუმრობდით, ძველ ისტორიებს ვიხსენებდით, წითელ ღვინოს მივირთმევდით. სხვათა შორის, შეკრებებზე და თამაშების შემდეგ, საღამოს, მე და ული ჰიონესი ყოველთვის ორ-სამ ჭიქა წითელ ღვინოს ვსვამდით ხოლმე. ეს ერთგვარი ტრადიცია იყო.

ვისხედით, ვსვამდით და დაღლას ოდნავადაც არ ვგრძნობდი. მე და ბეატრიქსმა ტაქსი დილის ოთხის ნახევარზე გამოვიძახეთ და უკანასკნელები ვიყავით, ვინც ბარი დატოვა. ღამე არაერთხელ გამითენებია, მაგრამ არასდროს მქონია შემთხვევა, როცა დილის ოთხ საათზე დაღლა არ დამტყობია. როგორც ჩანს, ემოციურმა დღემ და ადრენალინმა ჩემს ორგანიზმს ყველაფერი დაავიწყა, მათ შორის დაღლაც. ყოველ შემთხვევაში, მე ამ ფაქტს სხვა ახსნას ვერ ვუძებნი.

“ჰერტასთან” მატჩის წინ ვიტირე და ეს ცრემლები პირდაპირ გულიდან მოდიოდა. ეს გახლდათ ბედნიერების ცრემლები. მოგვიანებით ყველამ მკითხა, მაინც რომელი სურათი აღმოჩნდა შენთვის იმდენად ემოციური, რომ ტირილი დაიწყეო. ჩემმა მეუღლემ, რომელიც ტრიბუნაზე იჯდა, მითხრა, როცა ტაბლოზე შენი სახე აჩვენეს და ვნახე, როგორ ტიროდი, თვალები დავხუჭე, რადგან არ მინდოდა, რომ ეს ყველაფერი დამენახაო. მაგრამ ეს ვერ შეძლო, მაინც მიყურა და თვითონაც ჩემთან ერთად იტირა.

ტიროდნენ ისინიც, ვინც იმ მომენტში ჩემს გვერდით იდგა. ტიროდა თვით ული ჰიონესიც და ეს იყო პირველი შემთხვევა ასეთი ხანგრძლივი ნაცნობობის განმავლობაში, როცა ული თვალცრემლიანი ვნახე. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამ კაცს ტირილი შეეძლო. ცრემლიანი თვალები ჰქონდა კარლ ჰოპფნერსაც და მსაჯ **მარკუს მერკსაც**, რომელმაც კარიერა დაასრულა.






ტიროდნენ მისი ასისტენტებიც, მაგრამ ჩემზე ყველაზე მეტად იმ მომენტმა იმოქმედა, როცა ფანებმა დაიჩოქეს.

ეს იყო ერთადერთი და განუმეორებელი გამოსათხოვარი დღე უდიდესი ემოციებით. და ეს დღე ძალიან დიდხანს გაგრძელდა. მერე რატუშის აივანზე ვიდექით და უცებ, 30 000-მა ქომაგმა სიმღერა შემოსძახეს. მღეროდნენ, ოტმარ დიდი მადლობა, ოტმარ ძალიან გვიყვარხარო. მერე კი **ოლივერ კანსაც** უმღერეს.

მოგვიანებით, მიკროფონი კანმა აიღო და ჩაჰყვირა: *“დაიჩოქეთ ოტმარ ჰიტცფელდის წინაშე!”* და უცებ აბსოლუტურად ყველამ დაიჩოქა! ეს იყო ყველაზე ემოციური მომენტი ჩემს ცხოვრებაში.

სამწუხაროა, რომ ჩემმა ვაჟმა **მათიასმა** ეს ყველაფერი ვერ ნახა, თორემ ძალიან იამაყებდა. მასაც გული დასწყდა. სამწუხაროდ, გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და ორი დღით ავსტრიაში გახდა წასასვლელი. იმის დროც კი არ ჰქონდა, რომ ტელევიზორისთვის ეყურებინა. თუმცა ცხადია, მირეკავდა და ტექსტურ შეტყობინებებს მიგზავნიდა.

ფეხბურთელებმა ულამაზესი საათი და სამაჯური მაჩუქეს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და ლამაზი საჩუქარი მაინც ის იყო, რომ ჩემმა გუნდმა დუბლი შეასრულა. ულამაზესი საჩუქარი იყო სეზონის ბოლო მატჩიც - 4:1 “ჰერტასთან”, სადაც **ლუკა ტონიმ** და **ფრანკ რიბერიმ** შესანიშნავი გოლები გაიტანეს. რიბერი ხელოვანია, ფანებს აღაფრთოვანებს და დიდი შანსი აქვს, რომ ფეხბურთის გენია გახდეს. მან თავიდანვე დაიპყრო “ბაიერნის” ქომაგების გულები, ისევე, როგორც ტონიმ თავისი უმნიშვნელოვანესი გოლებით. როდესაც ტონის ბუნდესლიგის ბომბარდირობის დამადასტურებელი “ზარბაზანი” გადასცეს, ძალიან ამაყი გახლდით და მიხაროდა, რომ ერთი წლის წინათ “ბაიერნმა” ეს ფეხბურთელი იყიდა. სიმართლე გითხრათ, პირადად მე ერთხელაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ ტონი “ბაიერნს” იდეალურად მოერგებოდა.

წარმატებაში თავისი წვლილი ყველას მიუძღვის და არა მარტო ჩვენს შესანიშნავ თავდასხმას, არამედ დაცვის ხაზსაც და საყრდენ ნახევარმცველებსაც, რომლებმაც მთელი სეზონის განმავლობაში უდიდესი სამუშაო გაწიეს. დიდი მადლობა **მარკ ვან ბომელს და ზე რობერტოს!** და რა თქმა უნდა, ქებათა ქება დაცვას. სწორედ ჩვენი უკანახაზელების დამსახურებაა ის, რომ ამ სეზონში მხოლოდ 21 გოლი გავუშვით და რეკორდი დავამყარეთ. ჩემთვის ამ მიზნის მიღწევას უდიდეს მნიშვნელობა ჰქონდა. “ჰერტასთან” თამაშის წინ ბიჭებს სპეციალურად ვუთხარი, ერთზე მეტი გოლის გაშვების უფლება არ გვაქვს-მეთქი და ბლოკნოტშიც ჩავინიშნე, რომ ეს გუნდისთვის შესვენებაზეც შემეხსენებინა. ძალიან მინდოდა, რომ კანს ამ რეკორდისთვისაც გამოეკრა ხელი – მან ეს დაიმსახურა. დანარჩენებს გაისად მიეცემათ იმის შანსი, რომ ეს რეკორდი გააუმჯობესონ, კანისთვის კი, ეს ბოლო შანსი იყო.

ევროპის ჩემპიონატის მონაწილეებს უკვე გამოვემშვიდობე და წარმატებები ვუსურვე. სხვებთან ერთად კი, აზიაში პატარა ტურნეს მოვაწყობთ. ეს იქნება ჩემი და კანის უკანასკნელი მოგზაურობა “ბაიერნთან” ერთად.

მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

დორტმუნდი

# ახალი დოლი კლოპია!

## ბორუსიის ხელმძღვანელებმა გუნდი სანდო კაცს ჩააბარეს

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ დორტმუნდის „ბორუსიის“ მთავარ მწვრთნელად **იურგენ კლოპის** დანიშვნა გადაწყვეტილი ამბავი იყო. ეს ინფორმაცია გუშინწინ გამოცემა „ბილდმა“ გაავრცელა. გუშინ კი, ვესტფალიური კლუბის შეფებმა 40 წლის სპეციალისტი ახალი დამრიგებლის, ანუ, ამას წინათ გათავისუფლებული **თომას დოლის** შემცვლელის რანგში ოფიციალურად წარადგინეს. „კლოპომ“ „ბორუსიასთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა. მას დორტმუნდში თავისი მუდმივი ასისტენტი **ჟელკო ბუვაჩიც** მიჰყავს.

იმისთვის, რომ საბოლოო შეთანხმებისთვის მიეღწიათ, კლოპსა და „ბორუსიის“ შეფებს სამი მოლაპარაკების გამართვა დასჭირდათ. ბოლო და გადამწყვეტი მოლაპარაკება ხუთშაბათს საღამოს გაიმართა, რომელზეც მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიეს.

სპორტული დირექტორის, **მიხაელ ცორკის** თქმით, კლოპი ის კანდიდატია, რომელზეც “ბორუსიის” ხელმძღვანელები დოლის წასვლის შემდეგ პირველ რიგში დაფიქრდნენ. *„კლოპი ის მწვრთნელია, რომელიც ფეხბურთით ცოცხლობს და ეს ყველამ ვიცით. მისი შესანიშნავი, მხიარული და ამავე დროს, პროფესიონალური სტილი ზუსტად ის არის, რაც დორტმუნდის „ბორუსიას“ სჭირდება, გუნდს, რომლის ფანებსაც ფეხბურთი გერმანიაში ყველაზე მეტად უყვართ,“* – ამბობს ცორკი.

კლოპის თქმით, მის ახალ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს. თუმცა, იურგენი ამით ახალს არაფერს ამბობს. იგივეს ამბობდა დოლიც, **რიობერიც** და **ვან მარვიიკიც**, რომლებიც მისი წინამორბედები იყვნენ. სამაგიეროდ, კლოპი ერთი რამის გარანტიაა: წინდაწინვე ფაქტია, რომ მის ხელში “ბორუსია” მოსაწყენ ფეხბურთს არ ითამაშებს.

“ბორუსიამ” მომავალი სეზონისთვის უკვე დაიბევა სამი ფეხბურთელი: **ტამაშ ჰაინალი** (ნახევარმცველი, კარლსრუედან), **ფელიპე სანტანა** (მცველი, ფიგერენსედან) და **მარკო ბასა** (მცველი, ლე მანიდან). მაგრამ ვესტფალიელები ამაზე შეჩერებას არ აპირებენ და კიდევ რამდენიმე მოთამაშის დამატებას გეგმავენ. გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** დაადასტურა, რომ დორტმუნდელები ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე აუცილებლად გააქტიურდებიან – გარკვეულ რისკზე წასვლაც შეგვიძლიაო. თუმცა ცხადია, რომ ეს არ იქნება ისეთი აქტივობა და რისკი, როგორზეც ერთ დროს დორტმუნდელთა ადრინდელი ბოსები **მიხაელ მაიერი** და **გერდ ნიბაუმი** მიდიოდნენ ხოლმე და რის გამოც ვესტფალიელთა სიამაყეს 2003 წელს გაკოტრება ემუქრებოდა.




კლოპის მიზნები? რაც შეიძლება ცოტა გოლის გაშვება და მეტი თამაშის მოგება. *“მერე კი ვნახოთ. შეიძლება, რაღაც რაღაცეებისთვის ვიბრძოლოთ,“* – ამბობს „ბორუსიის“ ახალი დამრიგებელი.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს XVI ჩემპიონატი. ფინალი. მეოთხე მატჩი

# კამპეონე, ოე, ოე, ოეეენერჯი!

23 მაისი, თბილისი სპორტის სასახლე
ავიამშენი-ენერჯი 76:83
23:20, 14:34, 20:22, 19:7

| ავიამშენი | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კვიმსაძე | 34 | 12 | 6 | 3 | 2 | 0 |
| ტულუში | 40 | 24 | 6 | 7 | 0 | 0 |
| ნიკოლაძე | 35 | 15 | 3 | 4 | 1 | 0 |
| ნინიაშვილი | 10 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 |
| როდუმტა | 39 | 8 | 13 | 1 | 1 | 3 |
| სუხიშვილი | 20 | 5 | 6 | 2 | 1 | 0 |
| ბერაია | 12 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 |
| მინაშვილი | 7 | 6 | 1 | 0 | 0 | 0 |
| იმნაძე | 4 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

| ენერჯი | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 40 | 21 | 4 | 5 | 5 | 0 |
| ბაბიაშვილი | 22 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 |
| სტეფანოვი | 30 | 25 | 9 | 3 | 2 | 1 |
| გოგობერიშვილი | 31 | 5 | 1 | 1 | 0 | 1 |
| ჩიტაშვილი | 25 | 11 | 4 | 5 | 1 | 0 |
| ტუჯანი | 29 | 2 | 2 | 2 | 1 | 0 |
| ჭოჭუა | 24 | 15 | 1 | 2 | 0 | 0 |

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

## სერია მოიგო ენერჯიმ - 3:1



გამყრელიძე (ბურთით), როდუმტა, სტეფანოვი, ტულუში — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**...ოთხი, სამი, ორი, ერთი და ჟულივეტ ტუჯანის ეფექტურ ზემოდან გდებას საფინალო სირენისა და რუსთაველი გულშემატკივრების მქუხარე ხმა დაერთო. "ენერჯიმ" ენერგიულად ჩაატარა მეოთხე მატჩი და 83:76 იმარჯვა, ფინალური სერია კი 3:1 მოიგო.**

შეხვედრის შემდეგ იყო მხურვალე ემოციები; მწვრთნელის, **დავით უსტიაშვილის** ჰაერში რამდენჯერმე აგდება; განსაკუთრებული მილოცვა გამოცდილი **ბაბიაშვილის** მისამართით, რადგან მან პირველად მოიგო ოქრო; თასის აღმართვა; მილოცვები ყველა მხრიდან, მათ შორის ქვემო ქართლის გუბერნატორ **დავით კირკიტაძისგან** და რუსთაველი გულშემატკივრის სიმღერა მეტროში – "კამპეონე, კამპეონე, ოე, ოე, ოეეეე!"

მესამე მატჩის მსვლელობაზე საუბარი ერთი აბზაცით გვიან დავიწყოთ, მანამდე მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე მოგახსენებთ: 2002 წლის შემდეგ ზედიზედ ორჯერ საქართველოს ჩემპიონობა მხოლოდ რუსთაველებმა მოიპოვეს – 2007 და 2008 წლებში. მანამდე, 2000, 2001 და 2002 წლებში ზედიზედ სამგზის ოქროსმედალოსანი "ბასკო" გახდა. დიდი ამბავი, თუკი 2002 წლის მერე ზედიზედ ორჯერ ჩემპიონობა მხოლოდ "ენერჯიმ" მოიპოვა – გაიკვირვებს მავანი. ეს სწორედ რომ დიდი ამბავია: აქამდე საქმე გვქონდა გაზაფხულის აზნაურთა მსგავს უფულო და ერთწლიან გუნდებთან (მათ შორის "ავიას" გარევა რამდენად სამართლიანია, ამას მომავალი გვიჩვენებს), რომლებიც ერთი გაელვების შემდეგ გაზაფხულის თოვლივით ქრებოდნენ.

რუსთავის "ენერჯიმ" კი სხვაგვარად დაიწყო: 2006 წელს საქართველოს ჩემპიონატის ფინალში "ავიასთან" წააგო, 2007 წელს ძირითადად ქართველებით დამაჯერებლად მოიგო პირველობა, ხოლო 2007-08 წლების სეზონში ჯერ ევროთასზე ითამაშა, გუშინ კი ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი ასწია. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ რუსთაველები ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევენ და... ქართული კალათბურთის ნებისმიერ კეთილისმსურველს გაუხარდება თუ ესტაფეტას 90-იანი წლების "ვითასგან" გადაიბარებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საგაისოდ ძირითადი ბირთვი უნდა შენარჩუნდეს, ევროთასებზე გავიდეს და ჩემპ... ოო, უკვე მეორე წრეზე წავედი. სჯობს "ენერჯის" მთავარ მწვრთნელ დავით უსტიაშვილს მოვუსმინოთ: *"აქამდე მხოლოდ ფინალებზე ვფიქრობდი, ამიტომ მომავალში რა იქნება, ჯერ არ ვიცი, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა გამოთქვამდა სურვილს, რომ გაისადაც ძლიერი გუნდი შეგვენარჩუნებინა და ევროტურნირებზეც გვეთამაშა. ამ საკითხებზე საუბარი მომავალში აუცილებლად იქნება და იმედს ვიტოვებ, რომ "ენერჯი" გაისადაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს"*.

რადგან დღევანდელი მიმოხილვა ბოლოდან დავიწყეთ, ქრონოლოგია არ დავარღვიოთ და საფინალო სირენიდან მატჩის დასაწყისისკენ "ვიაროთ". დავით უსტიაშვილმა თამაშის დასრულების შემდეგ შეხვედრის მოკლე ანალიზიც მოგვცა: *"დღეს ჩემმა გუნდმა დამსახურებულად გაიმარჯვა. შეხვედრა სხვადასხვა ნაწილებად უნდა გავყო: თავიდან კარგად დავიწყეთ, დაცვაშიც კარგად გამოვიყურებოდით და შეტევაშიც გავიხსენით, შედეგად 26 ქულის სხვაობით დავწინაურდით. ბოლო მეოთხედში ბიჭებმა გამარჯვება ნაადრევად ირწმუნეს და ცოტა მოეშვნენ. "ავია" გამოცდილი კალათბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია და ოდნავი მოდუნება არ გვაპატია – მოკლე დროში სხვაობა ქულამდე შეგვიმცირა. თუმცა ბოლო წუთებზე ჩემმა კალათბულთელებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს და გამარჯვება არ დათმეს. სასიამოვნოა, რომ საკუთარი თამაში უჩვენა სერბმა იოვან სტეფანოვმა, რომელსაც ფინალებამდე კუჭი აწუხებდა და ახლაც დიეტაზეა."*

მეოთხე პერიოდის წინ "ენერჯის" კალათბურთელები 76:57-ს იგებდნენ და ბოლო რაუნდის ქრონოლოგიის ჩაწერას არ ვაპირებდი. თუმცა, მესამე შესვენებისას რუსთაველთა ხალისიანმა განწყობამ და "ავიატორთა" გაბრაზებულმა სახეებმა მაფიქრებინა, რომ მეოთხე პერიოდიც საინტერესო იქნებოდა და ბოლო 10 წუთში ჩაგდებული ყოველი ქულა ფურცელზე ჩავინიშნე.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ დავით უსტიაშვილმა "ავიას" გამთამაშებელი **კოტე ტულუში ლაშა გამყრელიძის** ნაცვლად **მიხეილ ჩიტაშვილს** ჩააბარა. ალბათ, იმიტომ, რომ გამყრელიძეს 3 ჯარიმა ჰქონდა მიღებული. მანამდე ლაშა კარგად მეურვეობდა კოტეს, რადგანაც მოეხსენებოდა, რომ ყველაზე მეტი საფრთხე სწორედ მისგან იყო მოსალოდნელი. ბოლო პერიოდში ტულუშს პერიმეტრზე ბლოკებით პლასიდე როდუმტა ეხმარებოდა და 26-ქულიანმა სხვაობამაც დნობა დაიწყო: 19:1 სპურტში კოტეს წილად საჯარიმო, 2 სამქულიანი და საჯარიმოიანი ორქულიანი მოდიოდა (ჯამში 10 ქულა). გაქცევის ბოლო აკორდი კი **ბუბა კვიმსაძის** ზუსტი შორეული ტყორცნა გახლდათ. ბუბამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არავისზე ნაკლები გამთამაშებელი არ არის და გადამწყვეტ მომენტშიც შეუძლია ზუსტი სროლა. მან სამქულიანი სირენამდე 1:46 წამით ადრე ჩააგდო და სხვაობა ქულამდე შეამცირა – 76:77. "ავიას" გადამწყვეტი იერიშისთვის ძალა აღარ შერჩა. დარჩენილ დროში **სტეფანოვ-გამყრელიძის** დუეტმა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე "ენერჯის" ენერგია დაუბრუნა და ზედიზედ მეორედ გააჩემპიონა - 83:76. ბოლო პერიოდის ქრონოლოგიას მიმოხილვის ბოლოს გაეცნობით, მანამდე სვლა ზემოდან ქვემოთ განვაგრძოთ და მე-15 და 26-ე წუთებს შორის მონაკვეთზე ვისაუბროთ. მატჩის საწყის წუთებში "ავიამ" ჩვეულად გამოიყურებოდა, თამაში გამართულად მიჰყავდა და სხვაობას ნელ-ნელა ზრდიდა. თუმცა მე-15 წუთიდან სტუმართა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა **ლაშა გამყრელიძეს** სწრაფი **მიშა ჩიტაშვილი** შეუწყვილა და "ენერჯიმ" ტემპს უმატა. რუსთაველები დაცვაში ბურთს რომ იგდებდნენ, შეტევებს პირველ ფაზაშივე აგვირგვინებდნენ. ლაშა გამყრელიძის რამდენიმე ზუსტმა ქულა-პასმა რუსთაველები ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხისგან გაათავისუფლა და მეორე პერიოდის შუიდან მესამის შუამდე შეტევათა უმეტესობა "ავიას" კალათის შერხევით სრულდებოდა. წნეხის მოხსნაზე როცა ვსაუბრობთ, პირველ რიგში, მიშა ჩიტაშვილის მაგალითი უნდა მოვიხმოთ. იგი 1987 წელსაა დაბადებული და აქამდე საქართველოს ჩემპიონატის ფინალებში არ უთამაშია (ირანის მეორე ლიგის პლეი ოფი ჩვენს ფინალთან ახლოსაც ვერ მივა), ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ცოტა შებოჭილი თამაშობდა. რუსთავში არათუ სამქულიანების, არამედ საჯარიმოების უმეტესობასაც ვერ იყენებდა, მაგრამ გუშინ როცა "ენერჯი" ბოლომდე გაიხსნა, ჩიტაშვილმა არც სამქულიანის სროლისას იჭოჭმანა და ჩააგდო კიდეც. მოკლედ, "ენერჯის" გათავისუფლებამ სტუმართა 70:44 დაწინაურება გამოიწვია.

რას აკეთებდნენ ამ დროს "ავიატორები"? მათ შეტევაზე მეტად დაცვა აღელვებდათ, რადგან მეტოქესთან შედარებით დამძიმებულები ჩანდნენ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სამ ლიდერ უკანახაზელს, **ნიკოლაძეს, ტულუშსა და კვიმსაძეს** ზედიზე მეორე დღეს, მეორე მატჩის ჩატარება უწევდათ თითქმის შეუცვლელად. სწორედ ამიტომ არ მოელოდნენ "ენერჯის" კალათბურთელები, რომ გადაღლილი "ავიატორები" სამწუთიანი შესვენებისას ძალებს ბოლომდე აღიდგენდნენ და მეოთხე პერიოდიდან მეორე სუნთქვა გაეხსნებოდათ. ხოლო რა მოხდა მეოთხე ათწუთეულში, სიტყვიერად მოკლედ უკვე გითხარით, ქვემოთ კი ციფრებით მოგახსენებთ.

მიმოხილვას კი ერთი ნეიტრალური ქომაგის სიტყვებით დავასრულებთ: *"სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ჩემპიონატში გაემარჯვა იმ გუნდს, ვისაც ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავდა. "ენერჯის" ჩემპიონობამ ხომ დარბაზში შეკრებილი ორიათასამდე რუსთაველთა ქომაგი და მთლიანად რუსთავი გაახარა"*.

**ვაჟა სიმონიშვილი**



საქართველოს ჩემპიონი რუსთავის ენერჯი-ინვესტი — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| IV პერიოდი | |
|---|---|
| **9:25** | ტულუში (ავია) - 1 ქ (59:76) |
| **9:13** | სუხიშვილი (ავია) - 2ქ (60:76) |
| **8:33** | ნიკოლაძე (ავია) - 2ქ (62:76) |
| **6:48** | ტულუში (ავია) - 2+1ქ (65:76) |
| **6:48** | ჭოჭუა (ენერჯი) მე-5 ფოლი |
| **5:33** | ტულუში (ავია) - 3ქ (68:76) |
| **5:20** | ნიკოლაძე (ავია) მე-5 ფოლი |
| **4:39** | სტეფანოვი (ენერჯი) - 1ქ (77:68) |
| **4:17** | ტულუში (ავია) - 3ქ (71:77) |
| **3:27** | ბერაია (ავია) - 2ქ (73:77) |
| **1:46** | კვიმსაძე (ავია) - 3ქ (76:77) |
| **1:27** | სტეფანოვი (ენერჯი) - 2ქ (79:76) |
| **0:42** | სტეფანოვი (ენერჯი) - 1ქ (80:76) |
| **0:31** | გამყრელიძე (ენერჯი) - 1ქ (81:76) |
| **0:00** | ტუჯანი (ენერჯი) - 2ქ (83:76) |

| ყველა ჩემპიონი | |
|---|---|
| დინამო | 1991 |
| ვითა | 1992-93 |
| ვითა | 1993-94 |
| ვითა | 1994-95 |
| ვითა | 1995-96 |
| ვითა | 1996-97 |
| ვითა | 1997-98 |
| ვითა | 1998-99 |
| ბასკო | 1999-2000 |
| ბასკო | 2000-2001 |
| ბასკო | 2001-2002 |
| დინამო | 2002-2003 |
| ბასკო | 2003-2004 |
| სტუ | 2004-2005 |
| ავიამშენი | 2005-2006 |
| ენერჯი | 2006-2007 |
| ენერჯი | 2007-2008 |

ტეიმ-აუტი ლელოსთან ერთად

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი



დასაწყისი „ლელო" №88, 92, 97, 103, 109, 115

სამოცდაათიან წლებში გერმანელმა ჟურნალისტებმა წამოაყენეს წინადადება, დღევანდელი ევროლიგის დარად, დაწესდეს ევროპის სუპერლიგა, სადაც ამ კონტინენტის უძლიერესი გუნდები გაერთიანდებიან. დასახელებულ კლუბთა სიაში თბილისის დინამოელებიც მოხვდნენ. მერე რაო? იკითხავს მავანი. ჩვენთან ყოველთვის გამოჩენილი ფეხბურთელები თამაშობდნენ და მათი ნიჭი დაფასდაო. საქმე კი იმაშია, რომ თბილისელები ერთადერთნი იყვნენ ამ კამპანიაში, ვისაც არცერთ(!) ევროპულ ოფიციალურ ტურნირში მანამდე მონაწილეობა არ მიუღიათ. აბა წარმოვიდგინოთ რომელიმე სუპერკლუბი, რომლის სიძლიერეს მხოლოდ საკუთარი ჩემპიონატითა და ამხანაგური შეხვედრებით აფასებენ! (თანაც თბილისელებს იმ დროისთვის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მხოლოდ ერთხელ(!) ჰქონდათ მოგებული, ისიც დიდი ხნის წინათ).

ოთხმოციან წლებში თბილისის „დინამოს" მთავარ ბალახის მკრეჭავთან, სისტემატურად დადიოდა ტომრიანი კაცი ბალახის წასაღებად. სად? თურმე ბოცვერების ფერმა ჰქონია მოქალაქეს. ფერმის ბინადართა გამოკვება კი საბჭოეთის პირობებში არც ისე იოლი იყო. სხვათა შორის, ისევე, როგორც დღეს. როგორც ხედავთ, სტადიონი არა მარტო სანახაობით კვებავს მაყურებელს.

**1981 წლის** ევროპის თასების მფლობელთა ტურნირის ნახევარფინალში, რომელიც როტერდამში ტარდებოდა, ადგილობრივი „ფეიენოორდი" თბილისის „დინამოს" მასპინძლობდა. საოცარი იყო შემდეგი: ამ მატჩს მაშინდელი საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის არცერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა! ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ რეფერიმ სტუმრების მიერ გატანილი სამი(!) გოლი არ ჩათვალა. ქართველებმა მაინც ჩამოიცილეს „ფეიენოორდი" გზიდან და თასიც დაისაკუთრეს.

**ტრაგიკული დამთხვევა:** 1981 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალის ორივე მთავარი მოქმედი პირი, თბილისელთა ნახევარმცველი **ვიტალი დარასელია** და უეფას პრეზიდენტი იტალიელი **არტემიო ფრანკი** (რომელმაც დინამოელებს თასი გადასცა) ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. ჯერ პრეზიდენტს შეემთხვა ფათერაკი, ცოტა ხნის შემდეგ კი ქართველს ფეხბურთელს.

იმავე ფინალური მატჩის ჩვენი ქომაგების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ მსოფლიოს მარვალი ქვეყნიდან ჩამოსული ქართველი ებრაელები. იმ „ძნელადგასასვლელ" წლებში მათი ქომაგობა არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი გამოდგა.

**საქართველოს სსრ-ს შსს-ს ოპერატიული ცნობა:** „1981 წლის 13 მაისს თბილისის ქუჩებში 500 000-მდე ადამიანი გამოვიდა და არცერთი დანაშაული არ მომხდარა." ფაქტი, რომელიც აგიჟებდა საკავშირო სპორტის მესაჭეებს: საქართველო ერთადერთი რესპუბლიკა იყო კავშირში, რომლის კლუბებმა ევროთასები მოიპოვეს №1 და №2 სპორტის სახეობებში, 1962 წელს თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგეს, 1981 წელს კი ფეხბურთელმა თანაკლუბელებმა თასების თასი. ასეთი შედეგებით (მაშინდელი და ახლანდელიც) ბევრი ევროპული გრანდი სახელმწიფო ვერ დაიტრაბახებს. ისიც აუცილებლადაა აღსანიშნავი, რომ ლეგიონერებით გაძეძგილი ევროპული გუნდებისაგან განსხვავებით, ქართველები პრაქტიკულად საკუთარი ძალებით აღწევდნენ საწადელს. რაც კარგები ვართ...

ასე რომ, გული არ გაიტეხოთ დღევანდელო გულშემატკივრებო, მომავალში მეტსაც მივაღწევთ! ფრიად საინტერესო შეფასება მისცა ბრიტანეთის პრესამ 80-იანი წლების დასაწყისში ინგლისში თბილისელების მიერ „ვესტ ჰემის" განადგურებასა და რუსთაველის თეატრის ტრიუმფალურ გასტროლებს. გაზეთები წერდნენ: „ქართველებმა გვაჩვენეს, თუ როგორ უნდა ფეხბურთის თამაში და შექსპირის დადგმა!"

**ლანჩხუთის** რაიონული სტადიონის ელექტროტაბლოზე 80-იან წლებში საფეხბურთო მატჩების დროს, ყოველთივს იმყოფებოდა ამ აგრეგატის გამგებელი და სწრაფლ აღნიშნავდა გატანილ გოლებს მოკაშკაშე ციფრებით. ერთხელ, (მაშინ „გურია" ჯერ კიდევ სსრკ-ს ჩემპიონატის II ლიგაში თამაშობდა), მეტაბლოეს გურულმა გულშემატკივარმა ქვევიდან შესძახა: „რას ხედავ მაქიდან ელანძე?" პასუხმაც არ დააყოვნა: „უმაღლეს ლიგას, ბიძიკო!" ასე აგიხდათ ყოლიფერი! იციან გურულებმა რას ამბობენ.

**80-იანი წლების ბოლოს** ფოთში იღებდნენ ფილმს ქართულ ფეხბურთზე. გადაიღეს ქალთა გუნდი „მედეაც". როდესაც რამდენიმე წლის შედმეგ რეჟისორი ისევ ფოთში ჩავიდა, მასპინძლებს ჰკითხა - „მედეას" ფეხბურთელების საქმე როგორ არისო? კარგადო - უპასუხეს, ოღონდ გუნდი აღარ არსებობსო. გაოცდა რეჟისორი. „ყველანი გათხოვდნენ." - განუმარტეს სტუმარს.

**ალბათ**, ცოტაა მსოფლიოში ქვეყანა, სადაც ფეხბურთმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ასეთი დიდი როლი ითამაშა, როგორც ჩვენთან. გავიხსენოთ 1990 წლის 30 მარტი. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ლამის ორი წლით ადრე, იხსნება I ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში, მას ხსნის საქართველოს მომავალი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** სიტყვებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!" ეს სიტყვები აუცილებლად იქნება გამოსახული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობის კედელზე.

მსოფლიოში უნიკალური ორმაგი საფეხბურთო ბილეთი გამოვუშვით ქართველებმა 1990 წლის 30 მარტს. პირველი ეროვნულის, პირველი მატჩისთვის და... არა მარტო პირველი მატჩისთვის. აი, რა ეწერა მას: „ამ ბილეთის მფლობელს უფლება აქვს დაესწროს სეზონის გახსნის მატჩს 2000 წელს!" მართლაც, სკეპტიკოსების გასაწბილებლად ჩემპიონატის პირველი მატჩიც ჩატარდა, 2000 წლის მატჩიც და 3000 წლის მატჩებიც ჩატარდება. გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## 24-31 მაისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

**24 მაისი, 1964 წელი.** ამ დღეს ტრაგედია დატრიალდა ლიმაში, სადაც პერუსა და არგენტინის ოლიმპიური საფეხბურთო ნაკრები გუნდები ერთმანეთს ხვდებოდნენ შესარჩევ ტურნირში. მას შემდეგ, რაც მსაჯმა სტუმართა კარში გატანილი გოლი არ ჩათვალა სტადიონი არეულობამ მოიცვა, რის შედეგად 318 ადამიანი დაიღუპა და 500-ზე მეტი დაშავდა.

**25 მაისი, 1935 წელი.** ის, რაც მიჩიგანის შტატის ქალაქ ენ ერბორში მოხდა, არც მანამდე და არც შემდეგ აღარ განმეორებულა. ლეგენდარულმა მძლეოსანმა **ჯესი ოუენსმა** 45 წუთში დაამყარა ხუთი მსოფლიო რეკორდი 200 და 220 იარდზე რბენაში, 200 და 220 იარდზე თარჯრბენში და სიგრძეზე ხტომაში - 8.13 მ.

**26 მაისს, 1955 წელს** „ფერარის" მანქანის გამოცდის დროს მონცას ტრასაზე ტრაგიკულად დაიღუპა ფორმულა 1-ის ორგზის ჩემპიონი **ალბერტო ასკარი.**

**27 მაისი, 1922 წელი.** ამ დღეს ბრიტანელებმა პირველად სცადეს ევერესტის (8884 მ) დალაშქვრა, მაგრამ მხოლოდ 8326 მ სიმაღლე დაძლიეს და საბოლოო მიზანს ვერ მიაღწიეს.

**27 მაისი, 1934 წელი.** გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა სსრკ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების დაწესების შესახებ. ამ წოდებას თავდაპირველად ანიჭებდნენ სპეციალისტებს სპორტში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის.

**27 მაისი, 1934 წელი.** იტალიაში დაიწყო და 10 ივნისს დამთავრდა ფეხბურთში მსოფლიოს II ჩემპიონატი. ფინალში იტალიელებმა დამატებით დროში 2:1 სძლიეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს.

**27 მაისი, 1985 წელი.** მეხიკოს სტადიონთან წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა და 50 დაშავდა.

**28 მაისი, 1928 წელი.** ზუსტად 80 წლის წინათ, ფიფამ ამსტერდამში გამართულ კონგრესზე მიიღო 1930 წელს ფეხბურთში პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების გადაწყვეტილება. 1929 წელს კი მომდევნო კონგრესმა ჩემპიონატის მასპინძლობა ურუგვაის მიანდო.

**28 მაისი, 1925 წელი.** პრაღაში სოკ-ის 23-ე სესიაზე **პიერ დე კუბერტენმა** უარი განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტობაზე. იმავე დღეს ამ პოსტზე აირჩიეს ბელგიელი **გრაფი ანრი დე-ბაიე ლატური.**

**29 მაისი, 1953 წელი.** 55 წლის წინათ, ადამიანმა პირველად დაიპყრო ევერესტი. ეს პატივი წილად ხვდათ ახალზელანდიელ **ედმუნდ ჰილარის** და 39 წლის ნეპალელ **შერპ თენსინგ ნორგეის.**

**29 მაისი, 1985 წელი.** 39 ადამიანი დაიღუპა და 400 დაშავდა ბრიუსელში „ეიზელის" სტადიონზე, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის („იუვენტუსი"-"ლივერპული" 1:0) დაწყებამდე.

**30 მაისი-19 ივნისი, 1962 წელი.** ჩილეში ჩატარდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ბრაზილიის ნაკრების ზედიზედ მეორედ გაჩემპიონებით დასრულდა.

**30 მაისი, 1911 წელი.** ინდიანაპოლისში პირველად ჩატარდა საავტომობილო რბოლა 500 მილზე. ტრასის სიგრძე იყო 4,2 კმ (200-ჯერ შემოვლით).

**31 მაისი-29 ივნისი.** მექსიკაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. არგენტინის ნაკრებმა მეორედ მოიპოვა ჩემპიონობა.

**31 მაისი-30 ივნისი.** იაპონიამ და კორეამ ფეხბურთში მსოფლიო XVII ჩემპიონატს უმასპინძლა. ფინალი: ბრაზილია-გერმანია 2:0. ბრაზილია მეხუთედ გაჩემპიონდა.

წყალსამოტორო სპორტი

# გვიდო კაპელინი: ფორმულა 1-ის კატამარანები და იუვენტუსი




ფორმულა 1-ის კატამარანი ესაა დახურული ტიპის სარბოლო ხომალდი, გნებავთ ნავი, რომელიც აღჭურვილია 6 ცილინდრიანი, 400 ცხენისძალის სიმძლავრის ძრავით. ძარა დამზადებულია კარბონისგან და იწონის 500 კგ-ს. კატამარანს შეუძლია წყალზე განავითაროს 225 კმ/სთ სიჩქარე. ერთ-ერთს, რომელიც Tamoil Team F1-ს ეკუთვნის, მართავს მსოფლიოს ცხრაგზის იტალიელი ჩემპიონი, კომოდან, **გვიდო კაპელინი.** 48 წლის პილოტი ნიჭიერი ინჟინერიცაა. მერამდენე წელია იგი ჩემპიონატებს შორის თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს, კომოს მშობლიურ ტბაზე ატარებს ახალთახალი კონსტრუქციის კატამარანების გამოცდაში.

ფორმულა 1-ის კატამარანებით რბოლის გარდა, კაპელინი გატაცებულია ფორმულა 1-ის მანქანებით რბოლით, მოტოციკლებით და... ფეხბურთით. მისი სათაყვანებელი გუნდი სერია A-ში ტურინის „იუვენტუსია". უკვე დიდი ხანია, „ბებერ ქალბატონს" გულშემატკივრობს. პირადად იცნობს ყველა ფეხბურთელს, თანამემამულეს თუ უცხოელს. მწარედ განიცდიდა „იუვეს" სკანდალში გახვევას და დაბალ ჯგუფში ჩამოქვეითებას, მაგრამ გაიხარა, როცა საყვარელი გნუდი სერია A-ში დააბრუნეს. ცოტა ხნის წინათ, როცა Tamoil-ი „იუვენტუსის" მთავარი დამფინანსებელი იყო, ამ ფირმამ მოაწყო წყალსამოტორო სპორტში მოღვაწე გუნდის წევრებისა და ფეხბურთელთა შეხვედრა, სადაც კაპელინის „იუვეს" მაისური აჩუქეს და სამახსოვრო ფოტოც კი გადაიღეს მასთან. კაპელინიმ კი სათაყვანებელი გუნდის წევრებს, „ტამოილის" ლოგოთი შემკული ფორმულა 1-ის კატამარანის მოდელი აჩუქა. ამ მოდელმა „იუვენტუსის" მუზეუმში დაიდო ბინა. ფეხბურთის მაისურს კი Tamoil Team F1-ის მოტორჰოუმის კედელზე მიუჩინეს ადგილი.

**დავით ჩუზინიძე**




კვიმატი ობიექტივი



წინა გამოშვების კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. კრუიფი, 1. ზესხო, 9. ილზი, 10, ოქსი, 11. კროლი, 14. ბოუ, 15. ფედერერი, 17. აუტი, 18. სო, 19. თედიაშვილი, 23. ბიკილა, 24. „დინამო", 25. ურო.

შვეულად: 2. ულიე, 3. „ფიორენტინა", 5. ხერგიანი, 6. გუი, 7. ნიჩბოსანობა: 8. ასტე, 12. ლახტი, 13. ჩემპიონი, 16. „იბერია", 20. შიდო, 21. ზიტო, 22. მოუ.

## თქვენთვის, ერუდიტებო

ოლიმპიურ თემაზე

1. სად და რომელ წელს აინთო პირველად ოლიმპიური ცეცხლი ოლიმპიურ თამაშებზე?
ა - ანტვერპენში, 1920 წელს
ბ - პარიზში, 1924 წელს
გ - ამსტერდამში, 1928 წელს

2. სად და რომელ წელს გაიმართა ოლიმპიური დროშის აღმართვის ცერემონიალი ოლიმპიურ თამაშებზე?
ა - სტოკჰოლმში, 1912 წელს
ბ - ანტვერპენში, 1920 წელს
გ - პარიზში, 1924 წელს

3. ოლიმპიური ფიცის ტექსტი პირველად გაჟღერდა ოლიმპიურ თამაშებზე
ა - ანტვერპენში, 1920 წელს
ბ - ბერლინში, 1936 წელს
გ - ჰელსინკში, 1952 წელს

4. რა ეწოდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საწესდებო დოკუმენტს?
ა - ოლიმპიური კოდექსი
ბ - ოლიმპიური წესდება
გ - ოლიმპიური ქარტია

5. სპორტის რომელ სახეობაში, რომელმა ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა ძველ ბერძნულ თამაშებში?
ა - სტრაბონმა - კრივში
ბ - პითაგორამ - ჭიდაობაში
გ- ჰეროდოტემ - ეტლებით რბოლაში

პასუხები: 1 - გ, 2 - ბ, 3 - ა, 4 - გ, 5 - ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ჭიდაობა

# ბოლო შანსი ორისთვის

გუშინ სერბულ ნოვი სადში „ანტიკოსთა" სალიცენზიო ტურნირი დაიწყო, რომელიც უსაგზუროდ დარჩენილთათვის პეკინში მოხვედრის ბოლო შანსია. მოგეხსენებათ, იქ ჩვენგან მხოლოდ **ლაშა ლომაძე** (60) და **რევაზ ჭელიძე** (120) ჭიდაობენ, რადგან სხვა წონებში უკვე მოვიპოვეთ საგზურები. ტურნირში დღეს ლომაძე ჩაებმება პორტუგალიელ მანუელ ალმეიდასთან შეხვედრით. ის ნამდვილად არაა დაუძლეველი ზღუდე და, საერთოდაც, მიგვაჩნია, რომ ჩვენებურს წილისყრამ გაუმართლა - მას, მინიმუმ, ნახევარფინალში გასვლა ევალება კიდეც. იქამდე მისასვლელ გზაზე ყველაზე ძლიერი მაინც აბსოლუტურად უტიტულო მოლდოველი ფედორ გაივანი გვგონია. მოკლედ, ახლა ყველაფერი ლომაძეზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ თითო წონაში სამი ლიცენზია გაიცემა. რაც შეეხება ჭელიძეს, ის ხვალ იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# შაფაქიძის ფინალი და ტიტული

18 წლის **მანანა შაფაქიძე** (693) ისრაელში, რაანანას ტურნირში (10 ათასი დოლარი) ფინალშია. მანანამ ორთვიანი შესვენების შემდეგ ისრაელში ცადა ბედი, სადაც მე-3 განთესეს. როგორც ჩანს, შაფაქიძეს არგო დასვენებამ, მან უპრობლემოდ გაალწია ტურნირის ნახევარფინალში, სადაც მე-2 ნომრად განთესილი ჰოლანდიელი **მარსელა კოეკი** დაამარცხა – 6:7 (5), 6:4, 6:1. ფინალში მანანა მე-4 ნომრად განთესილ ბერძენს, **ირინი გეორგატუს** (682) შეხვდება. შაფაქიძემ ერთი ტიტული უკვე მოიგო, წყვილთა თანრიგის ფინალში მან და **იულია გლუშკომ** (ისრაელი) ასტროგოს (ისრაელი) და კოეკის დუეტი დაამარცხეს – 7:5, 6:7 (5), 10:5. ეს მანანას მეორე ტიტულია კარიერაში, პირველად მან შარშან სექტემბერში თბილისში იმარჯვა 10-ათასიანი ტურნირის წყვილთა თანრიგში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დღეს ნახევარფინალებია

ლეილა მესხის აკადემიის ღია პირველობა - იუ-ჯითის თასზე დასასრულს უახლოვდება. დღეს ნახევარფინალური შეხვედრებია ჩასატარებელი, ხვალ კი - ფინალები.

10-წლამდე ვაჟთა შორის ოთხეულში მოხვდნენ: **გიორგი ბუზალაძე, ლექსო სვანიძე, სანდრო სვანიძე** და **ნიკა ნიკოლაშვილი**. აქ შესაძლებელია ძმების ფინალი ვიხილოთ. ამ ასაკის გოგონებში **ელენე ყარანგოზიშვილი ანანო ახალკაცს** ეთამაშება, **ქეთი ჟღენტი - ქრისტინე გეგეშიძეს**.

12-წლამდე ვაჟებში ნახევარფინალში არიან **აკა ბაქში, დემურ დავითაძე, გიორგი დათაშვილი** და **გიორგი ფოცხვერია**. გოგონებში **ნინო ჯანელიძე მარუსა მითაიშვილს** შეხვდება, მეორე ნახევარფინალში კი მეოთხედ განთესილი **მარიამ ქიმბარიშვილი ლიზი ნადიბაიძეს** დაუპირისპირდება. აქვე ვიტყვით, რომ ლიზი **ლეილა მესხის** ქალიშვილია.

თოთხმეტწლამდელ ვაჟებში **სანდრო დავლანიძე გიორგი კვერნაძეს** შეხვდება; მეორე ნახევარფინალში **ლუკა ფილფანი ნიკოლოზ ყაჭეიშვილსა** და **ომარ მიქელთაძეს** შორის მოგებულს დაუპირისპირდება. ყველა ნახევარფინალისტია ცნობილი ამ ასაკის გოგონათა შორის - **ბაბილინა მაჩაიძე, თაკო კომახიძე, ეკა პოტაპოვა** და **ნინო სუჯაშვილი**.

დაბოლოს 16-წლამდელები. ვაჟებში აშკარა ფავორიტად ბათუმელი **გიორგი ცივაძე** იქცა, როცა პირველი ნომერი **გიორგი გეგეშიძე** იოლად - 6:2, 6:2 დაამარცხა მეოთხედფინალში. ცივაძე დღეს **ბიძინა ამაშუკელს** შეხვდება. მეორე მხარეს **დათო ხუციშვილმა თემურ კობალაძე** დაამარცხა - 6:2, 6:0,მისი მეტოქე კი **დიმიტრი ხრიკაძესა** და **ზურა ცხაკაიას** ბრძოლაში გამოვლინდება. გოგონებში ნახევარფინალურ წყვილებს შეადგენენ: **თათია სათალაძე-დიანა დავითაია** და **ნინო მებუკენინო სუჯაშვილი**.

ნახევარფინალური თამაშები ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე 10 საათიდან იწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# სინქრონულად დაასრულეს

მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპები, ოსაკასა და ზაგრებში ქართული წყვილებისთვის მეორე დღეს დასრულდა. იაპონიაში, ქალთა შორის, **საქა-რთველო** ბელგიურ დუეტთან ვან ბრედამტან და მუასთან ვერაფერს გახდა და ორ სეტში დამარცხდა 22:24, 15:21. საბოლოოდ საქართველომ რეიტინგში 120 ქულა მიიმატა და ჯილდოდ 2 500 ამერიკული დოლარი ერგო.

ამდენივე ქულა და პრემიალური თანხა ერგო **გეორ-გიასაც**. ხორვატიაში ჩვენს ფრენბურთელებს ასპარეზობა ფრანგულმა წყვილმა გალიანომ და დიუგრიმ შეაწყვეტინა ასევე ორ სეტში 18:21, 19:21.

26-31 მაისს ქალებიც და ვაჟებიც ბარსელონაში შეიკრიბებიან მორიგ ეტაპზე.

**ბესიკ ჯანგავაძე**



რაგბი.
საქართველოს თასი

# უმაღლესი პირველთან

დღეს საქართველოს თასის გათამაშების პირველი შეხვედრები გაიმართება. შეჯიბრებაში უმაღლესი და პირველი ლიგის თექვსმეტივე გუნდი პირველი ეტაპიდანვე ჩაერთვება. გუნდები შარშანდელ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგების მიხედვით განთესეს და ასე დააწყვილეს 1-16, 2-15 და ასე შემდეგ. ისე გამოვიდა, რომ პირველ ეტაპზე უმაღლესლიგელებს პირველლიგელები უპირისპირდებიან. გამარჯვებული ერთ მატჩში გამოვლინდება

მეორე ეტაპზე, რომელიც 12-13 ივლისს გაიმართება, ერთმანეთს პირველ წყვილში გამარჯვებული მერვეს, მეორე-მეშვიდეს და ასე შემდეგ დაუპირისპირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| საქართველოს თასი | | |
|---|---|---|
| **24 მაისი. შაბათი** | | |
| 15.00 | არმაზი-ბათუმი | ვაკე |
| 17.00 | დინამო-ხულიგანა | ვაკე |
| 15.00 | აკადემია-ხარები | შევარდენი |
| 17.00 | უნივერსიტ.-ლოკომ.2 | შევარდ. |
| **25 მაისი. კვირა** | | |
| 15.00 | ყოჩები-თი ბი სი | ვაკე |
| 17.00 | ლოკომოტივი-დევები | ვაკე |
| 15.00 | ლელო2-აია | სინათლე |
| 17.00 | ლელო-აია2 | სინათლე |

მშვილდოსნობა

# ბაგრატიონის პირადი რეკორდი

ესპანურ პუნტა უმბრიაში ახალგაზრდა მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც საქართველოდან ერთადერთი მონაწილე, თბილისელი **ნატო ბაგრატიონი** გამოდიოდა. მან საკვალიფიკაციო ეტაპზე სტაბილურად ისროლა - ოთხივე დისტანციაზე ცხრილის შუაში ტრიალებდა, ერთხელ მეცამეტე ადგილამდეც კი ავიდა, ხოლო საბოლოოდ მეცხრამეტეზე გავიდა. მაგრამ დაკავებულ ადგილზე უფრო მნიშვნელოვანი მისი შედეგია - 1201 ქულა, რაც პირადი რეკორდია. გუშინ ტურნირზე პლეი ოფიც გაიმართა. ჩვენებური პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი პოლონელ მეტოქესთან დამარცხდა და ტურნირსაც გამოეთიშა, მაგრამ მის მიერ ნაჩვენები შედეგი ძალზე საყურადღებოა. ბაგრატიონი ახალ თაობაში ისედაც ყველაზე პერსპექტიულად მიიჩნეოდა, ამ შედეგით კი ოპტიმიზმი კიდევ უფრო გააძლიერა. თან, ისიც გავითვალისწინოთ, რომ მან ამ რანგის ტურნირზე პირველად ისროლა, ევროპაში კი სულ მეორედ იასპარეზა.

ამ დილით ჩვენი ეროვნული გუნდები ანტალიაში გაემგზავრებიან, სადაც ევროპის დიდი პრიზის მესამე ეტაპი გაიმართება, რომელიც იმავდროულად, მსოფლიოს დიდი პრიზის მეოთხე ეტაპია. ჩვენს ქალთა ნაკრებში **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა** და **ასმათ დიასამიძე** გამოვლენ, ახალგაზრდებში კი **ნათია ცინცაძე** ისვრის. ანტალიაში ჩვენგან კაცთა კვარტეტიც გამოვა: **შალვა ნიბლიაშვილი, ვლადიმერ ბოლქვაძე, ტარიელ ქადიძე** და **კახა ტრეტიაკოვი**.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი. ლეგიონერი

# ლომებმა მგლებს გადაასწრეს

წინასწარ განვიმარტავთ: ლომი "აზოვმაშის" მაისურზეა გამოსახული, ხოლო მგელი – "კიევის". ჰოდა, აზოვისპირელებმა უკრაინის ჩემპიონატის მესამე ფინალში დედაქალაქელებს 67:65 აჯობეს და სერიაში 2:1 დაწინაურდნენ. საქართველოს ჩემპიონატის მსგავსად უკრაინის პირველობაზეც გადამწყვეტი სერია სამ მოგებამდეა. "აზოვმაში"-"კიევის" მეოთხე მატჩი ზღვისპირა ქალაქში დღეს გაიმართება.

65:67 ნაგებულ შეხვედრაში ქართველი ლეგიონერი **მანუჩარ მარკოიშვილი** თანაგუნდელებს მხოლოდ თითო მოხსნა-პასით შეენია. მან 19 წუთში თამაშიდან 6 ტყორცნა აცილა. თუმცა შეტევაში ვერც დანარჩენები გამოირჩნენ: 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ არტურ დროზდოვმა (24 ქულა) და პუხ ჯეტერმა გადალახეს (10).

იმედი დავიტოვოთ, რომ "კიევი" მეოთხე შეხვედრას სტუმრად მოიგებს და ჩემპიონის ვინაობის ორ დღეში გაარკვევს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

ძიუდო. მოსკოვის სუპერთასი

# პირველ დღეს უმედლოდ დავრჩით

**გუშინ, მოსკოვში დაწყებულ მსოფლიოს სუპერთასზე უმედლოდ დავრჩით - 6 ჩვენებურიდან სანუგეშო ტურნირში მხოლოდ ვახტანგ ხოსიტაშვილი (66) და დავით კუპრაშვილი (73) გადავიდნენ, სხვები კი ადრევე გავარდნენ. დიდად მოულოდნელი შედეგი არცაა, რადგან მოსკოვში მეორე შემადგენლობით გამოვდივართ, ტურნირი კი საკმაოდ ძლიერია.**

**ვახტანგ ხოსიტაშვილი** პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი რუსი ვიტალი ვერხოტუროვი კოკათი დაამარცხა. მესამე წრე მისთვის დაუძლეველი ზღუდე აღმოჩნდა. არადა, მეტოქედ უტიტულო და უცნობი უკრაინელი ანატოლი ლასკუტა ჰყავდა. სამწუხაროდ, ერთი შეხედვით იოლი ბარიერი ვერ დაძლია და ვაზარით დამარცხდა. სანუგეშოშიც იგივე გზა გაიარა - ერთი მოიგო (უნგრელ შანდორ ტარაბასთან იპონით), მეორე კი წააგო ფრანგ ჟორდან ამოროშთან.

ამავე წონაში **მინდია ხომიზურმა** რუსი კამალ ხან-მაგომედოვი დაამარცხა, მაგრამ ირანელ მოსენ ზაქარიასთან ვერაფერს გახდა და გავარდა. 60-ში **ბეთქილ შუკვანმაც** და **ამირან პაპინაშვილმაც** თითო ბრძოლა მოიგეს, მეორეში კი დამარცხდნენ. პაპინაშვილმა ფრანგ ფარიდ ბენ ალისთან მოგებას ჩეხ პაველ პეტრიკოვთან მარცხი მიაყოლა, შუკვანმა კი საკმაოდ ძლიერი ირანელი ვაჰიდ სარლაკი წააქცია, თუმცა კარგად დაწყებული საქმე ასევე წარმატებით ვერ გააგრძელა და სომეხ არტურ სრაპიანთან წააგო.

73-ში **თენგიზ პაპოშვილმა** პირველივე ბრძოლა წააგო ბელგიელ სლეჰ კოენთან, **დავით კუპრაშვილი** კი მეოთხედფინალამდე მივიდა - მონგოლ განტუმურ დაშდავაას აჯობა, მაგრამ მერე წააგო ფრანგ მიქაელ რემილიენთან. სანუგეშოში პირველივე ბრძოლა იპონით დათმო რუს ბატრაზ კაიტმაზოვთან.

დღეს ტურნიში დარჩენილი ოთხი წონის წარმომადგენლებიც ჩაებმებიან. **გიორგი ბაინდურაშვილი** (81) პირველ წრეში ისვენებს, მეორეში კი რუს ივან ნიფონტოვს ხვდება. ამ ჯგუფში ანგარიშგასაწევი მხოლოდ თბილისის ტურნირის წლევანდელი ჩემპიონი, ბელარუსი ალექსანდ სტიაშენკაა. ჩვენებური მას მეოთხედფინალამდე ვერ შეხვდება, თუმცა ბელარუსმა იქამდე საკმაოდ ძლიერი ბარიერი უნდა დასძლიოს მონგოლ ერდენებილეგ **ეკნჰბატის** სახით.

90-ში ჩვენი მთავარი ყურადღება **ვალერი ლიპარტელიანისკენაა** მიპყრობილი, რომელიც პირველ წრეში ისვენებს და უკრაინელ ვლადისლავ პოტაპოვსა და რუს ზაფარ მახმადოვს შორის გამარჯვებულს დაელოდება. ვფიქრობთ, ლიპარტელიანს მეოთხედფინალში გასვლა რეალურად შეუძლია, რადგან არც ისე ძლიერ ჯგუფში მოხვდა. ამავე წონაში **დავით ლორიაშვილი** უკრაინელ ვადიმ სინიავსკის ხვდება.

100-ში ჩვენები ურთულეს ჯგუფებში მოხვდნენ - **ლევან რაზმაძე** მასპინძელ ვიაჩესლავ მიხაილინს ხვდება, ამათში მოგებულს კი ბრაზილიელ მსოფლიო ჩემპიონ ლუსიანო კორეასა და ავსტრიელ ფლორიან ლინდნერს შორის მოგებული ელოდება. **ნოდარ მეტრეველი** პირველ წრეში რუმინელ დანიელ ბრატასთან ჭიდაობს, ამათში გამარჯვებულის მეტოქე კი მასპინძელ ევროპის ჩემპიონ რუსლან გასიმოვსა და იაპონელ ტაკამასა ანაის შორის გაირკვევა.

დაბოლოს, +100, სადაც **ადამ ოქრუაშვილი** ბელარუს ოლიმპიურ ჩემპიონ იჰარ მაკარაუს ეჭიდავება, **გიორგი ყიზილაშვილი** - ფრანგ იან სებასტიან ბონვუაზენს.

**ირაკლი თავაძე**

სუმო

# ტოჩინოშინს ორივე სჭირდება

ზაფხულის ბაშოს მეცამეტე დღე ტოკიოს „კოკუგიკანში" საოცარი გამოდგა – პირველად წააგო ბულგარელმა ოძეკიმ, **კოტოოშუმ**, არადა მოგების შემთხვევაში ის იმპერატორის თასს დაეუფლებოდა, შემდეგ კი მიყოლებით ორივე იოკოძუნა დამარცხდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, რომ ორივე ქართველმა ფალავანმა იმარჯვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს **ლევან გორგაძისთვის (ტოჩინოშინი)** იყო.

ლევანი 20 წლისაა, ზაფხულის ბაშოზე პირველად ჭიდაობს უმაღლეს დივიზიონში, მას მომავლის ერთ-ერთ ვარსკვლავად მიიჩნევენ. ბაშოს დასრულებამდე ორი დღით ადრე მას ურთულესი ამოცანა აქვს შესასრულებელი, მოიგებს ორივე ბრძოლას? მაშინ მისთვის დებიუტი წარმატებული გამოდგება, რეიტინგში წინ წაიწევს. არადა, შესაძლოა, დააქვეითონ. სანამ გუშინდელ ბრძოლაზე ვიტყვით, ლევანის მიერ მე–12 დღეს უჩარის ილეთით გამარჯვებაზე იაპონულ მედიასთან გაკეთებულ კომენტარს შემოგთავაზებთ: „ეს ილეთი ვარჯიშზეც კი არასოდეს მიცდია. გავიმარჯვე და ამოვისუნთქე, წაგებების სერია შეწყდა". ეტყობა, ტოჩინოშინი მართლაც დაწყნარებული გავიდა მერვე მაეგაშირა **ტაკეკაძესთან** საჭიდაოდ დოჰიოზე, რადგან ყოფილ კომუსუბის, მალევე მოუძებნა დამარცხების გასაღები, მავაში ხელთ იგდო და იორიკირით დოჰიოდან გაიყვანა. ლევანს 6-7 ბალანსი აქვს, ანუ ფეხის დაცდომის უფლება არ აქვს, წაგებების ლიმიტი ამოწურულია. დღეს მის წინააღმდეგ კიდევ ერთი ყოფილი კომუსუბი დადგება, 27 წლის **ფუტენო**, რომელიც კარგ ფორმაშია და 9 მოგებით ლიდერებს კვალში მიყვება.

მოიგო **კოკაიმაც (ლევან ცაგურია)**, ორი პირველი მაეგაშირას ბრძოლა ქართველის გამარჯვებით და ესტონელი **ბარუტოს** მარცხით დასრულდა (იორიკირი). ორივე რიკიშის 3-10 ბალანსი აქვს. სამი მოგება ბაშოზე კოკაის ანტირეკორდია. იმედია, ქართველი უკვე დღეს აცდება ამ მაჩვენებელს და მე-2 მაეგაშირა **კიოკუტენჰოს** დაამარცხებს. მონღოლთან უკანასკნელი წლის განმავლობაში კოკაიმ ორი დაპირისპირება მოიგო.

დღეს კოტოოშუ ბაშოს გამარჯვებული და ცხოვრებაში პირველად თასის მფლობელი გახდება, თუკი სეკივაკე **ამას** დაამარცხებს. მისთვის ტიტულის წართმევა მხოლოდ იოკოძუნა **ჰაკუჰოს** შეუძლია, თუმცა ყველაფერი ბულგარელზეა დამოკიდებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნაცუ ბაშო**
მაისის სუპერტურნირი
11-25 მაისი. ტოკიო (იაპონია)

XIII დღე: კოკაი (1)-ბარუტო (1) 1:0 (იორიკირი); ტოჩინოშინი (14)-ტაკეკაძე (8) 1:0 (იორიკირი); კაიო (ო)-ასაშორიუ (ი) 1:0 (უვატედაშინაგე); კოტომიცუკი (ო)-ჰაკუჰო (ო) 1:0 (იორიტაოში); ჩიოტაიკაი (ო)-მიაბიამა (3) 1:0 (ჰიკიოტოში); ამინიშიკი (4)-კოტოოშუ (ო) 1:0 (ოშიდაში); ამა (ს)-კოტოშოგიკუ (ს) 1:0 (ოშიდაში); კისენოსატო (კ)-კაკურიუ (3) 1:0 (3); ასასეკირიუ (კ)-ტოკიტენკუ (4) 1:0 (უვატედაშინაგე); ვაკანოჰო (2)-კიოკუტენჰო (2) 1:0 (იორიკირი).

სატურნირო მდგომარეობა. 12-1: კოტოოშუ (ოძეკი). 10-3: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 9-4: ასაშორიუ (იოკოძუნა); ამა (სეკივაკე); ამინიშიკი (მაეგაშირა 4); ტოიონოშიმა (მ 5); ფუტენო (მ 6); ჰოკუტორიკი (მ 6). .. 6-7: ტოჩინოშინი (მ 14).. 3-10: კოკაი (მ 1).

XIV დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (1)-კიოკუტენჰო (2); ტოჩინოშინი (14)-ფუტენო (6); ჰაკუჰო (ი)-კაიო (ო); ასაშორიუ (ი)-კოტომიცუკი (ო); ჩიოტაიკაი (ო)-კაკურიუ (3); კოტოოშუ (ო)-ამა (ს); კოტოშოგიკუ (ს)-ვაკანოჰო (2); ასასეკირიუ (კ)-მიაბიამა (3); კისენოსატო (კ)-ამინიშიკი (4); ბარუტო (1)-ტოჩიოძანი (5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მამაკაცების ბადე




ფედერერი (შვეიც, 1)
კუერი (აშშ)
მონტანიესი (ესპ)
ვლიეგენი (ბელ)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
ანჩიჩი (ხორ)
სეპი (იტა, 31)
კარლოვიჩი (ხორ, 20)
ფალა (კოლ)
ბენეტო (საფ)
სპეიდი (აშშ)
ზვერევი (გერ)
კვალიფიკაცია
სიოდერლინგი (შვედ)
მონაკო (არგ, 13)
ვავრინკა (შვეიც, 9)
კოლშრაიბერი (გერ)
ჩილიჩი (ხორ)
ჰასე (ჰოლ)
კვალიფიკაცია
ვოლანდრი (იტა)
კუევასი (ურუ)
გონსალესი (ჩილ, 24)
ანდრეევი (რუს, 27)
სტარაჩე (იტა)
იანგი (აშშ)
ჯინეპრი (აშშ)
სელა (ისრ)
პანესკუ (რუმ)
სერა (საფ)
გასკე (საფ, 8)
დავიდენკო (რუს, 4)
ტ. იოჰანსონი (შვედ)
კვალიფიკაცია
საფინი (რუს)
კვალიფიკაცია
მანარინო (საფ)
პროდონი (საფ)
ლუბიჩიჩი (ხორ, 28)
ფერერო (ესპ, 23)
დანიელი (ბრა)
მელცერი (ავსტრია)
ლუჩაკი (ავსტრა)
მონფილსი (საფ)
კლემანი (საფ)
კვალიფიკაცია
ცონგა (საფ, 14)
რობრედო (ესპ, 12)
კორია (არგ)
ტროიცკი (სერ)
ქიკელი (საფ)
კვალიფიკაცია
ვანეკი (ჩეხ)
სიმონი (საფ)
შტეპანეკი (ჩეხ, 21)
ჰიუიტი (ავსტრა, 25)
მაუ (საფ)
კალერი (არგ)
ფიში (აშშ)
სანტორო (საფ)
მაიერი (გერ)
დარცისი (ბელ)
ფერერი (ესპ, 5)


შარშანდელი გამარჯვებული რაფაელ ნადალი

| ბოლო 30 ფინალი | |
|---|---|
| 1978 ბორგი (შვედ)-ვილასი (არგ) | 6:1, 6:1, 6:3 |
| 1979 ბორგი (შვედ)-პეჩი (პარ) | 6:3, 6:1, 6:7, 6:4 |
| 1980 ბორგი (შვედ)-გერულაიტისი (აშშ) | 6:4, 6:1, 6:2 |
| 1981 ბორგი (შვედ)-ლენდლი (ჩეხ) | 6:1, 4:6, 6:2, 3:6, 6:1 |
| 1982 ვილანდერი (შვედ)-ვილასი (არგ) | 1:6, 7:6, 6:0, 6:4 |
| 1983 ნოა (საფ)-ვილანდერი (შვედ) | 6:2, 7:5, 7:6 |
| 1984 ლენდლი (ჩეხ)-მაკინროი (აშშ) | 3:6, 2:6, 6:4, 7:5, 7:5 |
| 1985 ვილანდერი (შვედ)-ლენდლი (ჩეხ) | 3:6, 6:4, 6:2, 6:2 |
| 1986 ლენდლი (ჩეხ)-პერნფორსი (შვედ) | 6:3, 6:2, 6:4 |
| 1987 ლენდლი (ჩეხ)-ვილანდერი (შვედ) | 7:5, 6:2, 3:6, 7:6 |
| 1988 ვილანდერი (შვედ)-ლაკონტი (საფ) | 7:5, 6:2, 6:1 |
| 1989 ჩანგი (აშშ)-ედბერგი (შვედ) | 6:1, 3:6, 4:6, 6:4, 6:2 |
| 1990 ანდრეს გომესი (ეკვ)-აგასი (აშშ) | 6:3, 2:6, 6:4, 6:4 |
| 1991 კურიე (აშშ)-აგასი (აშშ) | 3:6, 6:4, 2:6, 6:1, 6:4 |
| 1992 კურიე (აშშ)-კორდა (ჩეხ) | 7:5 6:2 6:1 |
| 1993 ბრუგერა (ესპ)-კურიე (აშშ) | 6:4, 2:6, 6:2, 3:6, 6:3 |
| 1994 ბრუგერა (ესპ)-ბერასატეგი (ესპ) | 6:3, 7:5, 2:6, 6:1 |
| 1995 მუსტერი (ავსტრია)-ჩანგი (აშშ) | 7:5, 6:2, 6:4 |
| 1996 კაფელნიკოვი (რუს)-შტიხი (გერ) | 7:6(4), 7:5, 7:6(4) |
| 1997 კუერტენი (ბრა)-ბრუგერა (ესპ) | 6:3, 6:4, 6:2 |
| 1998 მოია (ესპ)-კორეჩა (ესპ) | 6:3, 7:5, 6:3 |
| 1999 აგასი (აშშ)-მედვედევი (უკრ) | 1:6, 2:6, 6:4, 6:3, 6:4 |
| 2000 კუერტენი (ბრა)-ნორმანი (შვედ) | 6:2, 6:3, 2:6, 7:6(6) |
| 2001 კუერტენი (ბრა)-კორეჩა (ესპ) | 6:7(3), 7:5, 6:2, 6:0 |
| 2002 ა. კოსტა (ესპ)-ფერერო (ესპ) | 6:1, 6:0, 4:6, 6:3 |
| 2003 ფერერო (ესპ)-ფერკერკი (ჰოლ) | 6:1, 6:3, 6:2 |
| 2004 გაუდიო (არგ)-კორია (არგ) | 0:6, 3:6, 6:4, 6:1, 8:6 |
| 2005 ნადალი (ესპ)-პუერტა (არგ) | 6:7(6), 6:3, 6:1, 7:5 |
| 2006 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 1:6, 6:1, 6:4, 7:6(4) |
| 2007 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 6:3, 4:6, 6:3, 6:4 |

ბლეიკი (აშშ, 7)
შუტლერი (გერ)
კვალიფიკაცია
გულბისი (ლატ)
ასკიონე (საფ)
რეინოლდსი (აშშ)
ლაპენტი (ეკვ)
ტიფსარევიჩი (სერ, 32)
ბალდატისი (კვიპ, 17)
ბოლელი (იტა)
ფონინი (იტა)
დელ პოტრო (არგ)
ლოდრა (საფ)
პატიენსი (საფ)
სმეეტსი (ავსტრა)
ბერდიხი (ჩეხ, 11)
მოია (ესპ, 16)
კვალიფიკაცია
გრანოლერსი (ესპ)
ბერერი (გერ)
ერნანდესი (ესპ)
მინარი (ჩეხ)
კუერტენი (ბრა)
მატიო (საფ, 18)
კანიასი (არგ, 29)
ოდესნიკი (აშშ)
ბიორკმანი (შვედ)
ლი (კორ)
დანჩევიჩი (კან)
კვალიფიკაცია
გრემელმაირი (გერ)
ჯოკოვიჩი (სერ, 3)
ნალბანდიანი (არგ, 6)
ბერლოკი (არგ)
შარდი (საფ)
კვალიფიკაცია
გარსია ლოპესი (ესპ)
როიტმანი (არგ)
კვალიფიკაცია
ტურსუნოვი (რუს, 30)
ალმაგრო (ესპ, 19)
პაშანსკი (გერ)
კვალიფიკაცია
ო. როხუსი (ბელ)
ჰრბატი (სლოვაკ)
აკასუსო (არგ)
ვისერიკი (საფ)
მარეი (ბრიტ, 10)
იუჟნი (რუს, 15)
ბეკერი (გერ)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
ისნერი (აშშ)
ჩელა (არგ)
ვენტურა (ესპ)
ვერდასკო (ესპ, 22)
ნიემინენი (ფინ, 26)
კიფერი (გერ)
ვასალო არგელო (არგ)
ფ. ლოპესი (ესპ)
გუჩიონე (ავსტრა)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
ნადალი (ესპ, 2)

კრივი

# ლენოქსი კანადამ დააფასა

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, **ლენოქს ლუისმა** თავისი მეორე სამშობლოსგან, კანადისგან დიდი აღიარება მოიპოვა. ამა წლის ნოემბერში, ბრიტანელ მოკრივეს რამდენიმე სხვა სპორტსმენთან ერთად კანადის სპორტის დიდების დარბაზში შეიყვანენ.

ლუისი დიდ ბრიტანეთში დაიბადა, 12 წლის ასაკში კი, კანადაში გადავიდა საცხოვრებლად, ამ ქვეყნის სახელით გადიოდა სამოყვარულო რინგზე და 1988 წელს, ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალიც მოიპოვა. პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ, ლენოქსი ბრიტანეთში დაბრუნდა და კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებები ამ ქვეყნის სახელით მოიპოვა.

ლუისის გარდა, დიდების დარბაზში შეიყვანენ მოცურავე **ნენსი გარაპიკს**, მოციგურავე **მარკ განიონს**, ოლიმპიადაზე 4x100 მეტრზე ესტაფეტაში გამარჯვებულ ოთხეულს **დონოვან ბეილის** მეთაურობით და კიდევ სხვა სპორტსმენებს.

**გია თვალაბეიშვილი**



ჩოგბურთი. როლან გაროსის წინ

# კორტზე, როგორც პოდიუმზე

მსოფლიო რეიტინგის პირველი ჩოგანი, რუსი **მარია შარაპოვა** საფრანგეთის ღია პირველობაზე Tiffany-ს ფირმის ოქროს ახალი საყურეებით ითამაშებს.

გარდა ამ ელეგანტური სამკაულისა, რომელიც სპეციალურად შარაპოვასთვის დიზაინერმა **ელზა პერეტიმ** დაამზადა, ცნობილი კომპანია ძვირფასი თვლებით მორთავს "ნაიკის" ფირმის კაბას. სწორედ ამ ფორმით ითამაშებს პარიზის კორტებზე რუსი ჩოგბურთელი.

*"მარია შარაპოვა Tiffany-ის დიდი ხნის მეგობარია. ჩვენ დიდ სიამოვნებას მივიღებთ იმით, რომ კორტზე ეს საყურეები კარგად წარმოაჩენს მარიას ხასიათს: ეს იქნება მისი საჩემპიონო თამაშის გამოხატულება. გარდა ამისა, ამით Tiffany-ის რეპუტაციაც გაიზრდება, რადგან ყველა დარწმუნდება, რომ ჩვენი ფირმა დიზაინის განუმეორებელი ოსტატია"*, - აღნიშნა Tiffany-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ლინდა ბაკლიმ**.

შარაპოვასა და კომპანიას შორის ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. როლან გაროსის დასრულების შემდეგ, ამგვარი საყურეების შეძენა ყველას შეეძლება. მისი ფასი 1150 დოლარი იქნება.

კალათბურთი. NBA

# კარმელო დენვერში რჩება

როგორც ჩანს, ბოლო მოელო სპეკულაციებს "დენვერ ნაგეტსის" ლიდერის, **კარმელო ენტონის** სხვა გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით.

კალათბურთელმა გაზეთ Denver Post-ს განუცხადა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში სურს გუნდში დარჩენა, ხოლო კლუბის ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ის არ აპირებს კარმელოს გაცვლას.

*"დენვერს" ფიქრადაც არ ჰქონია ენტონის სხვა გუნდში გაშვება. ის გუნდის ლიდერია, თანაც თავად კარმელოს სურს "ნაგეტსში" დარჩენა. ამიტომაც, ამ ზაფხულს ტრეიდი ენტონის მონაწილეობით არ შედგება"*, - განაცხადა მოთამაშის აგენტმა **კელვინ ენდრიუსმა**.

ენტონის ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ არ შეუძლია გუნდზე თამაში. ბევრის აზრით, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ "დენვერი" პლეი ოფის პირველი წრიდან ისე გავარდა, ერთი მატჩიც არ მოუგია. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ კონტრაქტის მიხედვით, კარმელომ კიდევ 4 წელი უნდა ითამაშოს "დენვერის" რიგებში.

**გიორგი თვალია**

| 1/2 ფინალი | |
|---|---|
| აღმოსავლეთი | |
| ბოსტონი–დეტროიტი | 97:013 |
| 20:18, 23:32, 26:28, 28:25 | |

**ბოსტონი:** პირსი (26+5 პასი), რ. ალენი (25+2 ჩაჭრა), გარნეტი (24+13 მოხსნა+2 დაფარება), რონდო (10+9 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა).

**დეტროიტი:** ჰემილტონი (25+2 ჩაჭრა+2 დაფარება), ბილაპსი (19+7 პასი), მაკდაესი (15+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), პრინსი (14+8 მოხსნა), რ. უოლასი (13+10 მოხსნა), სტაკი (13+2 ჩაჭრა).

**სერია 1:1**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ავტოსპორტი. ფორმულა 1. სკანდალი

# ბერნი შეტევაზე გადადის

საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტ **მაქს მოსლისთან** დაკავშირებული სკანდალი შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს და თუ ფორმულა ერთის კომერციულ უფლებათა მფლობელ **ბერნი ეკლსტოუნს** დავუჯერებთ, ეს მოსლის ბრალი იქნება.

მოსლისა და ბერნის შორის შავმა კატამ დაახლოებით ერთი კვირის წინათ, ბარსელონაში გაირბინა, როცა ეკლსტოუნი გუნდების ხელმძღვანელებს შეხვდა და მათ ერთობლივი განცხადების მიღება სთხოვა, რომელშიც გამოთქმული იქნებოდა პოზიცია მოსლისთან დაკავშირებით. გუნდები ან მოითხოვდნენ მის გადადგომას, ან – არა.

მოსლის პასუხმა არ დააყოვნა. მან ოფიციალურად, წერილობით მიმართა ეროვნულ ფედერაციებს (ეს წერილი FIA-ს ვებ-გვერდზეც გამოქვეყნდა), რომლებსაც აცნობა, რომ მის წინააღმდეგ აგორებული სექს-სკანდალი ფორმულა ერთის კომერციულ უფლებათა მფლობელის ინტერესებში შედის, რომელიც ცდილობს, რომ ფორმულა ერთში FIA-ს როლი შეამციროს. რა თქმა უნდა, ამ წერილს უმალ ბერნის პასუხი მოჰყვა.

"ვიმედოვნებ, რომ ეს ომის გამოცხადებას არ ნიშნავს, რადგან თუ მოსლი მართლაც ისე ფიქრობს, როგორც ტექსტში ეწერა, ჩვენ თავის დაცვა მოგვიწევს. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა. მე არ მსურს მოსლისთან ურთიერთობის გაფუჭება და მჯერა, რომ ჩემთან ომი არც მის ინტერესებში შედის", - ამბობს ეკლსტოუნი.

"იმის თქმა შემიძლია, რომ გაზეთ "ნიუს ოფ დი უორლდში" გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ ფორმულა ერთსაც ავნო და FIA-საც. ვწუხვარ, რომ პრესამ შეიტყო ის, რაც არ უნდა გაეგო. მაგრამ ჩვენ FIA-ზე გავლენის მოხდენა არ შეგვიძლია. მათ გენერალური ასამბლეა მოიწვიეს და მასზე მოსლისადმი ნდობის ვოტუმის დადგენას ეცდებიან. ფედერაციის წევრები გადაწყვეტენ, სურთ თუ არა პრეზიდენტად მოსლი. ყველაფერ ამას კი არანაირი შეხება არ აქვს არც თანხმობის ხელშეკრულებასთან და არც ფორმულა ერთის კომერციულ უფლებებთან. მოსლი კი მის წინააღმდეგ შეთქმულებაში ჩვენ გვადანაშაულებს. ეს უსამართლობაა, რის გამოც, იძულებულნი ვართ, ეროვნულ ფედერაციებს ჩვენც დავუკავშირდეთ და მათ რიგ საკითხებზე ჩვენი მოსაზრებანი გავაცნოთ", - დასძენს ბერნი.

შეგახსენებთ, რომ ტაბლოიდურმა "ნიუს ოფ დი უორლდმა" გამოაქვეყნა ფოტოები, რომლებზეც მოსლის სექსუალური ორგიებია ასახული. თანაც, ადგილი, სადაც ეს ორგიები მიმდინარეობდა, ნაცისტური სიმბოლიკით იყო გაწყობილი.

როცა მისი ჩაძირვით ეკლსტოუნის შესაძლო დაინტერესებაზე ლაპარაკობს, მოსლი იმასაც დასძენს, რომ ყველაფერი მაშინ ხდება, როცა ფორმულა ერთს სერიოზული ფინანსური კრიზისი ელის.

"ჩვენ არანირ კრიზისში არ ვართ და არც ამის მსგავსი რამაა მოსალოდნელი. რა კრიზისზეა ლაპარაკი, როცა ჩვენი სპორტი არნახული აღზევების პროცესშია. ჩვენი პარტნიორები მსოფლიოს უმსხვილესი ავტომწარმოებლები არიან, სპონსორობას კი არაერთი ცნობილი კომპანია გვიწევს. სად ხედავს ბატონი მოსლი კრიზისის ნიშნებს, ჩემთვის გაუგებარია", - პასუხობს ეკლსტოუნი და დასძენს, რომ არც მას და არც მის კომპანიას, რომელიც ფორმულა ერთის კომერციულ უფლებებს განაგებს, არ სურთ, რომ FIA-ს ფორმულა ერთის რეგლამენტების შემუშავებაში ლიდერის პოზიცია ჩამოართვან.



მეგობრობას მტრობა შეცვლის?

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# საიუბილეოდ გამარჯვება

ამერიკულ გუნდ "ჰაი როუდის" ბრიტანელი ველომრბოლი **მარკ კავენდიში** ოთხშაბათს 23 წლის გახდა და ბუნებრივია, საიუბილეოდ, ერთ-ერთი სპრინტერული ეტაპის მოგებას გეგმავდა. მე-12 ეტაპზე ის მიზანთან ახლოს იყო, მაგრამ ფოტოფინიშმა გამარჯვება იტალიელ **დანიელე ბენატის** მიანიჭა. გუშინ კი კავენდიშმა სანადელს მაინც მიაღწია და თანაც, საფინიშო სპურტში იმავე ბენატისთან დაძაბულ პაექრობაში მოიპოვა გამარჯვება.

"გუშინდელი რბოლის შედეგით ძალიან განბილებული დავრჩი. აშკარად ძალიან სწრაფი ვიყავი, მაგრამ ბოლო მოსახვევი ძალიან ნელა გავიარე და ამან საქმე გამიფუჭა. დღეს კი თანაგუნდელებს სტარტამდე შევპირდი, რომ აუცილებლად მოვიგებდი", - განაცხადა იუბილარმა, ვისთვისაც ეს მიმდინარე ჯიროზე მოპოვებული მეორე გამარჯვებაა (პირველი მეოთხე ეტაპზე მოიპოვა).

წინა ეტაპის მსგავსად, ამჯერადაც ბოლო კილომეტრებზე პელოტონში ყველაზე აქტიურები "ჰაი როუდის" ველომრბოლები იყვნენ. მაგრამ შემდეგ "სლიპსტრიმის" ბრიტანელი **დევიდ მილარი** გააქტიურდა, რომელსაც ბოლო კილომეტრის დაწყებამდე, "მილრამის" ცისფერმა მატარებელმა გაასწრო. ამ მატარებლის ბოლო "ვაგონში" გერმანელი **ერიკ ცაბელი** იჯდა და თითქოს, გამოცდილ სპრინტერს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ბოლო, მარცხენა მოსახვევის შემდეგ, წინ ისევ კავენდიში და ბენატი გაიჭრნენ. იტალიელმა თავიდან მეტოქის ნაპირზე გარიყვა სცადა, მაგრამ ალბიონელმა ამის საშუალება არ მისცა და საკმაოდ იოლად გაიჭრა წინ, რის შემდეგაც მეტოქეთაგან აღარანაირი წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მე-13 ეტაპი.**
**მოდენადან ჩიტადელამდე (177 კმ)**

1. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, ჰაი როუდი) 4:11.07 (42.291 კმ/სთ); 2. დანიელე ბენატი (იტალია, ლიკვიგაზი) იგივე დროში; 3. კოლდო ფერნანდეს დე ლარეა (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი); 4. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი); 5. ჯულიან დინი (ახ.ზელანდია, სლიპსტრიმი); 6. მირკო ლორენცეტო (იტალია, ლამპრე); 7. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2R ლა მონდალი); 8. ნიკოლაი ტრუსოვი (რუსეთი, ტინკოფი); 9. რობი მაკიუენი (ავსტრალია, სილენსლოტო); 10. გრემ ბრაუნი (ავსტრალია, რაბობანკი) ყველა იგივე დროში...

**კლასიფიკაცია 13 ეტაპის შემდეგ**

1. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, ქვიკ სტეპი) 57:17.06; 2. გაბრიელე ბოსისიო (იტალია, LPR ბრეიკსი) 5.50; 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, ასტანა) 6.59; 4. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 7.41; 5. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, ლიკვიგაზი) 7.51; 6. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე) 7.52; 7. პაოლო სავოლდელი (იტალია, LPR ბრეიკსი) 7.56; 8. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR ბრეიკსი) 8.20; 9. გუსტავ ერიკ ლარსონი (შვედეთი, CSC) 8.31; 10. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 8.32...

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2009** | |
| **UNDER 21** | |
| ჰოლანდია-შვეიცარია | 0:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ავსტრალია-განა | 1:0 |
| რუსეთი-ყაზახეთი | 6:0 |
| ბოსნია-სლოვენია | გადაიდო |
| **UNDER 21** | |
| გერმანია-უკრაინა | 4:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-გალვეი | 2:1 |
| ბრეი-კორკი | 0:3 |
| კობ რამბლერსი-ფინ ჰარპსი | 1:3 |
| დერი-უნივერსიტი | 4:1 |
| შემროკი-დროგედა | 0:0 |
| სლიგო-სტ. პატსი | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კაპა-ტპ47 | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| პაკსი-დებრეცენი | 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ესპანეთი** | |
| ტუაგრესი-უნიკახა | 81:68 |
| **იტალია** | |
| რომა-აველინო | 68:63 |
| **საფრანგეთი** | |
| ვიში-ნანსი | 64:69 |
| ჰავრი-რუანი | 100:70 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. კასაბლანკა** | |
| ცონგა-სიმონი | გადაიდო |
| კალერი-ბენეტო | 6:1, 1:6, 3:6 |
| **ATP. პორტშახი** | |
| მონაკო-ლუბიჩიჩი | 6:4, 6:7, 7:6 |
| დავიდენკო-კუნიცინი | 6:3, 6:2 |
| **ATP. გუნდური მს. ჩემპიონატი** | |
| ბოლელი-ფ. ლოპესი | 6:4, 6:3 |
| კიფერი-ტურსუნოვი | 4:6, 6:3, 5:7 |
| **WTA. სტამბოლი** | |
| ა. რადვანსკა-პირონკოვა | 7:6, 3:6, 6:1 |
| დემენტიევა-ამანმურადოვა | 6:2, 6:4 |
| **WTA. სტრასბური** | |
| სრებოტნიკი-ჩანი | 6:1, 6:7, 6:4 |
| მედინა გარიგესი-ბაშჩინსკი | 6:3, 6:3 |

## TV სპორტი

### 24 მაისი. შაბათი

**პირველი არხი**

15:05 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ფინალური სერია (LIVE).

**რუსთავი 2**

13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

**RenTV**

15:50 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. VI ეტაპი. კვალიფიკაცია. მონაკოს გრან-პრი. (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-სან პაულუ (ბრაზილია).
14:10 საფეხბურთო კლუბი.
15:05 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:50 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.
16:50 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-ამერიკა (მექსიკა).
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი. მოსკოვი. რუსეთი.
22:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
07:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-სარაგოსა.
09:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
09:25 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი.
12:30 სპორტის სამყარო.
13:00 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. გერმანია (LIVE).
17:00 მძლეოსნობა. ჰოლანდიის გრან-პრი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:55 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი.
23:40 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
00:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
01:10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი (LIVE).
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. I მატჩი. დეტროიტი-პიტსბურგი (LIVE).
05:35 სპორტდოსიე. დელტაპლანერიზმი.
06:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. როლან გაროსის ლეგენდები. ანდრე აგასი-ანდრეი მედვედევი.
11:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. იტალია-თურქეთი. ტულონი. საფრანგეთი.
12:30 რალი-რეიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV ეტაპი (LIVE).
13:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIII ეტაპი.
14:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ქალები. ფინალი. საპასუხო მატჩი. აინტრახტი (გერმანია)-უმეო (შვედეთი) (LIVE).
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIV ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. იტალია-თურქეთი. ტულონი. საფრანგეთი.
20:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 მულტისპორტი.
23:00 კიკბოქსინგი (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV ეტაპი.
02:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი.
03:30 ფორმულა 1. კულისებს მიღმა. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. კოტ დ'ივუარი-აშშ. ტულონი. საფრანგეთი.
14:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. იტალია-თურქეთი. ტულონი. საფრანგეთი.
15:00 ახალი ამბები.
15:30 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
16:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. I მატჩი.
17:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ქალები. ფინალი. საპასუხო მატჩი. აინტრახტი (გერმანია)-უმეო (შვედეთი).
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ჩილე-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
22:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. საპასუხო მატჩი.
00:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. ჩილე-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ქალები. ფინალი. საპასუხო მატჩი. აინტრახტი (გერმანია)-უმეო (შვედეთი).
02:15 ახალი ამბები.

### 25 მაისი. კვირა

**რუსთავი 2**

12:20 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**RenTV**

15:45 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. VI ეტაპი. მონაკოს გრან-პრი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ლევანტე.
14:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ზუსტი გათვლა.
15:30 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:15 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ატლასი (მექსიკა)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
18:00 სასტვენი.
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფი. ფინალი. საპასუხო მატჩი. აიაქსი-ტვენტე.
20:35 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:05 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლდუ კიტო (ეკვადორი)-სან ლორენსო (არგენტინა).
22:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:15 არგენტინის ჩემპიონატი.ველეს სარსფილდი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).
01:35 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:45 ფეხბურთი. Barca TV.
08:00 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
08:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-ამერიკა (მექსიკა).
10:10 სპორტის სამყარო.
10:40 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი.
20:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
11:15 მძლეოსნობა. ჰოლანდიის გრან-პრი.
14:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი. მოსკოვი. რუსეთი.
16:20 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. სტამბოლი. თურქეთი.
19:25 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
20:40 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. I მატჩი. დეტროიტი-პიტსბურგი.
22:25 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
00:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-სანტოსი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-ამერიკა (მექსიკა).
03:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. I მატჩი. დეტროიტი-პიტსბურგი.
05:20 ფეხბურთი. იტალიის თასი. რომა-ინტერი.

**EUROSPORT**

10:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIV ეტაპი.
11:15 ფორმულა 1. კულისებს მიღმა. ტელეჟურნალი.
11:45 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. მონაკო (LIVE).
12:30 რალი-რეიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. V ეტაპი (LIVE).
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XV ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. I დღე. მიმოხილვა.
22:45 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. III დღე. გერმანია-ესპანეთი. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
00:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. იტალია-აშშ. ტულონი. საფრანგეთი.
01:15 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
01:30 რალი-რეიდი. მსოფლიო ჩემპიონატი. V ეტაპი.
02:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი. იაპონია.
02:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ხორვატია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ქალები. ფინალი. საპასუხო მატჩი. აინტრახტი (გერმანია)-უმეო (შვედეთი).
14:00 ახალი ამბები.
14:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. მონაკო.
15:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. საპასუხო მატჩი.
16:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. საფრანგეთი-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი.
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. ხორვატია (LIVE).
18:00 სუპერმოტო. მსოფლიო ტური. იტალია (LIVE).
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფინალი. საპასუხო მატჩი.
20:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. იტალია-აშშ. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (21-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. კოტ დ'ივუარი-თურქეთი. ტულონი. საფრანგეთი.
23:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეიოფი.
02:30 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჩოგბურთი

# ყველაზე პარიზული სტადიონი

## რით სჯობია როლან გაროსი ეიფელის კოშკს



**კვირას, საფრანგეთის ღია პირველობა იწყება - სეზონში "დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირი. დღემდე გაურკვეველია, რა უფრო პრესტიჟულია - თავად ტურნირი თუ ის სტადიონი, რომელზეც როლან გაროსი იმართება?**

საფრანგეთის ღია პირველობა 117 წლისაა. პირველად 1891 წელს ჩატარდა და მაშინ ეს იყო ერთდღიანი ეროვნული ტურნირი. რაც ყველაზე საინტერესოა, პირველი გამარჯვებული გახდა... ინგლისელი, ვინმე **ჰენრი ბრიგსი**. გასული საუკუნის 20-იანი წლების შუაში, ტურნირი დამაჯერებელი ნაბიჯებით მიდიოდა იქითკენ, რომ მალე არსებობას შეწყვეტდა: უცხოელი ჩოგბურთელები დიდად არ სწყალობდნენ მას, საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე კი, ასეთი ტურნირები დიდხანს ვერ ძლებდნენ. ყველაფერი მუშკეტერების წყალობით შეიცვალა. არა **ალექსანდრ დიუმას** რომანის გმირების, არამედ იმათი, რომლებმაც 1927 წელს, დევისის თასის ფინალში სტუმრად დაამარცხეს ამერიკა და პრესტიჟული პრიზი პარიზში ჩაიტანეს.

სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია ის ფურორი, რაც **ჟაკ ბრუნიონის, ჟან ბოროტრას, ანრი კოშესა** და **რენე ლაკოსტის** თამაშმა გამოიწვია. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ პარიზის მთავრობა მიხვდა - მოძველებული საჩოგბურთო კლუბი, Stade de France 1928 წელს გასამართი მატჩ-რევანშის დასწრების ყველა მსურველს ვერ დაიტევდა, ამიტომაც ახალი არენის აშენება გადაწყდა. ამ საქმისთვის პორტ-დ'ოტოის გვერდით სამი ჰექტარი მიწა გამოიყო. სამუშაოების დიდი ნაწილის დაფინანსება Stade de France-მა თავის თავზე აიღო. მანვე მოითხოვა, რომ ახალი სტადიონისთვის კლუბის ერთ-ერთი ძველი წევრის, საფრანგეთის არმიის სერჟანტის, ქვეყნის ისტორიაში უპირველეს მფრინავად და ეროვნულ გმირად მიჩნეული **როლან გაროს** სახელი მიენიჭებინათ. ეს სახელი დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი და ალბათ, ღირს როლან გაროს გმირობებზე უფრო დაწვრილებით მოგიყვეთ.

დღეს ეს შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ 1915 წლამდე პილოტები ერთმანეთის თვითმფრინავების ჩამოგდებას ჩვეულებრივი პისტოლეტით ან კარაბინით ცდილობდნენ. მუსიე გარომ კი, თავის საფრენ აპარატზე ტყვიამფრქვევი დაამაგრა და პირდაპირ მოწინააღმდეგეების თვითმფრინავების პროპელერებს უმიზნებდა ტყვიებს. ეფექტი შთამბეჭდავი გამოვიდა. პირველივე ბრძოლაში ფრანგმა ასმა ერთი გერმანული თვითმფრინავი ჩამოაგდო, სამი კი გააქცია. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, მან კიდევ სამი საფრენი აპარატი გაანადგურა და ძალიან მალე, როლან გარო შიშის ზარს სცემდა გერმანელ პილოტებს.

1918 წლის 5 ოქტომბერს, მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს და როლან გარო დაიღუპა. მისი ხსოვნა დღეს სათანადოდ არის უკვდავყოფილი. Roland Garros ხომ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სავაჭრო მარკად გადაიქცა. "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირს საკუთარი მოკლე დახასიათება აქვს. აშშ-ის ღია პირველობა - ყველაზე მდიდარი, ავსტრალიის ღია პირველობა - ყველაზე ეგზოტიკური, უიმბლდონი - ყველაზე პრესტიჟული და სნობური. Roland Garros-ს კი, როგორც ჭეშმარიტ პარიზელს, ყველაზე მეტად ასეთი შეფასება შეეფერებოდა - "ყველაზე რომანტიკული".

თავად ჩოგბურთელები ამბობენ, რომ ამ სტადიონზე ყოველთვის ზეიმის ატმოსფერო სუფევს. მაგრამ ეს ყველას აზრის არ არის. მაგალითად, ამერიკელ **პიტ სამპრასს** Roland Garros-თან უსიამოვნო მოგონებები აკავშირებს. ამაში გასაკვირი არაფერია - "დიდი სლემის" ტურნირების 14-გზის ჩემპიონს პარიზში არასოდეს მოუგია.

ტურნირის ჩატარების დონეზე არც გულშემატკივრები წუწუნებენ. ორი კვირის განმავლობაში, მათი საერთო რაოდენობა 400 ათას ადამიანს აჭარბებს. ორგანიზატორებიც ცდილობენ, კომპლექსის ტერიტორიაზე ყოფნა მაქსიმალურად კომფორტულად აქციონ. დასაწყისისთვის ის უნდა აღინიშნოს, რომ კორტების გარშემო ავტოტრანსპორტისთვის დაახლოებით 5 ათასი ადგილია გამოყოფილი.

Roland Garros-ის მთელ ტერიტორიაზე უამრავი საინფორმაციო ტაბლო დგას, რომლებზეც on-line რეჟიმში აისახება ყველა მატჩის მიმდინარეობა. საინფორმაციო უზრუნველყოფის განხრით, განსაკუთრებით გამოსაყოფია ექვსი უზარმაზარი ეკრანი - პირველ, მეორე და მეოთხე კორტებთან და კიდევ სამი - Suzanne-Lenglen-ის კორტთან. ამ ეკრანებზე შედეგების გარდა დღის პროგრამა, მოთამაშეების ფოტოები და ბიოგრაფიები აისახება.

გასაკვირი იქნება, რომ აქ მოგვარებული არ იყოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. კვების საქმე Roland Garros-ზე უმაღლეს დონეზეა დაყენებული. კომპლექსის ტერიტორიაზე უამრავი კვების პუნქტია, რომელიც ნებისმიერის გემოვნებასა და ფინანსურ შესაძლებლობებს დააკმაყოფილებს. აქ უბრალოდ, ყავისა და კრუასანის მირთმევა შეიძლება, ან ბანალურ სასადილოში (რომლებსაც მარტივი სახელი აქვთ - Le Buffet) შესვლა. აქვეა საკმაოდ კარგი რესტორნები - როგორც საშუალო, ასევე მაღალი კლასის. პირველს განეკუთვნება Le Tribune, სადაც სადილი კაცზე დაახლოებით 40 ევრო ჯდება, ხოლო უმაღლესი კლასის რესტორანია - Roland Garros, რომელიც ცოტა ხნის წინათ, უახლოეს არქიტექტურულ სტილზე გადაკეთდა. აქ უკვე მაღალი ფასებია და ეს არც არის გასაკვირი - იქაურ შეფ-მზარეულს ხუთ საერთაშორისო კონკურსზე მოპოვებული დიპლომები უმაგრებს ზურგს, მომსახურე პერსონალიც კარგად არის გაწვრთნილი. მოკლედ - გადაიხადე და დატკბი სიმშვიდით, ექსკლუზიურობითა და ტერასებიდან ბრწყინვალე ხედით, რომელიც ეგზოტიკურ მცენარეებზე გადის.

სხვა რა კომფორტია... ტრიბუნებს ქვემოთ სათავსოებში გარე სამყაროსთან კავშირის რამდენიმე კვანძია (კორტის ტერიტორიაზე აკრძალულია მობილურის ხმარება), სუვენირების მაღაზიები, არანორმალურად დიდი რაოდენობის ტუალეტები, ფოტოფირების ექსპრეს-გამჟღავნებისა და დაბეჭდვის პუნქტები და რა თქმა უნდა, Tenniseum, ანუ ჩოგბურთის მუზეუმი.

Roland Garros-ის საბილეთო პროგრამა, ისევე როგორც "დიდი სლემის" დანარჩენ ტურნირებზე, საკმაოდ დემოკრატიულია. საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩებზე დასწრება თითქმის უფასოა - 4 ევრო დღიური აბონემენტისთვის. შემდეგ კი, ფასები დამოკიდებულია იმ სტადიებზე, რომელზეც ტურნირი იმყოფება, აგრეთვე მომსახურეობის იმ დონეზე, რომლის მიღებასაც გულშემატკივარი ითხოვს. პრინციპში, ფინალურ მატჩზე მოხვედრაც არ არის რთული. შეგიძლიათ საერთოდ არ დაჯავშნოთ ბილეთი. გარშემო უამრავი გადამყიდველია და ისინი სიამოვნებით მოგყიდიან ბილეთს 100-150 ევროდ.

სხვა გზით წასვლაც შეიძლება - "სწორი" მოქალაქეებისთვის. ტურისტული სააგენტოების ყველაზე უბრალო VIP-პაკეტი დასწრების დღის მიხედვით ფასდება - 600-დან (ტურნირის პირველი ორი დღე) 1050 ევრომდე (ფინალი). ამ თანხად შეიძლება ცენტრალურ კორტზე პირველი კატეგორიის ადგილი მიიღოთ, ისარგებლოთ სპეციალური შესასვლელით, რესტორანში ისადილოთ... თუ მაქსიმუმის გადახდა გსურთ, ფასი ერთი ადამიანისთვის დღეში დაახლოებით 2000 ევროა. ზემოთ ჩამოთვლილი კომფორტის გარდა, ამ პაკეტით შეიძლება ისარგებლოთ დახურული პავილიონით, პარკინგის ადგილით, პირადი მცველით. გარდა ამისა, პავილიონში აუცილებლად არის ტელეფონი, ფაქსი და... რომელიმე მოთამაშე. რა თქმა უნდა, სუპერვარსკვლავი არა, მაგრამ მაინც პროფესიონალი. სხვათა შორის, მასთან ერთად თამაშიც შეიძლება.

და თუ სრული პროგრამით დაიხარჯებით, ტურნირზე ორი კვირა ყოფნა დაახლოებით 30 ათასი ევრო ღირს.

**გია თვალაბეიშვილი**





როლან გარო და
მისი საჩოგბურთო ამუნიცია